

№11 (33).
2006 წლის
ნოემბერი

მამულა
კ

ფეხები
სტუმრად მივინს მოახეებში

ლადო ბობრკანაძეს თხოვს!

ეპოგონეზი

ლადო აბალონიძე:

ქუთაისიდან მამინდელი და დღევანდელი პოეზიის მექას – თბილისის შემოხიზნილი უბნის პოეტი თურმე ხან სად ათევედ ღამეს, ხან სად. ერთხელ დილაადრიან რომ შემხვდა კიროვისა და მანაბლის ქუჩების შესაყართან და თავანანი საღმის შემდეგ ტკივილგარეული ირონიით შემოძლირა – აღარც მასსოვს, მერამდენე ღამეა, რაც არ მძინებიაო. შეუძლებელი იყო ამის გაგონებაზე გული არ გტკეპილა. ტრამვალების საერთო საცხოვრებელში ვარ „ჩამომხტარი“ (ამ სიტყვასაც ირონიულად გაუსვა ხაზი), მარცხნივაც ავადმყოფი მიწვეს გვერდით და მარჯვნივაც. ერთი მაინც, მარცხნივ რომ წევს, ისე ახველებს მთელი ღამე, წუთით თვალის მოხუჭვას არ მცლისო; თანაც ოთახში პაპიროსის ბოლი ისე ღვას, როგორც ორთქლის კვამლი დეპოშიო. სხვათაშორის ეს უნებელი წამოჩივლებაც სიტყვას მოჰყვა, თორემ მას საერთოდ ასეთ რამეზე წუწუნია, ჩივილი და თავის შეწყობა არა სწევდა, პირიქით, ყველა ვითარებაში თავი ისე ამაყად ეჭირა, მეტი არ შეიძლებოდა. წინაპრების გენი მის არსებაში აქაც მთელი თავისი სიდავით ჩანდა. ახლაც, რომ შეხვედვ, ისე მოაბიჯებდა, ტრამვალების საერთო საცხოვრებლის დროებითი ბინადარი კი არა, ციხე-კოშკის მფლობელი გვერდობდაო.

მისივე აღნიშვნა:

ლადოსა და მე ხშირად მოვეცემინა დომენტი თომასიძის საუბარი. დომენტი სოფ. ჭოლოვიდან იყო და ოკრიბას კარგად იცნობდა, ერთხელ მან ვითხრა: ოკრიბელისა და ხელიანის არაა, ალბათ, გაფიქრიათ, სინამდვილეა. მასში აქაური გვეყვარების სიღარიბე იგულისხმება. ოკრიბაში მწირია მიწა და გლეხს უჭირს ცხოვრება. სხვები დასცინიან ოკრიბელებს. მათი გაგებით, „ოკრიბელი“ საცოდავს, გლახაკს ნიშნავს, ზოგს ეს სახელი უთაკლებდა.

მამინდელი თქვა: მე რომ ოკრიბელი ვიყო, არა თუ შემეცხვებოდა, არამედ ვიამაყებოდი. ვიტყვი: იცოდეთ, მე ოკრიბელი ვარ და მდიდარი. ოკრიბაშია სხილიან და გელათში დავით აღმაშენებლის სინაგა, თამარ მეფეც გელათში დაუკრძალავთ. ყველა კუთხიდან მოჰყავდათ სნეულები მოწამეთში და დავით და კონსტანტინე ავედრებდნენ. სოლომონ პირველმა ზრეხილის ომში ამოწყვეტა თათრები და ისინა სამეფო. ქვანახშირიც აქა და ჩაი. ვინც ეს იცის, მას „ოკრიბაც“ შეუყვარდება. მერე რა პოეტური სიტყვაა! მგერელს დაურქვეყნა, „კრიბი“ მგერულად ბატანია, „ოკრიბა“ საბატნე ადგილს ანუ საძოვარს ეწოდება. ლადოს აზრით, ქუთაისში პანთეონისათვის ყველაზე შესანიშნავი ადგილია ე.წ. წმინდა გიორგის ეკლესიის ეზო, რომელიც ქალაქს თავზე დაჰყურებს. ეს არის ქუთაისის მთაწმინდა. მოღვაწეები აქ უნდა დაკრძალონ. მე ვინაგრები ამ მიწას მიმბარონ და ეპიტაფიად მქონდეს ლექსი:

„ხშირად მღეროდა ბესიკის ხმაზე, გმობდა, კიცხავდა ოზურ-ტიანებს, იყო, ცხოვრობდა ამ ქვეყანაზე პოეტი ვინმე მოხეტიალე.“
ეს სტროფი ლადოს არ დაუბეჭდავს და მხოლოდ ჩემს მეხსიერებას შერჩა.

მისივე აღნიშვნა:

სტუნდენტი ლადო ასათიანი ერთხანს ჩემს მეზობლად ცხოვრობდა. მინალორა ლორთქიფანიძისთან ნაქრავებ ბინაში, მასთან ერთად – ცაგერელი ამხანაგი რაჟდენ შკუბულიანი. მინალორასეული სახლი ახლა გრიგოლ გოლოთიანს ეკუთვნის, მისი ეზო აჭრავს ჩემს კარმდამოს. თეთრამიწის კალთაზე მდებარეობს კორტონი, სადაც თავდება მდინარე რიონის ნაპირიდან აღმავალი უქიმერიონის ქვის კედელი. ამ წარმტაცი გადასახედიდან ხელისგულივით გამოილია ძველი ქუთაისის სანახები – ბაგრატიის ტაძარი, ლადო ასათიანის ქუჩაზე მდებარე ე.წ. წმინდა გიორგის სახელობის

ეკლესია, ბესიკ გაბაშვილის გორა, გაღმა ქუთაისი. მოშორებით ჩანს გელათი, რიონის ხეობა და კოლხეთის ველი. შორეულ თვალსაწიერში აღმართულან ასხი, ხვამლი, ნაქრალას ქედი, აჭარა-ახალციხის მთები...

ქუთაისში დიდხანს მოღვაწეობდა ჩემი მეზობელი – ცნობილი ფურნალისტი და მწერალი პეტრე ბახტურიძე. პეტრე საქალაქო გაზეთის რედაქციაში მუშაობდა. მის ოჯახს დროდადრო ეწვეოდნენ გამოჩენილი ქართველი და რუსი მწერლები. პეტრე ცნობილი პროზაიკოსის კონსტანტინე ლორთქიფანიძის განუყვრელი მეგობარი იყო.

პეტრე ბახტურიძეს დაუახლოვდნენ არქივლის გორის მკვიდრი დამწევი მწერლები: ლადო ასათიანი, მიხეილ ალავიძე, ვასილ ლორთქიფანიძე. დასვენების დღეებში ამოდიოდნენ: გიორგი ჯიბლაძე, ნიკა აგიაშვილი, გიორგი სამხარაძე, ვლადიმერ შაველიძე, სერგო ფსაკაძე, მამია ასათიანი, პავლე ხმალაძე, ბონდო ნაფეტვარიძე... თავმჯდომარე ბაგრატიონის ტაძრის ეზოში ვარჩევდით. იქ პეტრე ჭაბუკიანი დაგვეხვედებოდა. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორი, მწერალი ჯაჯუ ჯორჯიკია ხშირად ჩვენთან იყო.

პეტრე ბახტურიძის დახასიათებით მიცნობდა ლადო. იცოდა, რომ აკაკი წერეთელს ვახლდი და მისი მოგზაურობა გადავიდე. ჩემი სიმამრის კონსტანტინე მარჯანიშვილის ძეგლებზე იმერულ დღეებში სხვადასხვა დროს სტუმრად ყოფილან აკაკი წერეთელი, ლადო მესხიშვილი, კოტე მარჯანიშვილი... აქვე დეკანოზ ნესტორ ყუბანიშვილისეულ სახლში სწავლობდა გალაკტიონი.

სტუდენტი ლადო ასათიანი და რაჟდენ შკუბულიანი ჩემს ოჯახში შინაურებად ითვლებოდნენ. მთელი კუთხე წყალსადენის გამოყვანამდე ჩემი კვიდან იღებდა წყალს. ლადო და რაჟდენი ეზო-ბაღის მოვლაშიც მენამხრებოდნენ.

ნათლად მასსოვს პირველი შთამბეჭდავი ფაქტი. აკაკი წერეთლის გარდაცვალების 20 წლისთავის მზადებას ვახეთი „სიტყვა და საქმე“ ფართოდ აშუქებდა. 1934 წლის მიწურულს ლადომ მინ მომბატანა ვახეთი „სიტყვა და საქმის“ მეშვიდე ნომერი (20 ნოემბრისა). მასში მოთავსებული იყო ფურნალისტი ლადო ბზვანელის სტატია „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ და მხატვარ კოტე ქეთარაძის მიერ გადაღებული ფოტოსურათი – აკაკი მხლებლებითურთ, რომელთა შორის მეც ვარ. ლადოს ჩემთვის ამბობს ყველა ერთი ცალი ვახეთი.

რადგან გატაცება შევატყვევებ, ვახეთზე ლადო ბზვანელის კრებული.

ლადოს ყურადღებით წაეკითხა კრებული. სამსახურიდან დაბრუნებისას შექმერი ჩემს ჭიშკართან. ახალადის სახლის აივანზე ისინდნენ პეტრე ბახტურიძე, ლადო ასათიანი და მიხეილ ალავიძე. ლადო ბზვანელს აქებდნენ. პეტრე საყურადღებო ადგილებს პოულობდა კრებულში.

ლადო ასათიანმა თქვა: აკაკი ბედნიერი მგოსანი იყო. სიცოცხლეში მოეწრო დაფასებას. ლადო ბზვანელს სახელად ეს კრებულიც ეყოფა. ლადო ბზვანელი წერს: ფილმი აკაკიმ იხილა და მოეწონა. „რადიოში“ კინოსურათებს ხშირად ვნახულობ. ახლა კიდევ უფრო შემეყვარა ეს შენობა, რადგან თქვენს ბიოგრაფიას ვაგვეყვანი.

პეტრე ბახტურიძე:

ლადო ასათიანს ახლო ვიცნობდი. მე, ლადო და მისი თანატოლები ერთმანეთს ხშირად ვხვდებოდით უქიმერიონზე, სათაფლიასა და გელათში. ბაგრატიის ტაძართან გამოდიოდნენ კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ვასილ ამაშუკელი, პეტრე ბახტურიძე, კაკუ ჯაჯუ ჯორჯიკია... მე ვესწრებოდი შეკრებებსაც მწერალთა კავშირის განყოფილებაში, რომლის თავმჯდომარე დია ჩიანელი იყო. აქ დადიოდნენ: დომენტი თომასიძე, ლადო ბზვანელი, დავით მესხი, ბონდო კემელავა, ევგენი ფურცხვანიძე, გიორგი სამხარაძე, სევერიან ისიანი,

ვანიონ დარასელი, ვლადიმერ შაველიძე, პავლე ხმალაძე, სერგო ფსაკაძე... ლადო იქ მონაწილეობდა. საქალაქო გაზეთის რედაქციაში კი როცა მოვსულვარ, ლადო ყველთვის იქ მინახავს.

1937 წელს საბჭოთაო ლიტერატურულ საღამოებზე მომისმენია ლადოს კითხვა. გამოდიოდა ლექსებით „ილიასადმი“ და „პუშკინი ჩემთან“.

ლადო ასათიანმა ქართულ პოეზიაში პირველად ახსენა სიტყვა „დინოზავრი“. ნიკა აგიაშვილი იმდროინდელი სტრიქონებს უცნობი ლექსიდან, რაც ლადოს დაუწერია სათაფლიასა და დინოზავრებზე 1937 წელს.

ეს ცნობები ძვირფასია იმ აზრის გასამტკიცებლად, რომ 1933 წელს აღმოჩენილს თვითონ მე ვუწოდებ „დინოზავრის ნაკვალავი“ და ტერმინი „დინოზავრიც“ მე შემოვიტანე საყოველთაო ხმარებაში.

ნაკვალავის გეოლოგიური შესწავლა 1938 წლიდან დაიწყო. მე ვარ დინოზავრის მეკვლეც და ნათლიაც.

ვინც დაინტერესდება დინოზავრთა ნაკვალავის ისტორიით, მას გამოადგება ლადო ასათიანის ფრაზა „ერთ ნაფეხური დინოზავრების“.

ასათიანთა სამშობლო კუთხე ლეჩხუმი. ისინი აქ გამრავლებულან და სახლობენ ოც სოფელში (ადვი, ბარდალა, გაგულქი, დერჩი, დეხვი, დღნორისი, ვანი, ზოგიში, ლაბკინა, ლაილაში, მანაში, მექენა, ნასპერი, ორხვი, ტვიში, უსახელი, ქვიშარი, ქორენიში, ჭყვიში, ცაგერი). ლადოს სოფელი „ბარდალა“ ბარდნარს ანუ ბარდებიან ადგილს ნიშნავს.

ლადოს საიმიწოდებდა, რომ თამარ მეფის ეპოქაში იყო გვარი „ასათისძე“, რაც მას ფსევდონიმადაც ჰქონდა. „ასათი“ ადამიანის საკუთარი სახელია (არაბული სიტყვა) და „ლომს“ ნიშნავს. არსებობს გვარიც „ასათაშვილი“.

ოფიციალურ დოკუმენტებში ყველაზე გავრცელებულია ნათლის სახელი „ვლადიმერი“. მას კი ლექსი ამ სახელით არასოდეს დაუბეჭდავს. „ლადო“ შინაურულად ერქვა. „ვლადიმერს“ იმიტომ მოერიდა, რომ იმ დროს თბილისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ვლადიმერ ასათიანი (მან დინოზავრთა დაიკვა ილია ჭავჭავაძის „მეზავრის წერილებზე“ და შემდეგ იგი ცხოვრების ქართველში გაქრა). მკვლევარ ლევან ასათიანისგან გასარჩევადაც იგი „ლადოს“ სრულად წერდა (არ ამოკლებდა).

სილოვან აბგალონიძე:

მასსოვს, ერთხელ ახალგაზრდა ებრაელმა პოეტმა მიხეილ კაკიტელაშვილმა მინ მიგვიწვია დაბადების დღის აღსანიშნავ ვახშამზე. დამწევი ლიტერატორთა გარდა მოვიდნენ უფროსი თაობის პოეტებიც, რომელთა შორის ლადოც იყო. პირაული ოჯახის ღონისძიება ჩვენთან ახლოვდა მინაწილეობა და განგვაკვივრა უჩვეულო კრებებმა და მასპინძელთა ქცევის ადათ-წესებმა. თამადად ჩვენი მასპინძლის ნათესავი დიდად განათლებული კაცი აღჩივს, რომელმაც მოგვხიბლა თავანახობით და ქართველ ებრაელთა სათავგადასავლო ამბების ხატოვანი თხრობით. რიგრიგობით შევსვით ოჯახის დედის, ქალბატონ ფენოს საღლეგრძელი. სულ ბოლოს ლადო წამოღდა. მან თქვა: ქართველი და ებრაელი დელები ჩვილთა აკვნებს ერთი ცის ქვეშ არწვენდნენ, ერთმანეთის ჭირსა და ღონის იზიარებდნენ და თავიანთ პირშობებს ერთ „ნანას“ უმღერენ და ამ ოჯახის ჭაღარა დედაბობის საღლეგრძელოში თავს ნებას მივცემ ჩაუერთო ჩვენი საერთო სამშობლოს საღიდეგელი... ლადომ დიდი გატაცებით წაიკითხა „ტკიბილია როგორც...“. როცა კითხვა დაასრულა, ჩვენს ტაშს ღია ფანჯრებიდან შემოჭრილი ტაშიც შეუერთდა, რაც იმ ქუჩის მკვიდრთა გულის ხმას გამოხატავდა. დასასრულს ლადომ ილაპარაკა ტარაული ერის ისტორიის ისეთ დეტალებზე, რომ თვითონ მასპინძლებიც განაკვივრა. მომდევნო დღეებში ბევრმა სთხოვა ლადოს მიეთითებინა, სად იყო იმ წიგნების ადგილსამყოფელი, რომლებშიც ამოკითხა მათი წინაპრების ასე საოცარი ისტორია.

დავით ბეგიაძე:

მან უცნაურად მხარ-აწეული სიარული იცოდა. ეს მხარის აწევა მისი შარვლის ერთ ტოტს ამოკლებდა და მას უფრო მაღალ,

წარმოსადგევ კაცად აჩენდა. ილიაში მუდამ წიგნი ჰქონდა ამოხრილი. გამოჩენილად არ ეცვა, ეტყობოდა, არ იყო მატერიალურად უზრუნველყოფილი, ან, კაცმა რომ თქვას, რა შესაძლებლობა უნდა ჰქონოდა სოფლის მასწავლებლის შვილს.

ქართული პოეზიითა და ლექსით აღტაცებული ახალგაზრდები შესვენებისას, ინსტიტუტის წინ, ლადო მოშრიალე ცაცხვის ქვეშ იყრიდნენ თავს. მღეროდნენ გიორგი ნაფეტვარიძის ხელმძღვანელობით და ლექსობდნენ ლადო ასათიანის მეთაურობით. ლადომ გულთხადი შექება იცოდა დამწევი მგოსნებისა და თუ ლექსს მოუწონებდა და შეუქებდა, გათავებული იყო საქმე, ლექსის ავტორს თითქმის ნამდვილ პოეტად შეეძლო წარმოედგინა თავი.

აბაბო განმარტობა:

ლადო ასათიანი გაცივანი ქუთაისიდან მისი თბილისში გადმოსვლის წელს. იგი იყო მაღალ-მაღალი, გამხდარი ჭაბუკი შთავგონებული თვალებით, უკვე ცნობილი ნიჭიერი ლექსებითა და ენაპნვილობით.

არ მასსოვს, ქუთაისიდან გადმოჰყვა მძიმე სენი თუ თბილისში დამკვიდრების შემდეგ შეეყარა იგი. მიუხედავად ამისა, ლადო ასათიანი დარჩა ხალისიან ახალგაზრდად, საყვარელ მეგობრად, თანამოსაყვთა შორის ყველაზე თვალსაჩინო პოეტად, რომელსაც უფროსი თაობის არაერთი ქართველი მწერალი გულწრფელად პატივს სცემდა.

ჩემდამი გაუგებარი, დროებითი და წინასწარი გულარზილობის შემდეგ ლადო ასათიანი მალე დარწმუნდა, რომ შედარებით წინა თაობის ქართველ მწერალთაგან თურმე ჩემთანაც შეიძლებოდა უანგარო მეგობრობა.

თბილისში ლ. ასათიანს მალე დაეტყო მამის განუყვრელი ავადმყოფობის ნიშნები. ამ გარემოებამ ყველა მისი ასაკის მეგობარი და ამხანაგი ღრმად დაამწუნრა. ლ. ასათიანს უჩივს აბასთუმნის სანატორიუმში მკურნალობა და დასვენება. მე კარგად ვიცნობდი ერთ-ერთ იქაურ კეთილშობილ ექიმ არჩილ მსხიძეს, რომელთანაც ბარათი გავატანე ლადოს. აბასთუმნში გამეზავრებამდე, თბილისში ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს, უმთავრესად მწერალთა კავშირში, „ორიანტის“ კაფეში ან ფუნქიკულიონზე. და მუდამ მარტოოდნ ორნი ვუსხედით მაგიდას.

იგი უდრტვინველად იტანდა ავადმყოფობას და ჩემთან ერთხელაც არ დაუჩივია.

სამწუხაროდ, ეს ვაჟკაცური ღუელი დიდხანს არ გავრტელებულა.

მე მოგინებას ვწერ. შეგნებულად არ ვიგონებ ლ. ასათიანის ლექსების კრებულის „წინაპრების“ აკრძალვას (ამ წიგნის ერთ-ერთი პირველი ეგზეცილარი მე ძვილე ავტორისაგან, შემდეგ იგი გამომართა ლადოს პოეზიის თავგანისცემელმა და მკვლევარმა ვრიგოლ ხერხეულიძემ „კრებულის სათუთად მოვლის“ მიზნით).

ამ მხორგავ და განაწამებ ახალგაზრდა ნიჭიერი კაცს ეკუთვნის უსათაურო ლექსი, რომელიც აბასთუმნიდან ჩემდამი გამოგზავნილ ერთ ბარათშია მოტანილი და შემდეგ აქედან დაიბეჭდა იგი უფრო გვიან პოეტის ლექსების კრებულებში.

ეს ლექსი დისონანსად ისმის ლ. ასათიანის საერთო ოპტიმისტურ ლირიკაში, რადგანაც იგი არეკლავს ძლიერი სულის უკანასკნელ დრტიკინვას და იმ რანგის პოეტურ აღსარებას წარმოადგენს, როგორიცაა გ. ტაბიძის შეუდარებელი „მე ველი სასწაულს“.

აი ისიც:

ვიდრე სიკვდილი გამხვევდეს ბნელს მოსახშიში, ვიდრე სიკვდილის ჭვალი ვულზე დამხობოდეს, უკანასკნელად დამწვინეთ ჩემს ოლა სახლში, უკანასკნელად, ვიდრე თვალნი დამეცხებოდეს, უკანასკნელად პაპიროსის გაჯორიკალ ტახტზე დამივით მაგრად, დამახურეთ შავი ნაბადი, უკანასკნელად, უდრტვინველად მამყოფეთ ასე, ვიდრე სიკვდილი შვითთან სულს გამხნაბავდეს. როდესაც ლექსის ამ მოგონებისათვის გადაწერას შეუდევქი, მან ისევ შეზარა მთელი ჩემი არსება, როგორც აბასთუმნიდან მიღებულ პაკეტის გახსნისას!

მისივე აღნიშვნა:

ყაუხნიშვილის სკოლაში რუსულ ენასა და ლიტერატურას ვასწავლიდა პედაგოგი

ლიდა ასათიანი, ლადოს მშობელი დედა. ბავ-
შე ხომ, საერთოდ, ბარონეტობითაა ყველაფ-
რის მიმართ, მით უმეტეს, როცა საქმე მასწავ-
ლებელს ეხება.

რაც მართალია, მართალია, წრფელი სიყვარ-
ულით გვიყვარდა ლიდა მასწავლებელი -
ჩვენი კეთილი, სათნო, მზრუნველი აღმზღელი.
ვაგლანად წარბს არ გახსნიდა, არც თავის
წილ სიტყვას დააკლებდა არავის.

დილით გოგონა დედას მოჰყავდა სკოლაში.
კლასში შემოაცილებდა და მერე სამსწავ-
ლებლოში ავიდა. ბოლო ზარის ჩამორეკვა
და ლიდა მასწავლებლის გამოჩენაც ერთი იყო.
შეიღწა ჩასაცემელს ჩაცმედა. მერხიდან
წიგნებს ამოკრეფდა. ხელჩაკიდებული გაუყ-
ვებოდა დედა-შვილი გზას რიონგაღმა, მესხე-
თის ქუჩისაკენ.

ასე მეორდებოდა ყოველდღე.
და აი, შემოდგომის ერთ დღიას სკოლაში
აღარ მოვიდა ლიდა მასწავლებელი...

სამაგიეროდ შეიძლება მოხდოდეს დედის
წერილები - იმდენი, უსაყვედურო, რომელთაც
ოჯახში მშობლიური სიტბო შემოჰქონდათ.

ლადო კი, სულ რაღაც ოციოდე წლის
ლადო, გულგასერილი წერდა:

„პაპ, რამდენი ცრემლები ვვარე,
როცა გავეცი წუხილის დემონს.
ნეტავ სადა ხარ, ან რომელ მხარეს,
სულზე უტყუბსო დედილო ჩემო?
ავიღებ ყვითელ წერილის ფურცლებს,
ვინაზავ გულთან, მარცხენა მხარეს...
შემაყრიალებს ტანში და უცებ
ვერბობ შენი ხელის სიტყვას და აღერს.“
თავი მოეყარა მწერლებს - სახელთანებ-
საც, ისეთებსაც, მაინცდამაინც გულზე რომ არ
ესატებოდა ხალხს.

ყველამ თავისი თქვა. გაზეთის უძრავლესო-
ბა ემაღლიერებოდა.

ერთმა სახელიანმა მწერალმა ისე, რომ
ამას მისგან არაფერი მოელოდა, ლადოს მისა-
მართით თქვა: რედაქციამ ძალიან ფართოდ გაუ-
ლო კარი - იქამდე მივყავს, ხალხის საფიცარ
პოეტებს ლამისა ბეჭებზე ხელი მოუთათუნოსო.
და თავისი სიტყვის „გასამაგრებლად“ დაასხე-
ლა ლადოს ლექსი „პუშკინი ჩემთან“, რომელიც
იმ დღეს „სტალინივში“ დაეუბნა.

ლადომ გახვდა იმ ცნობილ მწერალს და
მხრები აიჩენა. თქმით არაფერი უთქვამს, სა-
ხეზე კი ჩვეულმა ღიმილმა გადაუარა.

ასე გადიოდა მარტო ლადოს შექმნა.

პირისკანი სათელივით ფეროვანი გაუხ-
დებოდა. თვალის გუბებში ნაპერწკლები იწ-
ყებდნენ წერიალს. თვალი ამობდა იმას, რა-
საც სიტყვა ვერ იტყოდა. წუხილიცა და
სინარულიც სახეზე ესატებოდა. სახეზე ამო-
იკითხებოდა გოცნაც, ირონიაც, სიამაყეც, ის
გულიანადმჭკვავი სევდაცა და ნაღველიც, რო-
მელიც ასეთ დროს ყველათვის მასთან იყო.

მე ამ უბრალო შემთხვევაზე არც აქამდე
ამომიღია ხმა და არც ახლა ამოვიღებდი.
თუმცა, კაცმა რომ თქვას, არაა ეს „უბრალო“
შემთხვევა და ალბათ, ლადოს გაღიზიანებაც
სწორედ ამნაირი „წერილმანებიდან“ დაიწყო.
დასამალი არაა ისიც, რომ მწერალთა ერთმა
საკმაოდ ძლიერმა ნაწილმა ქუთაისში, თავიდან-
ვე ვერ უჩვენა გული ჭაბუკ პოეტს, რომელიც
მართლა სხვა ვარსკვლავზე იყო დაბადებული.

მოხდა ისე, რომ იმდენივე ადგილობრივ
გაზეთში ბეჭდვაც სანატრული გაუხდა ლა-
დოს. როგორ „მოხერხდა“ ეს - ჩვენ, ყველამ,
დიდებმაც და პატარებმაც, კარგად ვიცოდით. ვი-
თომ, ლადომ არ იცოდა? იცოდა! მაგრამ იმ
განწყობილი ღიმილით უყურებდა ყველაფერს.
მისი ხუმრობა მართლა ხუმრობაა ვინებ-
ცინცხალი, ადამიანური. როდი გსუსხავს, გაფ-
ხიზლებს და გაღვიძებს! სიტყვა ლადია და
ფრთხილი, ნაკეთები და ნაწვლები კი არა.

დამცინავი და მოქილიკე არასოდეს ყოფი-
ლა. სამისხლად ლადოს არც დრო ჰქონდა და
არც განწყობილება. სათქმელს პირში ეტყო-
და და, მორჩა, ამის იქით აღარ გაიწევდა.

ჯერ ერთი: ლადო გასაკენწლავს კენწლავ-
და. უხდებოდა კიდევ. სხვანაირი მადლი და
ელვარება ჰქონდა მის გახუმრებასაც. მისგან
ფართო მოქმედი სახუმარო ლექსი ნაღდი
პოეზიაა - ამალელებული, მსუბუქი და ჰაერო-
ვანი. მეორეც, მტერ-მოყვრის ცნობა მისი თან-
დაყოლილი თვისება იყო და არა ნიღაბი.

თუ მტერს ეღვებოდა, შე კაცო, პირდაპირ

თქვი და მოათავე. თავს მარტო რატომ იღებ.
ვგ რუბუს-გამოცანები რა საკადრისა? თუ მოყ-
ვარე მოყვარედ მიგანჩნა, მაშინ რაღად მიტენი!
მტერ-მოყვარეს ერთნაირად დახვედრა რომ არ
უნდა, წინაპრებისაგან მაინც ვერ ვისწავლეთ?

ლადო გუდიაშვილი:

მასთან ახლო ურთიერთობა თუმცა არა-
სოდეს მქონია, მაგრამ სიცოცხლეშივე ძალი-
ან მიყვარდა. მისი ლექსები მაშინ ხელნაწე-
რის სახით მოჰქონდათ ხოლმე ჩემთან...

„შენ როცა ამ წიგნს ხელში აიღებ, ცოც-
ხალთა შორის მე არ ვიქნები,
მაგრამ მკითხველო, მიხედი, გა-
იფე ადრე წასული კაცის ფიქ-
რები...“

ლადო ასათიანი... მართლაც
უღმერთოდ „ადრე წასული“
ლადო ასათიანი... ბოლო პე-
რიოდში მაინც ძალიან ხში-
რად ვხვდავდი... აბასთუმნი-
დან ახლად დაბრუნებული
თავს ძალიან სუსტად გრძობ-
და, აღმართზე სიარული არ
შეეძლო და მეგობრებმა სას-
ტუმრო „ორიანტის“ შენობა-
ში ერთი პატარა ოთახი უმო-
ვეს... ის ოთახი კარგად მო-
ჩანდა ჩემი ფანჯრებიდანაც.

ხსოვნაში მტკივნეულად ჩამ-
რჩა მისი გრძელი გამხდარი
თითები და დიდხონი თვალები,
რადაცნაირი სევდით რომ
შემოგანათებდნენ უცერად...
თურმე, იმ ოთახიდან ხშირად
უშვრდა ჩემს ფანჯრებს, მოს-
ვლით კი ერთხელაც არ მოსუ-
ლა... ეგრძალებოდა, - მითხრა
მისმა მეუღლემ ანუ ვანაძემ...
მხოლოდ მისი გარდაცვა-
ლების შემდეგ გამიხსილა: -
თუ წიგნის გამოცემა მედირ-
სა, მინდა ლადო გუდიაშვილ-
მა გააფორმოსო...

ჩემთვის ეს სურვილი დი-
დი პატივი იყო. პოეტის ერთ-
ერთი პირველი წიგნი, ასე რომ
შეიყვარა ქართველმა მკით-
ხველმა, მე გაგაფორმე, პოეტის
პორტრეტიც დაეხატე.

ხშირად მახსენდება მისი
სახე და მინდა რაღაცით კი-
დევ გამოვხატო ჩემი სიყვარ-
ული მისდამი... მეორედაც
დავხატე მისი პორტრეტი: დავ-
ხატე აგრეთვე, მისი ქალიშვი-
ლის - მანანას პორტრეტიც...
ყურში ჩამესმოდა მისი ლექ-
სი „მანანა ორბელიანის სუ-
რათზე“ (სხვათა შორის, ოდესღაც მანანა ორ-
ბელიანსაც ჩემს ქუჩაზე, თითქმის ჩემი სახ-
ლის პირდაპირ უცხოვრია, ის სახლი ახლაც
დგას კეცხოველის ქუჩის კუთხეში, ოღონდ,
წარწერა, არ იქნა და არ ეღირსა, რომ ეს
ყველა გამვლელმა იცოდეს). გული მტკიავა,
რომ სიცოცხლეში ერთხელაც არ მომიხდა
მასთან შეხვედრა...

კლაკია ღვებარია:

ლადო ყოველ დღით მწერალთა კავშირ-
ში თანამშრომლებზე ადრე მოდიოდა, დღით
სამსახურში მოსულეებს იქ გვხვდებოდა. ერთ
დღეს დიდად აღელვებული დავკვირვებ, წინ
და უკან დადიოდა, თავის დიდ ხელ-მკლავს
ჰაერში აფართობდა, ვიღაცას ხმამაღლა ეღ-
ვებოდა. მივვარდი:

- რა დაგეძრათა, ლადო?!
- გული დამიჭრეს, ხალხო, გული დამიჭ-
რეს, კლავია!
- რა მოგივიდა, ლადო, აღარ იტყვი?
- მხრებში დამწვდა, შემარხია, მთელი ტანი
ცანცანებდა.
- წიგნი დამიჭრეს, კლავია, ჩემი „წინაპ-
რები“ დამიჭრეს.

გავში. სანუგეშო სიტყვა ვეღარ გამოუნ-
ხე. ამის შემდეგ ლადო მწერალთა კავშირში
აღარ მოსულა.
ყოველ დღე დავდიოდი ლადოს სანახავად,
ტერუნიკის ქუჩა №3-ში, ვწერო, პატარა, გრძელ

ოთახში, რომელიც ლადოს იმხანად მისცეს.
ლადო მწერალთა კავშირის ცხოვრებით ცხოვ-
რობდა. მე უუაბობიდი ყოველგვარ წერილმან-
საც კი - ვინ მოვიდა, ვინ რა თქვა. როგორ
უნდოდა მწერალთა კავშირში მოსვლა, რო-
გორ ნატრობდა.

ლადოს მხანველი არ აკლდა. მის მიმართ
დიდ მზრუნველობას იჩენდა სიმონ ჩიქოვანი,
შალვა ლადიანი, აკაკი გაწერელია. ანუ ვანა-
ძის სასახლეოდ უნდა ითქვას, დიდი თავდადე-
ბით უწვლიდა, იმ ძნელბედობის ჟამს მეუღლეს.

დილით მწერალთა კავშირში მიდიოდა, გზაზე
ანიკო ვანაძის მამა შემომე-
ყარა, მომამაძა.

- კლავია, - ლადო ძალიან
ცუდად არის, ჩვენთან წადი,
მე ექიმთან გავრბივარ.

მწერალთა კავშირში აღარ
შევესულვარ, პირდაპირ ლა-
დოს სახლისაკენ გავუშურე.

ლადოს ოთახის კარი ღია
იყო. ლადო ტანზე გადა-
წვინათ. მის სხეულს ტანტი
ვერ იტყვია, ფეხთან სკამი
ეგვა. გაშლილი იწვა და
მკერდზე ანიკო დამხოვდა.

- ლადო, კლავია, მოვიდა
კლავია! - ლადომ თვალი
გახილა, ჭერს გაუსწორა, აი-
ვანზე გამოვიდა, არ მინდოდა
ჩემი ტირილი გაეგონა.

მალე ანიკოს მამა გამოვიდა:
- აღარ არის!

ამ დროს კიბეზე ლადოს
მამა ამოვიდა. შეიღის სანა-
ხავად ჩამოვიდა სოფლიდან,
მაგრამ ვაი, რომ ლადოს აღ-
რაფერი ესმოდა...

მარგო თოგაძე:

მამის გაზეთ „ნორჩი ლე-
ნინგლის“ რედაქტორად ვმუ-
შაობდი, თებერვლის დღესას-
წაული ახლოვდებოდა და სა-
ხეიძო ნომრისთვის ლექსი
მჭირდებოდა.

- მე არა მაქვს, - მითხრა
საჯაიამ. - ლადო გუშინ ჩა-
მოვიდა ქუთაისიდან, გაფა-
ველასავით ლექსებით გამო-
ტენილი უბე ჩამოიტანა, შე-
იღება მაგას ჰქონდესო.

- ალიომა საჯაია, რაღაც
გეშლება, - უთხრა ლადომ.

- მაინც რა გეშლება?

- ის რომ, ვაჟას ერთი ლექ-
სიც რომ ჰქონოდა, მის უბეს
მაინც გამოტენილი ეთქმოდა.
ვერ მოვივდა კარგი შედარება.

ჩემთვის უცხო არ იყო მათი ასეთნაირი
შეკინკლავება. ლადოს მიუძღვნიდა და ვთხოვე,
მომიტანეთ ლექსი, თუ გაქვთ, სხვაგან აღარ
მოვიძიებ-მეთქი. ერთხანს მღუმარედ იღვა მა-
ვიდასთან, ხვალ მოგიტან, შემპირდა. მეორე
დღეს მართლაც მომიტანა ლექსი. მშვენიერი,
ლამაზი ხელით დაწერილი. მომეწონა, მხო-
ლოდ ერთი სიტყვის შეცვლა ვთხოვე, უღერა-
ლოდ აკლია-მეთქი.

მომეცით, - გამომართვა. წამოვდა და ლექ-
სი ნაკუწებად აქცია. თითქოს ცივი წყალი
გადამსხესო, შევცბი.

ვე რა ჰქენი-მეთქი, შევძახე აღელვებულმა.
მე ლექსს ვიდრე რედაქციაში დასასტამბად
წავიდებ, მანამდე ვასწორებ, მერე არაო. არასო-
დეს დამაწივებდა მისი ანთებული, ცეცხლოვანი
თვალები, გაელვებას ჰკავდა. რა თქმა უნდა,
მეწინა მისი გაგულისება, მაგრამ მომეწონა
კიდევ. ეს ჩემთვის უჩვეულო ამბავი იყო. პო-
ეტის თავისებურ სასიამოს წავაწყდი. მეორე
დღეს რედაქციიდან გვიან გამოვიდი. მოსალა-
მოვებული იყო. შორიდან შევნიშნე, „რუსთა-
ველის რაინდები“ (ასე ვეძახდი მათ) საყვა-
რულ ჭადარბათან იდგნენ. ლადო ასათიანიც იქ

იყო. შეუმჩნევლად ჩავლა მინდოდა, მაგრამ
მოხდა ის, რასაც არ ველოდი. ლადო უცბად
ადვილიდან მოსწყდა, დიდი ნაბიჯებით სწრა-
ფად წამოიწვია, წინ გამისწრო, შეჩერდა და
გზა გადამიღობა.

მე მიყვარს თქვენი სალაპი, ასე უბრაოდ ნუ
ჩამივლით, - მითხრა და ხელი გამომიწვია.

რა მეთქმობა, ტყუილად ხომ არ დავარქვი
მათ რაინდები. მეც მიყვარდა მათი სალაპი,
ღიმილით დავმორდით ერთმანეთს. ის ნაკუ-
წებად ქცეული ლექსი კი, დღემდე ლოდივით
მაწვეს გულზე.

გობი პოპიაშვილი:

„აბასთუმანი - საბაზოუბანი...
მზემ ფანჯრებიდან შემოანათა.
ჩემი საწოლი და სასთუმალი,
ჩემი პალატა, თეთრი პალატა.“

ლადო ასათიანი

მე იგი ყოველთვის თვალწინ მიდგას - მა-
ღალი, უკან გადავარცხნილი ოდნავ აჩქილი
თმებით, დიდი შუბლით, შავი, ბრიალა, მეტყვე-
ლი თვალებით, ხედმეტად გამხდარი ყბებით,
ლამაზი სუსტი ცხვირით, მოკუშული ტუჩე-
ბით და მოგრძო ნიკაპით. საოცრად დიდი
ხელები ჰქონდა და მაინც ლამაზი იყო, განსა-
კუთრებით მაშინ, როდესაც იგი ცხარედ კამ-
თობდა, და მისი ცხოვრების ბოლო წლებში
ის ხშირად მინახავს ამ პოზაში.

მერაბ ლეგინძე:

1940 წლის შემოდგომა იყო, ოქტომბერი
იქნებოდა, რაკი „კრწანისის ყაყაჩოები“, რომ-
ლის გამოქვეყნებასაც ამ წერილით ვიგონებ,
ჟურნალ „ჩვენი თაობის“ მეთუ ნომერშია და-
ბეჭდილი. რუსთაველის პროსპექტზე, ჭავჭავა-
ძის დადმართის ძირში ვიდექით ასაღვარდა
პოეტები; პოეტი-მეთქი, ამას ჩემზე არ ვამბობ.
ჩემს თაობაზე, ჯერჯერობით, „მალა“ ლიტე-
რატურულ სფეროებში ბაიბური არ იხმოდა.
პროსპექტის ბატონ-პატრონად აქ ლადო ასა-
თიანის თაობის შვიდიოდე წვერი იღვა. ერთ-
ერთ მათგანს ვიცნობდი და მისი მეოხებით
მეძლეოდა საშუალება, ღარიბი ნათესავის კვა-
ლობაზე, მათ შორის ვყოფილიყავ. თბილისე-
რი ოქროს შემოდგომა იღვა, - ლოსტოვესკი
იტყვის, - ესეთი, როგორც მხოლოდ ასაღვარ-
დობაში შესძლეოდა იდგესო. ყველას „ჩვენი
თაობის“ ახალი ნომერი ეჭირა ხელში, იმ
გვერდზე გადაშლილი, სადაც ლადოს ის ერთ-
დერთი ლექსია დაბეჭდილი. მესამედ, მეოთხედ
კითხულობდნენ იმ მართლაც ხანძრის განე-
ნასავით ლექსს და აჭარხლებულენ ერთმა-
ნეთს სიტყვას არ აცდიდნენ...

და, უცბად, ტყიდან რომ ირემი გამოვიდეს
და შენ თოვდაყუდებული თამბაქოს ახვედე,
ასე მოულოდნელად პროსპექტზე ლადო ასათი-
ანი გამოვიდა. გამოვიდა კი არადა, გამოსული
იყო, ლადიდის წყლების მხრიდან გამოეყო
ხალხს. მაღალი და წარმოსადგეი, ბეჭებში
ოდნავ მოხრილი, მაგრამ ღირსებით თავაწეუ-
ლი მოაბიჯებდა - არხინად და ვითომცდა
ყველაფრისადმი განურჩევლი, თითქოს ამ დღეს
მის ცხოვრებაში არაფერი მომხდარიყო. არადა,
ახლასატამბული „ჩვენი თაობის“ სანახავად
გამოსულიყო შინიდან, - ესეც უმად გაირკვა.

ჭავჭავაძის დადმართის ძირში ქვის ოთხ-
საფეხურიან კიბეზე უნდა შემდგარიყავ და
„სოიუზპეტის“ კოსკის სარკმელს მიადგე-
ბოდი. ლადომ დავეინახა, მაგრამ მანძილი
მოიძიებდა და, სანამ ჟურნალი არ იყიდა, არ
მოვესალამებია. შებრუნდა და კოსკის სარკ-
მელს მიადგა. რომ ჩამოგვიარა, „კრწანისის
ყაყაჩოებზე“ ლაპარაკი დამცხრალი იყო ჩვენს
წრეში. რაღაცნაირი უხერხული ღუმილი
იღვა. ჟურნალი გაშლილი ჰქონდა ლადოს,
თვალი მოსწყვია ჟურნალს, თავი გადმოგვიქ-
ნა და გზა ვერის აღმართისაკენ განაგრძო.

ჟურნალი შინ მივითქვე, ათასჯერ მაინც
მაქვს გადაშლილი ენგურის ხეშემ ქალაღზე
დასტამბული ის ლექსი, ასევე ათასჯერ მაინც
გამსხენებია და საშუალოდ აღმებეჭდა მესხი-
ერებაში იმ შეხვედრის უცნაურობა. გამოუც-
გაბრძობება იმ-18 გვირდზე



ჩემთვის უცხო არ იყო მათი ასეთნაირი
შეკინკლავება. ლადოს მიუძღვნიდა და ვთხოვე,
მომიტანეთ ლექსი, თუ გაქვთ, სხვაგან აღარ
მოვიძიებ-მეთქი. ერთხანს მღუმარედ იღვა მა-
ვიდასთან, ხვალ მოგიტან, შემპირდა. მეორე
დღეს მართლაც მომიტანა ლექსი. მშვენიერი,
ლამაზი ხელით დაწერილი. მომეწონა, მხო-
ლოდ ერთი სიტყვის შეცვლა ვთხოვე, უღერა-
ლოდ აკლია-მეთქი.

მოგონებები

პირადი პარამეტრები

ენახე, ჩემი ლექსი დაგიბეჭდავთ, ფულიც მივიღე. გმადლობთ, ყველას. შენ გამომშვები ხარ, არა? რას აკეთებ, როგორ მუშაობ? ძველი მუშაკები თუ არიან მანდ – ასოთამშვები? მე თუ ვახსოვართ? ჩემს ლექსს რომ აწყობდნენ, რას გეუბნებოდნენ? თუ ძმა ხარ, არ დამიძალო.

* * *

ჩემზე უფრო გზარეული ადამიანი არ არსებობს ამ ქვეყნად. არაფერი გამეგება ამ ცხოვრების, მეტადრე იმ ცხოვრებისა, კარგად ჭამა-სმას და თბილად ყოფნას რომ ეძახიან ადამიანები.

* * *

თეატრში მაცურებელი მაინტერესებს, მაცურებელი – ადამიანი ბედნიერებით გახარებული, უბედურებით – აცრემლებული. ადამიანი მაინტერესებს, რადგან ადამიანთა ძიება ჩემი გარდუვალი მიზანია.

* * *

ნისლები... რძისფერი ნისლები... ეშმაკსაც წაულია ნისლებიც და მზით გამდნარი ნისლების წვიმაც – გულშეზარებულის ცრემლებს რომ მაგონებს.

სიცოცხლე ეძახის ადამიანებს, სიცოცხლე ამოძრავებს მატერიკებს, სიცოცხლე მღერის გამარჯვების ხმაძარებელს სიმღერას, სიცოცხლე წვდება საუკუნეებიდან – საუკუნეებამდე, სიცოცხლე დარბის პლანეტებიდან – პლანეტებზე...

* * *

გამიხარდა, ჩემი ლექსები რომ წაგიკითხავთ, გამიხარდა, უკ... როგორ გამიხარდა... გამიხარდა, რომ არ დაგავიწყდით...

* * *

ქვეყნად ვეძებდი სამოთხეს, სამხრეთისაკენ ედგა, ეფრატის გაღმა გავხედე გადახრუკულსა ქედებსა, - ეს სამი გა-გა-გა და ექვსი სა-სა-სა-სა-სა-სა-სა – რუსთაველისად ჟღერს სტრიქონებში; კაი ოსტატი იყო სწორედ ჩვენი მოხუცი რაფიელი.

* * *

ქართველი გლეხი. ნამდვილი გლეხი. კარგად ვიცნობ იმერელ გლეხს, ლეჩხუმელს, მეგრელს, გურულსა და რაჭველს... ქართლელსა და კახელს – უფრო წიგნებით.

პრუდონი ამბობდა: მე მყავს 14 წინაპარი გლეხთა შთამომავლობა. დამისახელებთ თუნდ ერთი ოჯახი, რომელსაც ამაზე უფრო კეთილშობილი წინაპრები ჰყავდაო.

* * *

ერთმა კრიტიკოსმა (კიდევ ერთმა!) ჩემი პოემა „კოლხიდა“ გააბიბრუა. არ ღირდა ამ პოემაზე კალმის წვერის დაღლა, მელნის დახარჯვა, თოვლივით ქათქათა ქაღალდის დასვრა... ამდენიც არაფერია ის პოემაო...

ამის შემდეგ, იქნებ, გვეღირსოს და ტალახიდან ამოგვიყვანოს მსგავს კრიტიკოსთა სიმძლავრემ, მათმა დიდებამ და მათმა სიქველემ!

* * *

როგორ გამიხარდა, „ღონ კიხობში“ რომ ენახე ფრაზა: ქვა მოხვდა ლიტრას თუ ლიტრა მოხვდა ქვას, მაინც ვაი ლიტრის ბრალიო. „ქილილა და დამანაში“ ასეთი – ჭაროს ნათქვამი არაკი - „ხელმწიფე და დიდებული“: „მე და შენი საქმე ჭიქასა და ქვასა ჰგავს, თუმცა ქვა ჭიქასა ეცა, ანუ ჭიქა ქვასა დაჰკრა, ორგანვე ჭიქა დაილეწებოდა და ქვა უვნებლად დადგება“.

* * *

აქილევსს კი რუსთაველის გმირები მიჩვენია: „სჯობს სიცოცხლესა ნამრასსა სიკვდილი სახელოვანი“ – აქილევსმა არ იცის. ოღონდ ცოცხალი იყო, მკვდართა სამეფოში არ დარჩეს და... მკვდარ ლომს ცოცხალი ძალი ურჩევნია. ამის მსგავსი უთხრა მან რაღაც აიდესში ჩასულ ოდისევსს.

* * *

ისტორიული რომანი, რომელიც ამაღლებს ერს! გამოგონილი კი არა, ნამდვილი! არა ისეთი მეფეები, მხოლოდ და მხოლოდ გარყვნილები რომ არიან, თავადები – მოღალატენი და გლეხობა – აჯანყებული და გაყარებული! ასეთი ქვეყანა

აქამდე დაილუპებოდა!

* * *

აკაკი! აკაკი და სულ აკაკი! სადაც დიდოსტატი აკაკი იყო, მასთან იყვნენ: მამია გურიელი, დუტუ მეგრელი, გრიშა აბაშიძე, ჭალაიდიელი, ცახელი, მანხანელი, ვოლსკი-უმწიფარიძე, ჩვენი დომენტი თომაშვილი და კიდევ... და კიდევ... სხვა ცნობილი და უცნობი ქვეოსტატები.

* * *

სოფლიდან ჩამოვიდა პოეტი გიორგი შატბერაშვილი. იქ მასწავლებლადაა. ცოტა გამხდარია, გასოფლელეულია. ახლდა პატარა ბიჭი – ზებედე, პაპის სახელი ჰქვია. ლექსებს ხომ არ წერს შენი შვილი-მეთქი, გავხუშრე, მაგას კი არა, მეც აღარ მცალია ლექსების საწერადო, მომიგო გიორგიმ.

* * *

რა იქნებოდა ტოლსტოისა და გოეთეს ხნის ბაირონი, პუშკინი, ბარათაშვილი ან ლერმონტოვი?

* * *

„გამო შეითამაშე, არვინ ეტყვის მამაშენს!“ მე-19 საუკუნეში არავის არა აქვს ასეთი რითმები. აქ რაფიელ ერისთავი სწორუბოვარია. კიდევ აქვს იმ დროისათვის ახალი: მერანი – ვერავინ – ფერავინ, ხირიმ – ჭირიმე და ა.შ.

* * *

„ვინც ღვინოს არ ეტანება, ყველა ღვინის მსმელი ლოთი და ვაგაბუნდი ჰგონია. ყურძნისა და ღვინის ქვეყანაში ლოთები უფრო ნაკლებია, ვიდრე უვენახო და უვაზო მხარეში“, - ეს გერცენის ნათქვამია.

* * *

რა მომწონს „კაკო ყაჩაღში“?: „ლეღუნე იგი ჩამრჩენია გულს, მწუხარე არის, ვით გლოვის ზარი“; „მითხარ, დედალო, რას აკეთებდი?“ და „და შეუნიგრია გულის ფიცარი“; „შენი გამჩენის ჭირიმე, შენი!“; „ორივე წაიღო ერთმა ნაღველმა“...

* * *

არ მეხარება პინდაროსის ბედი, ოდეს ტირანებისა და ცნობილ დიდკაცთა დაკვეთითა და გარიგებული ფასით რომ წერდა. საზიზღარია დაქირავებული პოეტი!

* * *

დღეს ბაღში გადავიღეთ სურათი მე, მირზამ, შალვა დემეტრაძემ, იაკობ (ყაკი) ბალახაშვილმა. ვზივართ მერხზე და შევყურებთ ფოტოაპარატს. ესაა და ეს, მეტი რაღა გვინდა!

* * *

სახარებას ქართული სიტყვისათვის უფრო ვკითხულობ. „ნეტარ იყვნენ გლახანი“ – ჩემი საქმე არ არის. ცხოვრება წარმართივით უნდა გიყვარდეს.

* * *

უნდა დავწერო ზღაპრები ლექსად: როგორი იქნება გაღვესილი „ასფურცელა“ და „ირმისა“ – ორი საუკეთესო ქართული ზღაპარი?

* * *

ჩვენს ნიკას „ორმოცი წლის ვუნდერკინდი“ შეარქვა ალიოშა საჯაიამ. მასვე ეკუთვნის ნიკაზე თქმული: „მდივანი გყავდა ნიკოლა, ვაქებდით – არა იყო რა!“

* * *

მშვენიერი ხალხური სიმღერები: „ფერადმინდი“, „ვახტანგური“, „მვიდკაცა“, „წინწარო“, „ბროლის ყელსა“ და სხვები, - მეტად ძნელად შესასრულებელი და ჩახლართული სიმღერებია.

* * *

„ბედი ქართლისა“, „აჩრდილი“ და კიდევ სხვა რომელი? „თორნიკე ერისთავი!“ ეს სამი პოემა ეყოფა მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს.

* * *

ქვეყანას მორწმუნე ადამიანი უნდა მართავდესო, გვითხრა ერთხელ ქუთაისის კათოლიკეთა ტაძარში პატრმა ღონ დამიანე სააკაშვილმა.

* * *

„სულმნათონო, მაღლი თქვენს გამჩენს, დიდება ერსა, თქვენს მშობელს“ – ეს სიტყვები უნდა წაეწე-

როს ილიასა და აკაკის ერთობლივ ძეგლს, თუკი ოდესმე დაიდგება ასეთი.

* * *

მშვიდობით, ქალავ, დე არხვატს დარჩეს ჩემი ლურჯაის დაკრული ტორი! – ეს ჩვენი კარგი გაბრიელისაა, ჯაბუმანურის.

* * *

დამამახსოვრდა: უშანგი ჩხეიძის ელვარე თვალელები, ოდნავ მოღიმარი, ვაჟკაცურად ლამაზი სახე, შროიანი აღნაგობა. ქუთაისის თეატრში ენახე ერთხელ.

* * *

კარგი სიტყვებია: ლაჯანური, ლაბეჭინა, ლეხიდრისთავი, ლემკაში, ლალუმქლა, ლენიღარი, ლაილაში, ლარჩვალი, ლაჯანა, ლასხანა, ლახეფა, ლასურაში, - მთელი ლენხუმი...

* * *

„შემოდგომის საღამოა მშვიდი,“ ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი...“ ეს – ტერენტი გრანელია! ძალიან მომწონს!

* * *

სასადილოში რომ კაცი იყო, წარბს ზემოთ ხალი ჰქონდა, თითქოს ბუზი აჯდა. როგორ მინდოდა ამეფრინა: ერთხელ „აქმაც“ კი შევეძახე...

* * *

ალიოშა საჯაიას თვალელები – რიბირაბო, დანისლული, დანაშაულზე წასწრებულივით დამორცხვებული.

* * *

ერთის სუფრაზე თქმული: ისეთი გამოხედვა აქვს, ყველაფერს იკადრებს: ვიღალატებს, მოვატყუებს, ორ გრომად გაგყიდის.

* * *

ნარიყალა – ნარიგ-ყალა (მიუვალი ციხე სპარსულა): სოლოლაკი – სულულაახი (სარწყავი არხი – იმავე ენაზე).

* * *

„რა ფერისაა ქვეყანა, ნეტავ მაჩვენა თვალითა?“ – რა სევდა ვიგრძენი ვაჟას ამ სტრიქონების წაკითხვისას!..

* * *

ხომ გენიალურია, დავით კლდიაშვილის არისტო რომ ბოხოსს დაახეთქებს მიწაზე?

* * *

ლეონარდოს „საიდუმლო სერობა“ სვეტიცხოვლის კედელზე რომ ეხატოს, რა დიდებული საქმე იქნებოდა!

* * *

„ბუნების კარი“, - იშვიათია ასეთი სახელწოდება. ბევრ წიგნს არ ჰქვია ასეთი დიდებული სახელი.

* * *

მინდა, მქონდეს საქართველოს ისტორია ბავშვებისათვის... ისე, დიკენსმა რომ დაწერა და შეადგინა.

* * *

ვიცი, ჩემი ცხოვრება ხანმოკლე იქნება...

* * *

უნდა დავწერო ქართული კომიკური რომანი ლექსად.

* * *

უნდა გავმრავლდეთ მალთუსის ჯინაზე!

* * *

ფიროსმანს ყველაფერი გულუხვადა ჰქონდა: პური ვარო, ღვინო ვარო!

* * *


დავდივარ იმ ადგილებში, სადაც ნიკალას დაუდგამს ფეხი.

* * *

სანჩო-პანსა – იმერელი გლეხია, ზემოური, ან ოკრიბელი.

* * *

ანდაზა: მდივნები წავლენ, წამოვლენ, მწერლები დარჩებიანო.



რუსთაველის პროსპექტზე სიარული
ნუ მომიშაღოს ღმერთმა,
ვიყო მუდამ მხიარული,
ქართული პოეტი მერქვას.
პურის ნაფები და ერთი ღიწრა ღვინო
სიმდიდრედ ჩამითვადეთ,
თუ მეტი ვინაწრო, ან ეს ვითავილო, -
ვერ ვნახო სამოთხის მთვარე...
მხოლოდ დროდადრო დამარეცხანოს
ქაშვეთის შემოხედვამ -
რუსთაველის პროსპექტზე ხეცადი
ნუ მომიშაღოს ღმერთმა!

ფეხით

თამარ კორნაბუჯიძის ფოტო

* * *

ანიკო, ძვირფასო! დღეს ხომ სამი რიცხვია, ბაქოში ვართ ჩასული (პირველი საათია), მივლივართ როსტოვს და მერე სად, არ ვიცი. სიცხე მაქვს და თავი მტკიავ.

ვაგონ-რესტორანი ამ მატარებელს არ ჰქონია და ხომ იცი...

სხვა რა მოგწერო, რომ ჩავალ და მოვეწყობო, მაშინ მოგწერ დაწვრილებით ყველაფერს. მომიკითხე მეგობრები, იყავი კარგად და სულ კარგად.

გკოცნის შენი **ლ ა დ ლ ა ს ა თ ი ა ნ ი**
3. 11. 1939, ლისკი

* * *

ანიკო, ძვირფასო! როსტოვიდან ლისკში ჩავდივარ, გზაში ძალიან ცუდად ვიყავი, ახლა ლისკში ვარ (დამის 5 საათია) და ვორონეჟისაკენ მივდივართ. ნეტავი სად მივდივარ, ვიცოდე მაინც, ან რა მომეღოს?! შენ, ალბათ, კარგად ხარ, დადიხარ თბილისის ცის ქვეშ არხეინად...

სურათები თუ გამოიტანე? იყავი კარგად და კარგად. მომიკითხე ნიკა და სხვ.

გკოცნის შენი **ლ ა დ ლ ა ს ა თ ი ა ნ ი**
6. 11. 1939, ლისკი.

* * *

ანიკო! გაზეთი და წერილი მივიღე, როდის დაიწყო ასეთი მოკლე წერილების წერა? შენ თუ ცუდ ხასიათზე ხარ, მერე მე რა დავაშავე? ცუდ ხასიათზე რომ იყავი, მაშინ უფრო მწერდი, მგონი, და ახლა რა მოგივიდა, ა? პასუხს მოგწერო, რას ქვია, პასუხს მომწერ... ხომ იცი, რომ მე მიყვარხარ და მიყვარხარ არა ისე, როგორც უყვართ, არამედ უფრო მეტად და სხვანაირად, ამიტომ ასეთი რამეები არ არის საჭირო.

ახლა ერთ რამეს გეტყვი: ამ თვის ბოლოს შევებულე აიღე... იქნებ, ჩემი წიგნის დარჩენილი ჰონორარის აღება მოახერხო, შენც ხომ მიიღებ ფულს და ჩამოდი. აქ, საჭმელი, ხომ იცი, იშოვება... თუ ფეხმძიმობა ძალიან არ შეგაწუხებს და თუ სუსტად არ იქნები, აგვისტო აქ რომ გავატაროთ, არაფერი გიჭირს, მეც შენთან ერთად უზომოდ გავიხარებ...

ასე თუ მოხერხდება, ეს გავაკეთოთ, ძალიან ვთხოვ, შენთვისაც კარგი იქნება. მერე აქედან ერთად წავიდეთ. სხვაგან წასვლაზე კი ვერ დაგეთანხმები, შენზე გაბრაზებული ვარ, დღეს შენს წერილს ველი, თუ მივიღე, შეგერიგდები.

ასე, გკოცნის შენი **ლ ა დ ლ ა ს ა თ ი ა ნ ი**
12. 7. 1940. აბასთუმანი.

* * *

ანიკო! გენაცვალე! მივიღე შენი გამოგზავნილი „თაობა“ წერილებითურთ. მივიღე ყურძნის წვენი, რად გინდოდა ამდენი ყურძნის წვენი, ა? რას ხარჯავდი ამდენ ფულს, გქონდეს მაინც?! ეჰ, ჩემო ანიკო, არავითარი საჭირო არ იყო ამდენი „ხლა-ფორთი“, რა საჭიროა, თუ ღმერთი გწამს, ა? უშენოდ ამ ერთი თვის მეტს ვერ გაგჩერდები.

ანიკო, გენაცვალე! გამიგე და მომწერე, - რადიანი თუ არის თბილისში, გაზეთში გიორგი ნატროშვილია თუ ის. მომწერე ეს მალე.

ნახე ჟაკი და ჰეითზე თავისი მისამართი და მომწერე, ქუჩა ვიცი, მაგრამ ნომერი არ მახსოვს კოტე მესხის... არ ვიცი.

ო, ჭირიმე, კაპიკი ფული არა მაქვს უკვე და სამი თუმანი ვალიც მაქვს.

ერთი კიდევ: „თაობაში“ გამიგე, №6-ში ლექსი თუ იბეჭდება ჩემი, ანდა საჯაიამ თუ მიუტანა ნიკას ლექსი, ორი აქვს მანდ ჩემი. მოიწერე ამაზეც. ნიკა ავიაშვილს რა მოუვიდა, არაფერს მწერს? პრეზიდენტში თუ იყო?

ასე, ჩემო გოგო, შენ რომ ამდენი რაღაცეები გამოგიგზავნე, მე რა გამოგიგზავნო?

ალიოშა მოვშია, ხომ?

ასე ჩემო ანიკო! როგორც მე გეუბნები, ისე მოიქეცი, ნუ გეშინია, ჯერ არ მოგკვდები.


გკოცნის შენი **ლ ა დ ლ ა ს ა თ ი ა ნ ი**
24. VII. 1940 აბასთუმანი.

* * *

ანიკო გენაცვალე! მივიღე ფული და გავაგრძელებ კიდევ ვადა 1-მდე. ძალიან კარგად ვარ, ოღონდ შენი ამბავი მაწუხებს. შეწუხებული იქნები, მაგრამ ყველაფერს დაგავიწყებ, რაც გაჭირვება გინახავს.

ლექსები თუ მიიღე, თუ მიიტანე, როგორაა საქმე? ხომ იცი, როგორც ვწერდი, ისე „ჩვენს თაობაში“. იმ ერთი ლექსის გარდა, რომელიც მაგათი ანგარიშით №7-ში უნდა დაიბეჭდოს, კიდევ აქვთ ერთი ლექსი „ასათიანური“ და თუ არ დაბეჭდავენ, გამოართვი. ბიჭები ხომ არ ჩამოსულან თბილისში? ალბათ, 1-სათვის ჩამოვლენ, ალიოშა ხომ არ ჩამოსულა? ლექსები არ დამიხნო, გიგზავნი ცნობას, მაგრამ რად გინდა?

გკოცნის შენი **ლ ა დ ლ ა ს ა თ ი ა ნ ი**
14. 8. 1940. აბასთუმანი



წერილები ანიკოს

* * *

ჩემო ანიკო! წაიკითხე ახლა ეს წერილი და გაიგებ ერთხელ დასამუდამოდ, როგორ არის საქმე და როგორ უნდა მოიქცე. რომ მწერ, ზამთარში მანდ დარჩიო, ზამთარში აქ ძალიან მკაცრი სიცივე იცის, საჭიროა კარგი თბილი ოთახი, შეშა, ნავთი, საჭმელი, ესენი კი ზამთარში აქ ძნელი საშოვნელია,

ბაზარი იხურება, სურსათი თითქმის არ იშოვება, შეშა არ არის. ტყეები რომაა, ხომ არ გგონია, აქ ბევრი შეშა იყოს? ოჯახები, რომლებიც აქ ცხოვრობენ, აქედანვე იმარაგებენ შეშას, სურსათს და ყველაფერს. ჩემსავით მარტოკაცი ცხოვრება აქ ზამთარში შეუძლებელია. ასე მირჩია ყველამ, ექიმებმაც, სხვებმაც, მერე მე, კიდევაც რომ მქონდეს ეს პირობები, ხომ იცი, რანაირი კაციცა ვარ, ჩემი თავის მოვლაც როგორ შემიძლია, ხომ იცი?!

აქ ზამთარში მხოლოდ ისეთი ოჯახები არიან, რომლებიც საკმაოდ შეძლებულნი არიან და რამდენიმე წელია ცხოვრობენ. ზამთარში აქ იმდენი ხალხი კი არ არის, ერთი ლუქანია და მეტი არაფერი, მერე, სხვას რომ თავი დავენებოთ, სამსახურზე აქ ერთი ამბავია, ერთი ადგილის განთავისუფლებას ოცი კაცი შეჰყურებს... როგორც ხედავ, მე აქ ზამთარში ასე ვერ დავრჩები. თუ შენ შეგიძლია მოაწყო ეს ყველაფერი, ოთახიც იშოვნო, შეშაც, სამსახურიც და სურსათიც, დიდი სიამოვნებით, მაგრამ... ვერც შენ და ვერც მე ამას ვერ შევძლებთ.

თბილისში უნდა დავებრუნდე. უნდა ვიმუშაო სადმე და რეჟიმით უნდა ვიცხოვრო. ასე კი არ კვდება ხალხი, ექიმობს და ცოცხლობს. ნამეტან ახსნა-განმარტებებს და მსჯელობებს თავი დაანებე, მე შენზე უფრო მინდა ყველაფერი. უკვე აღარ შემიძლია წერა, ისე მომეშალა ნერვები. თბილისში დავებრუნდები, დაეწყნარდები, და სადაც დაწვინარებული ვიქნები, იქ უკეთესია ჩემთვის და ჩემი ავადმყოფობისათვის.

რა ექნა, შენ ძალიან შეწუხდები, ფეხმძიმედ ხარ, საერთოდ ხალხის შეწუხება კიდევ სირცხვილია. და ამიტომ თბილისში ეცადე ისე ბინის შოვნას.

მოვრჩები, ნუ გეშინია. არჩილმა კიდევ გამოსინჯა და უკეთესი მდგომარეობააო, მერე ჩემი ავადმყოფობა, ხომ იცი, სხვანაირია, ნელ-ნელა მიდის. ჩემი გამოგზავნილი ამანათი თუ მიიღე. ფული არ მაქვს 5 მანეთის მეტი და ფეხსაცემელიც დამეხა. ასე, ჩემო ანიკო, მე უშენოდ ერთ თვესაც ვერ გავჩერდები, გინდა აქ იყო და გინდა სხვაგან, ასეა ეს!

შენი **ლ ა დ ლ**
1940. აბასთუმანი

* * *

ანიკო! მივიღე შენი წერილი. მე არა მიშავს. დღეს დავითვალე და უკვე 10 ახალი ლექსი აღმომაჩნდა...

კაცო, რა ეშმაკი მოუვიდა „ერთცანე“ წიგნს, მაგან გამოჩინა მე ჭლექი, უკვე თვესაზევარი გავიდა და კიდევ არაა. დღეს ვარ კარგად, ფოსტალიონმა მითხრა, დიდი წერილია შენი, წიგნი მეგონა, მივედი და შენი და რეზოს წერილები იყო.

მოიწერე დაწვრილებით, ბავშვი როგორაა. წიგნი თუ იქნა, გამოგიგზავნე.

შენი **ლ ა დ ლ ა ს ა თ ი ა ნ ი**
10. 3. 1941. აბასთუმანი.



ანიკო, გენაცვალე! გიგზავნი ლექსებს (სულ 6 ლექსია), მიეცი სიმონ ჩიქოვანს... „მნათობისათვის“. უნდა დაიბეჭდოს აუცილებლად ასე - ექვსივე, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ მინდა; თუ რაიმე შეიცვლება, თუნდაც ერთი სიტყვა, არც მაშინ მინდა, არაფერია აქ შესაცვლელი, არც სადაოა რამე. აგვისტოს ნომერში რომ დაბეჭდონ, კარგი იქნება. კიდევ გიმეორებ, თუ ასე დაიბეჭდება, თორემ არ მინდა. იცოდე, გავგიჟდები, რომ სხვანაირად რამე მოხდეს, ქვეყანას შევაწრიებ. თუ დაბეჭდვა გადაწყვიტონ, მაშინ მანქანაზე რომ გადააბეჭდინებენ, მერე ნიკას შეადარებინე, თორემ შეცდომები იქნება და გავგიჟდები. თუ ასე არ დაიბეჭდოს, მაშინ გამოართვი, არ დაკარგო, შეინახე, ნურავის აჩვენებ, ჩუმად და წყნარად გააკეთე ეს. კიდევ გიმეორებ, თუ ასე არ დაიბეჭდება, არ მინდა, კარგად დამიხსოვრე. სხვას არავის მისცე, სიმონი სჯობია, ან კარლო.

საგზურისას რას შვრები, უკვე მითავდება ვადა. როგორც გწერდი, ერთი თვის იშოვნე კიდევ, მეტი არ მინდა, მალე, თორემ აქ ახლა ერთი ამბავია. წერილები და ცნობა თუ მიიღე? საგზური თუ მოხერხდეს თორემ გზის ფული გამომიგზავნე და ან ქუთაისში წავალ და მანდ ჩამოვალ.

ასე, გენაცვალე, საჩქაროდ გააკეთე ეს, ანიკო. ლექსებს არაფერი ჩხიკინი არ დაუწყო, არ გადამრიო, შეილივით გაბარებ, იცოდე! წიგნის საქმე როგორაა? აჩვენე ლექსები, ხალხი რომ არ იქნეს, მაშინ, როგორც გწერდი სიმონს ან კარლოს; თუ მოხერხდა ასე დაბეჭდვა, დაუტოვე, თუ არა და ისე ჩუმად წაიღე შინ და შეინახე. რომელი ნომერშიც დაიბეჭდება, სულ ერთია, მხოლოდ ასე და ამგვარი რაოდენობით უნდა დაიბეჭდოს.

ასე და ასე! წერილები მოიწერე.

გკოცნის მრავალს შენი **ლ ა დ ლ ა ს ა თ ი ა ნ ი**
(წერილი უთარილია)

* * *

ჩემო ანიკო! გამოგიგზავნე ქეთო დადიანის ხელით „მანიკრუპა“ და წერილი, ალბათ, მიიღებდი. ამ წერილს ისე ვწერ, საჩქაროდ, ბორჯომში ჩააგდებს კაცი. მე არა მიშავს, ვარ ისე, ნელთბილადო, რომ იტყვიან... ეს სხელება ვერ მოვიშორე.

ანიკო, ასე, ამ თვის დამლევსათვის, თუ მოახერხო, ცოტა ფული გამოგიგზავნე გზის ფულად და გზაში რომ მეყოს; შეიძლება სულ მალე დამჭირდეს წამოსვლა. ხომ იცი, ეს რას ნიშნავს?! შეიძლება, სხვანაირად დატრიალდეს საქმე. ისე კი არ მინდა ფული. იქნებ, წამოსვლაც იქნეს საჭირო, სულ მალე, ეს იცოდე.

მე კი არ მინდა, ძალიან კარგად ვარ ამ სიცხეში აქ და ამიტომ ვთხოვ განგებას, ცოტა ხანს, სანამ ეს სიცხეები გათავდებოდეს, ნუ გამომაგდებს აქედან, თანაც გაძლიერებულ კვებაზე ვარ გადაყვანილი. ანიკო, გენაცვალე, იქნებ ახლა სასაცილოც იყოს წიგნების გავგზავნა-გამოგზავნა, მაგრამ ერთი წიგნი მჭირდება, ძალიან მჭირდება, ერთ რაღაცას ვწერ და ის თუ არ მექნა, ვერაფერს ვერ გავაკეთებ. ეს წიგნი არის ჩემი მაგიდის უჯრაში, რომელში - არ ვიცი, ერთ-ერთში იქნება, პირველად ზევითა უჯრაში ნახე - მარცხნივ რომ ზევითა უჯრაა. წიგნს სათაური არა აქვს, კანი შემოხეული აქვს, პატარა, თხელი, თეთრი წიგნია, თავზე აწერია, მგონი, „ქართველები უძველეს დროში“, თუ „ქართველების უძველესი ადგილმდებარეობა“. აი, წიგნი გამოგიგზავნე ვინმეს ხელით, თუ ქალი ხარ. თუ დავრჩი აქ, ძალიან დამჭირდება. გიგზავნი წიგნის ზომას (ქალაქის), რომ უფრო კარგად მიაგნო. მანდ მელო სულ მაგიდაზე პატარა, თხელი, თეთრი წიგნი. ასე, აბა, შენ იცი, თუ გამიკეთებ ამას.

მანანა როგორ არის? ავად იყო, იწერებოდი...

კარგად დაუკვირდი, სხვა არ გამოგიგზავნი. თუ ზევით უჯრაში არაა, მერე მარჯვენა ქვეითაში ნახე. იყავი კარგად. წერილი მომწერე, აკოცე მანანას.

გკოცნის შენი **ლ ა დ ლ ა ს ა თ ი ა ნ ი**
18. 7. 1942, აბასთუმანი.

Յիսուսն էս ոչ ոք չըմտեցա
 Երկրորդ շաբաթը թե՛ զիսկ
 ոմնիս ձրման Երկրորդ շաբաթը,
 յայնու ժամանակ զիսկ չիկա

Ես բարձրագույն զիսկ չիկա
 Ես բարձրագույն զիսկ չիկա,
 ոչ ոք, երբ Ես զիսկ չիկա
 Ես Երկրորդ շաբաթը չիկա



Երկրորդ շաբաթը Երկրորդ շաբաթը
 Ես չիկա զիսկ չիկա զիսկ չիկա
 Երկրորդ շաբաթը, Երկրորդ շաբաթը
 Ես չիկա զիսկ չիկա զիսկ չիկա

«Երկրորդ շաբաթը, Երկրորդ շաբաթը»

მედიუმი

ქ. ქუთაისი, გაზეთ „ინდუსტრიული ქუთაისის“ რედაქცია
მმა, გოგი! შენი ლექსი უშეცდომოდ დაიბეჭდა, რომ მწერ, ესაა, ბიჭო უშეცდომოდ?!
წათების მაგიერ - წაქები წერია, ნაღული რომ დაგეწერათ, უკეთესი იქნებოდა, წინმძღობლის მაგიერად - წინმძღობლი. ისე-სიმაგიერად ისევ და სხვა. განსაკუთრებით ეს „ისევ“ ამხინჯებს აზრს. ზევით სამ სტრიქონში ისევ არის ნახმარი და თქვენ, ალბათ, იფიქრეთ, მეთხევეთ, „ისევ“ იქნება, და გაუშვით ასე. მეთხევეთ უნდა იყოს „ისევ გულდაგულ შევარდნენ“. თქვენ გაგიწყლათ მწა, თქვენ!
სოფელში ყოფილხარ, ბიჭო, გაზეთის მუშაკი ხარ, ცოტა დაწვრილებით რომ მოიწერო, არ შეგიძლია?! რა არის ეს ორი პწკარი!
მე არა მიშავს, ოთახი მივიღე ტერჟინსკის ქ. №3-ში, მაგრამ ჯერ კიდევ „სახლავფორთოა“ და დამჩნება თუ არა, არ ვიცი. თუ მოახერხო, გამოიარე აქეთ. მანდ წესიერად იყავი, წერილები მოიწერე.

მოგიკითხეს ანიკომ და მანანამ. მომიკითხე ჩვენები და რედაქციის ხალხი. იყავი კარგად. შენი მმა ლადო ასათიანი 5. 12. 1942, თბილისი * * *

თბილისი, მანაბლის ქუჩა №13, „ჩვენი თაობის“ რედაქცია. ძვირფასო ნიკოლაი! გიგზავნი მწერალთა კავშირის მომართვას... უთხარი ალიოს კიდევ ჩემს შესახებ, აჩვენე ეს ცნობა და - საერთოდ - ასე: მესამე ნომრისათვის აუცილებლად უნდა ვიქნე. გულის ფანცქალით ველი. „მნათობი“ გამოვიგზავნე, როგორც კი დაიბეჭდოს, ხომ იცი, ვდნები, სანამ მივიღებდე. აბა შენ იცი, ნიკალამა, აბა შენ იცი!

სალამი ალიოს, გიორგი ნატროშვილს, ალექსანდრე გომიშვილს, ჩემს უცნობ და პატრივტულ სახლიკაცს ასევე პატიოსანი და ალაღმართალი კაცისაგან. ამ დღეებში მაქვთ ვაპირებთ გამოსეირნებას შალიკო კახაიძე და მე. ვესტუმრებით ჩვენს საყვარელ თბილისს და დაგვხვდით მანდ, თუ ბუჭები ხართ.

მაგრად ხელს გართმევს შენი ლადო ასათიანი 31. 3. 1938, ქუთაისი. * * *

თბილისი. მწერალთა კავშირი, „ჩვენი თაობის“ რედაქცია ნიკალაი! როსტოვში ვართ, ირგვლივ თოვლია და ყინვა საშინელი. არ ვიცი, სად მივდივართ, მე ავად ვარ, სიცხე მაქვს 37,5, უფრო უარესად ვიყავი გზაზე. ექიმიც კი გამოიძახეს ჩემთვის მანაჩყალიდან.

არაფერია, გაუძლებ! შენი ლადო ასათიანი 5. 11. 1939, როსტოვი გავლით. * * *

თბილისი, მწერალთა კავშირი, „ჩვენი თაობის“ რედაქცია ნიკალაი ჩემო! როგორც იქნა ჩავედით „უკანასკნელსა განსასვენებელს ალაგს“. ავადმყოფობამ გამოიარა და ახლა არა მიშავს რა, მიუხედავად საშინელი სიცხეებისა, და სიცხეებში, ხომ იცი შენ, როგორი ვაჟაკია ლადიმე ასათიანი. ამიტომ, რანაირად ვარ, ნიკალაი, რომ იცოდე, თვალები დაგიხვედნება. დავით გურამიშვილის „ქართლის ჭირის“ ოცდამეთორმეტე ტაეპი წაიკითხე და ისე ვარ, იქ რომ წერია.

ისე, ჩემი საქმე, ჯერ არ არის გარკვეული, სად ჩამრიცხავენ, არ ვიცი, რადგანაც ავად ვარ, მეუბნებიან, მწყობრში არ გატარებენო, სადმე სხვა საქმეზე დაგნიშნავენო. მეც დღე-ღამეზე უუცდი ამ „საქმეს“...

მირზა უკვე წასული იქნება და შეიძლება ახლა ფინეთის ომში იყოს. ჩემს მდგომარეობაში ყოფნას ბრძოლებში მონაწილეობა მირჩვენია!

გამომიგზავნე მისამართი, - წერილს მივწერ. ფული ჯერჯერობით მაქვს, თუ შემომელია, იცოდეთ, არავის მოგერიდებით.

მართლა, სამხედრო ფორმა მაცვია, რომელიც, უნდა გითხრა, ცოტათი კიდევ მიხდება და ნამდვილ ბუმბერაზს ვგავარ.

შენი მმა ლადო ასათიანი 10. 11. 1939, ოსტროგორსკი. * * *

ამ წერილთან ერთად გიგზავნი ერთ ფო-



ტოსურათს. ეს ლადო ასათიანია, წითელი არმიის რიგითი ჯარისკაცი, რუხმაზარიანი ქართველი ჭაბუკი, თავზე ბუდიონური ქუდი ახურავს, საფეთქელთან ხელთათმანიანი ხელი მიუდევს, გამოვკვირულა და გესალმება: „სალამი და გამარჯობა, ნიკალაი, მმა! ეს მე ვარ, შენი უმცროსი მმა, ლადიმე“.

„აჰა, ნახე ჩემი სახე, თუ მოგწონდეს(!), შეინახე, და თუ არა, არას დავედვ, ბუნარშიაც შეუძახე!“

(ეს სტრიქონები ერთი ძველი ალბომიდან მახსოვს, ჩემი არ გეგონოს).

რადაც ღმერთი შემეწვია, ძალზე კარგად ვარ. თანაც ის მიხარია, რომ ყველანი პატივს მცემენ და კარგი ავტორიტეტიცა მაქვს ახლა ამხანაგებში, ასე რომ, თუ გამოთავისუფლეს და წამოვედი, ნამდვილად გული დამწყდება...

გუშინწინ ვიყავი ქალაქ ვორონეჟში, ბევრი ვიარე მის ქუჩებში. აქვეა პოეტების - ამ ქალაქის მკვიდრთა - კოლცოვისა და ნიკიტინის საფლავები, ოღონდ ახლა ისინი თოვლითაა დაფარული. ტვერად მიმდგარი ვერხები მირიადი ყვავებოთაა მინაბული ყველგან და ყოველ ნაბიჯზე. გაგიკვირდება, რით იკვებება ამდენი ფრინველი! ამაოდ ებრძვის მათ ამ დიდი პარკის ადმინისტრატორ-ზედამხვედელი. ნეტავი როგორი იქნება ეს მიღამობები ზაფხულში?

ხელახლა გადავიკითხო კოლცოვისა და ნიკიტინის სევიანი, კვლავური ლექსები, დავთვალე მათი და სტანკევიჩის ლიტერატურული მუხუმი (სტანკევიჩი აქაური იყო), კრამკოის სახელობის სამხატვრო გალერეაში დავათვალიერე რეპინის, ლევიტიანას, პოლენოვის, აივაზოვის და თვით კრამსკოის (ისიც ვორონეჟელია) შედევრები. კინო-თეატრებში ვნახე ქართული ფილმები - „ვინ არის ღამნაშავე“, „ელისო“ და „ჯიმ შვანთე“. გასაოცარია, სად ჰქონდათ გაღანახული ამდენ ხანს ეს სურათები? ვუშხერდი მათ და თავი საქართველოში მეგონა.

ეჰ, ჩემო ნიკლაიუნეკა! რამდენი რამე მინდა მოგწერო, მაგრამ თავს არ შეგაწყვენ. არც გეცლება წაკითხვისათვის.

ისე კი, შესაძლოა, ორ კვირამ ვნახო... სიტყვა სამხედრო-საგანრიზო კომისიის ეკუთვნის. ლადო ასათიანი, 22. 11. 1939.

საფოსტო ყუთი 27/2, მეექვსე ასეული. * * *

გამარჯობა, ნიკოლოზ ძვირფასო! გუშინ მომიტანა გოგუცამ შენი წერილი და ძალიან გამახარა. სამი თვეა სრულებით აღარ ვიცოდი შენი ამბავი. ანიკომ მომწერა აბასთუმანში, ფრონტზე არისო, სხვა არაფერი არ ვიცოდი. ვწუხდი, რასაკვირველია...

კარგია, რომ ღონიერად და მაგრად ყოფილხარ, ისიც კარგია, რომ კარგ ხასიათზე ხარ, მაგრამ უფროსილი, არაფერი მოგეწიოს, ავიაშვილი! აბა, მითხარი, რა ჩვენი საქმეა ომი! ისიც ასეთი სასტიკი ომი. ჩვენ სენაკებში უნდა ვისხედეთ და წიგნებში ვიქექებოდეთ შანდილიანი სანთლების სინათლეზე, ან სადმე მწვანე ეზოში „ბჟოკაკალეს“ ძირში ვიწვევთ პირდაპირი და უნდა ვიცოდეთ, როდის ჩავვივარდება მწიფე „ბჟოკაკალე“ პირში. ან კიდევ ბუნებაში, სიწვანარესა და სინელებში ვოცნებობდეთ და ვოცნებობდეთ... ჰოდა, ომი არაა, ძამა, მე და შენი საქმე, მე

მედიუმი

და შენ ვიკინგებად არ გამოვდგებოდი, მით უმეტეს, კოჭუბაძე წყალში ცურავდა ძლივს რომ იცი. თუმცა ისიც წამიკითხავს, ერთ ყველაზე სახელგანთქმულ მეკობრეს, რომელიც თურმე თავზარსა სცემდა მთელ ხმელთაშუა ზღავს, ცურვა არ სცოდნია და ცოფიანივით ემინოდა წყალში ჩასვლის...

მე - დაწყვეტილი ლადო ასათიანი - ერთი კვირაა, რაც გეახელით თბილისს. თითქმის ხუთი თვე გავატარე აბასთუმანში აბსოლუტურად მარტომ - სულ წიგნებთან, არავითარი გაუმჯობესება არ მიმიღია ჯანმრთელობის მხრივ. ჩემი ფილტვების მი-



ხედვით მე მალე უნდა მივიცვალო, ძვირფასო, და, აბა შენ იცი, ცრემლებს თუ დაღვრი. როცა ჩამოხვალ, შენ ნახავ ჰეგზამეტრებით წარწერილ ეპიტაფიას ჩემი სამარის ქვაზე.

ახლა, რაც შეეხება ჩემს პოეტურ მოღვაწეობას, ვიცი - გაინტერესებს. ბევრი არაფერი დამიწერია, არც ისეთი რამ მაქვს ამჯერად, შენ რომ მწერ, რაც თქვენი ვაზეთისათვის გამოდგება, და ამიტომ ნუ დამემღერები. დაწერე რამდენიმე ლექსი: „გულბათ ჭავჭავაძე“, „ქართული ოქროსმადილები სიმღერა“, „ირმების შეთქმულება“, „სუმბული“, და ერთიც 300- სტრიქონიანი ისტორიული პოემა თუ ბალადა „ბასიანის ბრძოლა“, თამარ მეფის დროიდან... ეს ნაწარმოები გასულ კვირას თავიდან ბოლომდე მიკროფონთან წაკითხე და მოვასხენე საქართველოს. „მნათობში“ იბეჭდება. სხვებიცა მაქვს, კაი-კაი „ასათიანური“.

თუ ავადმყოფობამ არ შემიშალა ხელი და არც სხვა რამე უხიაგობა არ გამომიტყვრა საიდანმე, მინდა ცალკე წიგნად გამოვიცე „ასპინძა“, ეს ბალადა და სხვა ასეთი ლექსები. დამპირდნენ გამოცემას. წიგნს „წინაპრები“ უნდა დავარქვა. „წინაპრების“ გეგმა უკვე მოფიქრებული მაქვს. წიგნი არ იქნება დიდი, ზომით ძალზე პატარა - შიგ მოთავსდება სულ 16 ლექსი: „სალაღობი“, „ცხრა მმა ხერხედი“, „ქართული ოქროსმადილები სიმღერა“, „ასპინძა“, „გულბათ ჭავჭავაძე“, „კრწანისის ყაყაობები“, „ციხის სიზმარი“, „ქართული ენა“, „ბასიანის ბრძოლა“, „მანანა ორბელიანის სურათზე“, „ბაბუაჩემი“, „ბარდნაღა“, „საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი“, „პირველი მჭვლელები“, „სარწმუნო“, „ივანე ჯავახიშვილისადმი“...

თუ ცოცხალი დავრჩი და შენც ცოცხალს მომიხსწარი, როცა ჩამოხვალ, კაი ლამაზ წიგნს დაგახვედრებ... მგონი, არ იქნება ცუდი. ვინდო მისმა გამოხვედამ ეს უდიდებო სიცოცხლე ოდნავ გამიხანგრძლივოს. ესაა ჩემი იმედი.

ეჰ, ავიაშვილო, ასე ეს! რამდენი კილომეტრითა ვართ ერთმანეთს დამორებული? მომენტარე! ახლა, ალბათ, სადაც ზღვისპირეთის მთებში იქნები შებუღებული და გერმანელ სნაპერებს ეძალები. ღმერთმანი მომენტარე. უთუოდ - შენც გენატრება ლადო ასათიანი და აქაურობაც... ჩამოდი, ჩამოდი, მაგ ძალთაპირ ფაშისტებს უშენოდაც მოუვლიან!

წერილი შევწვიტე (მწერალთა კავშირში ვწერ) სიმონ ჩიქოვანის მოსვლის გამო, რომელმაც, მოვიდა თუ არა, თუმანი მოხოვა. მივეცი თუმანი - შემთხვევით მქონდა, და მეტე ჩემი ზემოხსენებული „ბასიანის ბრძოლა“ წავუკითხე. გენიალურიყო, მითხრა.

წერილი კიდევ შევწვიტე. ბესო ჟღენტი მოვიდა და მკითხა, რას თხზავო. მე ვუთხარი, წერილს ვწერ ნიკას-მეთქი. სად არის ნიკაო, ფრონტზე-მეთქი, მოკითხავო და სხვა.

ახლა სიმონ ჩიქოვანი მოვიდა ისევ. თუ კაცი ხარ, გულწრფელი მოკითხვა მისწერო, წერილის ხასიათზე არა ვარ და ჯერ ვერ ვწერო. მეც გწერ გულწრფელ მოკითხვას.

ახლა კიდევ მოდის ავერ ვილაძე, მაგრამ ასე ვეღარ გავაგრძელებ, რადგან, შეიძლება, პიესის წერას მივეწვიო, და ხომ იცი...

ანიკოსა და ჩემს ქალიშვილს გადავეცი შენი მოკითხვა. მოგიკითხეს იმათაც დიდი სიყვარულით. აქ რომ ჩავედი, ახალი ფუნავორები დამახვედრეს - აი ერთ-ერთი მათგანი:

კაჩინილი კატის კნუტად კანტს კითხვობს კანტი-კუნტად... ჯერ „არ ვიცი“, ვის ეხება.

სხვა რაღა მოგწერო, ნიკოლოზ ჩემო, გოგუცაც მოვიდა ავერ და უნდა მივეცე წერილი. თუ მმა ხარ, თავი დაანებე მანდ ფხაკურს და წამოდი აქეთ - მოტოციკლეტით. ასე და ასე:

ნიკაია მოხალისევე, მალე თბილისს მოხვალ ისევ! იყავი მაგრად და მაგრად. გწერს შენი ლადო ასათიანი 24. 9. 1942, თბილისი.



ნიკოლოზ დიმიტრის ძე! რამდენიმე ხნის წინათ შენგან გამოვხავენილი წერილი გადმიმცეს. გამიხარდა, რომ კარგად ყოფილხარ და მაგრად.

იცავ შენი ზღვისა და კავკასიონის მისაღვობებს. მაგ მიღამობში ჩვენი საყვარელი ლერმონტოვიც იბრძოდა თენგიზის პოლკში. ალბათ, იმ სოფელ თენგიზას, წერილში რომ ასხენებ, ლერმონტოვის პოლკიდან დაერქვა სახელი.

ჩემს ამბავს კითხოულობ... ძალზე გიმადლი, მანდდანაც რომ არ მივიწყებ, ოღონდ რა მოგწერო, რა გითხრა, მეც აღარ ვიცი, როგორ ვარ და როგორ ვავა ჩემი საქმე. ამის გამო დუმილს ვამჯობინებ...

ახლა თბილისი დაცარიელებულია, მაგრამ კიდევ დარჩნენ ევროსინეები... ო, როგორ მძულს და მეზიზღება ზოგი ხეპრე და ბოთლის თაყვანისმცემელი, კარგად ნასაღი-ღვი ადამიანის სახე რომ აქვს. საზარელია მისი ტანისამოსი, ადნაგობა, ყველაფრით რომ კმაყოფილია, თითქოს რომ არაფერი არ აკლია, ყველაფერი თავის ადგილზე რომ აქვს, მაგრამ არ გააჩნია შრო, ლაზათი და მშვენიერება, თვალეში უაზრობა ჩასდგომია...

ჰე, უნიკალური ნიკალაი! ბევრი, ძალიან ბევრი მინდა გავაკეთო. მაგრამ... „როდისღა, ჩემო მოჭირნახულევ?“ ამ ამბებს ერთი ხანგრძლივი კაცის სიცოცხლეც კი არ ეყოფა, მე

კი... „დაქორწილა ქარმან სასტიკმან“. მაგრამ, რასაც მოვასწრებ, ვეცდები ისე კი ძალიან უნუგეშო ჩემი ყოფნა. ხანდახან, როგორც იტყვიან, მარტო საკუთარი ლანდი თუ ჩრდილი დამრჩა მეგობრად და ისიც მზიან დღეში. ავდარში სულ მარტო ვარ და სული ამომძვრა, პარაშუტზე ჩამოკიდებულ ადამიანს ვგავარ, ცისა და მიწას შუა გახიზულს.

დღეს „ბასტიონის“ წაკითხვა მომენტატრა: შესავალი სტრიქონები, კვირიას სიზმარი, ლელას გამოჩენა, ლუნუმი და გველი... ესაა თითქოს ყველაფერი და კიდევ, შინ რომ შევბავებ, ჩემი ჩიტუნია-შხეწვია, ჩემი პაწაწინა მანანა...

მშვიდობით საყვარელო და ტკბილად მოსაგონარო. შენი ძმა **ლადო ასათიანი** 16. 12. 1942, თბილისი.

* * *

ნიკალაი, ძვირფასო! რომ იცოდე, როგორი გაზაფხულია თბილისში, ყველაფერი ყვავის, ყველაფერი ხალისობს. რა იქნება ჩემს ბარდნალაში! ჩვენს ღელეებში ახლა ამოდის ფშალა, გაფურჩქნილა ძეწა და ტირიფი, ქალები კრეფენ ადრეულ ეკალას, იფრქვევა ახლად მოხული მიწის სუნი, მალე დაიჩეკებან პირველი ბარტყები, ჩეროში სკუპსკუპით დახტან თეთრ-თეთრი თიკნები...

სულ მენატრება და მელანდება ასეთი სურათი: თინდება, ყველაზე უწინ ჩიტების ჭიკჭიკი და ფლურტული ჩამქსის ყურში, - თვალბს ვჭყეტ, ზეზე წამოვარდები, ფეხშიშველი, თავქუდიმოგლეჯილი გავვარდები კარში! მზე ახლად ამოდის, გუმარემის ჭალებში ჩრდილები წაგრძელებულან, გავრბივარ მდლოზე, ცვრიანი ბალახი შემინიჩხინებს ფენის გულში და მთლად გავილუმპები... ერთი ასეთი სოფლის დილა ღირს მივლ სიცოცხლედ. ესაა მიწის სინდლე და სურნელება, - ვაჟასა და ფიროსმანს რომ უყვარდათ! „ცვრიან ბალახზე თუ



ფეხშიშველა არ გაიარე, რაა მამული?!”

მე კი... ძლივს დავლოდა... ბოტანიკურ ბაღშიც ვეღარ გავდივარ, რაა გამხედლებს?!.. უკვე აყვავდა გლიცინიები მწერალთა სახლის ვერანდაზე. ვზივართ ბაღში და ვუსმენთ ცოცხალ კლასიკოსთა დინჯ ბაასა და მოგონებებს. ხანდახან აივნიდან კონსტანტინე გამსახურდია გადმოგვხედავს და გადმოგვძახებს: „ვეფხვებო!“ „ჭაბუკებო!“ და კაი გამარჯობას გვეტყვის, როგორც შემეშინის კაცურ კაცს. მაგრამ ვინდა „ჭაბუკი“ და „ვეფხვი“?

ჰემინგუეის „კილიმანჯაროს თოვლიანი მთები“ ხომ გახსოვს? ისევ მოგვიღე ხელი და, თუ შევძელი, უნდა ვთარგმნო. დედანში უნდა კითხულობდე ასეთ ნაწარმოებებს და იქიდან უნდა თარგმნიდე. ჯერ თარგმანი რაა, და თარგმანის თარგმანი რაა იქნება, - მდიდარი კაცის ნაწიქარი გამონაცვალის ტანისამოსი რომ აჩუქო შენზე ღარიბ ნათესავს, იმას ემგანება.

ნელ-ნელა ვთარგმნი ბლოკის. ჩვენი გალაკტიონისა არ იყოს, ბლოკი მართლა ღმერთია... ბონდო სვანეთშია და იქ მასწავლებლობს, მირზა ისევ ბრძოლებშია და მისი ლექსები დროდარო გაივლებენ გაზეთებში. ნატიფი და მოხდენილი, პირმწაზარი საჯაია, ჩვენი კოკი - ალიომა, მოკითხვას ვითვლის... მალზე მოსაწყენ რამერუმებს „გვერავ“, მარა ნუ მიწყენ. მეტი საინტერესო აქ არაფერია.

რია. საინტერესო და საყურადღებო ახლა მაქაური ამბებია. ნეტავი შენ, რომ ბევრ რამეს საკუთარი თვალთ ნახავ და მერე მოსაგონარი და გასახსენებელი აღარ დაგველევა.

საერთოდ, ვეღარ ვძლებ შინ მყოფი, ვიწრო ოთახში, თითქოს კუბოში ვარ, ცოცხლად მდებარე, მზის მონატრული. რომ მოეკვდე, ნეტავი ამაზე უარესი თუ იქნება ის კუბო?! ამის ბრალია, ალბათ, თითქოს ყოველ ღამითა და დღისითაც, როცა ოდნავ წავთვლებ, სულ თავახდელი კუბოები მეზმანება.

ახლა ჩემთვის უძილობის გამო საუკუნის ღამე ჩამოდის და თვალს დაგვუჭავ თუ არა, საშინელი სიზმრები არ მასვენებენ... სულ ერთი და იგივე, სულ ერთი და იგივე - უცვლელად: ვითომც, ვწევარ ერთს შავ რკინის კუბოში, გარშემო უამრავი კელაპტარი ანთია, მათ ლიფლიფზე შავ კატებს მხრებზე შეუდგამთ ის კუბო და ამაზრზენი კნავილ-



ჩხავილით, კულების სხმარტალითა და შესაზარი თვალთა ბრიალით, „კუბო“, „კუბოს-ს“ ერთობლივი შემადრწუნებელი მახილითა და გნასით მიმაქროლებენ საღდაც... შემდეგ ის კატები ქრებან, კუბო უღრიალით ენარცხება მიწას და ის კატებიც დახოცილი მაცვივიან თავზე. კუბო ივსება მათი გახრწნილი, რბილ-რბილი, ამყრალებული ლემით, გაგურბი მძორის საშინელ მყარ სუნს, მაგრამ მუხლები მეკვრება, ძირს ვეცხ და ვიღებ ოფლში გალუმპული. ჯერ არავისთვის გამოხელია ეს ამაჟი.

შენ იცი, როგორ მიყვარდა ცხოველები და მათ შორის კატები!..

გახსოვს, ჩემი საყვარელი ბერანჟეს ლექსთა ძველ კრებულში იყო მშვენიერი სურათი - ერთი სიმღერის ილუსტრაცია: ბავშვებს რომ ეწვევა შავი კატა! პატარა ბავშვით მახარებდა იმ სტრიქონების წაკითხვა და სურათის დათვალიერება. ახლა ამ საშინელმა სიზმრებმა ყველაფერი შემაძაგეს და შემაზიზღეს...

მენატრება ამხანაგები, სტუდენტობის მეგობრები: რაჟდენ შუკუბულიანი, მიმა ალაკიძე, შოთა ქურიძე, სხვები და სხვები... მენატრებით ყველანი, მაგრამ ბევრი თქვენთაგანი აღარა ხართ ჩემს ახლოს, ზოგი ომის გზებზე ხართ დამდგარი და სხვები კი სხვადასხვა მხარეს მიმოვფანტათ ცხოვრების მდინარეებში ამ მძიმე წლებში!..

იყავნ მშვიდობით, ჯვარიმც გვეწეროს... ვერ გეტყვი, ნახვამდის-მეთქი, გნახავა კი? შენი ძმა **ლადო ასათიანი** 20. 3. 1043, თბილისი.

* * *

აკაკი გაწერელიას თბილისი, მანაბლის ქ. №13 ძვირფასო აკაკი! როგორც მოგესხენება, აბასთუმანში ვარ. თოვლი არაა, მოწმენდილი, მზიანი ამინდებია - გაზაფხულის ამინდები. ჩემი ცხოვრება ამჟამად შემდეგნაირად მიმდინარეობს: ვხეტიალობ, ვთამაშობ ბილიარდს, ვკითხულობ და ვწერ ხანდახან „რაღაც-რაღაცებს“. ცალკე ოთახი მაქვს და ვარ ბერივით...

შენი „მამილი“ წავიკითხე, მომეწონა. შესანიშნავი იქნება შენი დიდი წიგნი. შამილზე დიდი ხანია მინდა დაწერო ლექსი, შენმა წერილმა ამაღებინა კალამი ხელში, მაგრამ... სხვა შენ როგორა ხარ, აკაკი? ვერღენს



ვკითხულობ, (შესანიშნავი წიგნი მაჩუქე, გასაგიჟებელი ლექსებია. ბრიუსოვის წერილიც ძალიან მომეწონა).

თბილისში ამ თვის ბოლოს ჩამოვალ, მანამდე უნდა ვიმარტვილო აქ, მეტი ჯანი არაა, ძალიან კი მომწყინდა. ჩემს წიგნს თუ ეშველება რამე, ალბათ, იმ დროისათვის იქნება. მოგართმევ, სადმე თბილისის კაფეში რომ დაგსხდებით „სამღურაუებისათვის ამა სოფლისა“.

მეგობრობით **ლადო ასათიანი** * * *

მიხეილ ალაკიძეს მიხეილ ნესტოროვიჩ!

იყავით კარგად და სულ კარგად; სხვა რაღა გისურვო, ისედაც გამარჯვებული ხარ. მხოლოდ ერთ რამეს ვთხოვ - ჩემს ძმას, გიორგი მექის-ძე ასათიანს დაეხმარო ინსტიტუტში მოწყობაზე და, ერთი სიტყვით, უნდა მოაწყოს! აბა, რას მიკეთებ მანდ! უნიჭო ბიჭი არაა, არ შეგარცხვნივ, გამოცდებსაც კარგად ჩააბარებს და ა.შ.

მაპატიე ასეთ მინჯღრეულ-მონჯღრეული წერილისათვის, - შენ ჩვენი მიმიკო არა ხარ?! იყავი კარგად. მომიკითხე პუტია და სხვები. შენი **ლადო ასათიანი** 10. 7. 1039, თბილისი.

* * *

მირზა გელოვანს საყვარელო ძმაო მირზა!

გაგიკვირდება ალბათ, თბილისიდან წერილს რომ გწერ, მაგრამ წუთისოფლის ბრუნვამ ასე ისურვა და მე, სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებული, ისევ დაგებრუნდი ტფილისს, ვარ ისე, საშუალოდ. არა მიშავს რა, დავდივარ უსამსახუროდ და უფულოდ თბილისის ქუჩებში და მაინც არ ვწუხვარ, რადგან საქართველოში ვარ, ხომ იცი, სხვა საქართველო სად არის...

საინტერესოა შენი ამბავი. როგორ შეეთვისე, გელეკანოვიჩ, ჯვარსა, ლეიტენანტობა ხომ არ მიგელია მევესეულად, ახლა „მნათობში“ ვზივარ და ვწერ წერილს. ჩემს ირგვლივ მთელი გაღურეა შესანიშნავი ადამიანებისა. კონსტანტინე ლორთქიფანიძე და დემნა შენგელაია რაღაც მოთხრობას ჩაჰკირკიტებენ, კარლო კალაძე ახლა შემოვიდა (ვორში იყო, „ნაგორალია“), „მნათობის“ მე-9 ნომრის ჰონორარს წერს. ასე რომ - ჩაბარა ჟურნალი, რომელიც ახლახან მოიტანა მოსანმა მიკრიკმა. ნიკა აგიაშვილი დივანზე ზის და იოსებ ნონეშვილს ელაპარაკება ჰომეროსზე, გაბრიელ ჯაბუშანიური „მნათობს“ კითხულობს. ალეკო შენგელია დნება ჰონორარის გამოწერის მოლოდინში და ასე, ამგვარად, არის დაუსრულებელი მოძრაობა და წვა პოეტთა, პროზაიკოსთა, კრიტიკოსთა, პოეზიის მოყვარულთა, მემანქანთა და მრავალთა...

მირზაჯან, რა კარგი იქნებოდა, რომ შენც მოხვიდე ახლა აქ. ძველებურად ავივლიდეთ, ჩავივლიდეთ... ყოჩაღად იყავი, ყოჩაღად! ლექსები დაწერე და გამოგზავნე. მე აქ ვარ, იცოდე, ყოველ წუთს გაგახსენებ შენს თავს ყველას. ჩვენი ლექსები მე-10 ნომერში უნდა დაბეჭდილიყო. ხომ იცი, გადაუდვიათ მე-11-ში... ამაზე მე ავტებე ერთი ამბავი და აწი აღარ განმეორდება ესეთები.

სხვა შენ, ალბათ, წერილს იქ გამოგზავნიდი, სადაც ვიყავი. მე გამოვასწარი იმ წერილს. ახლა, მირზა, მომწერე წერილი, წერილე-

ბით მაინც ვიბასოთ და ამასობაში ეს დროც მალე გაიარს. დღეს მივდივართ დედაშენთან მე და ნიკა აგიაშვილი, მიმაქვს შენი სურათი და გვინდა, გავახაროთ მშობელი შენი.

იყავი რკინასავით. გკოცნის შენი ძმა **ლადო ასათიანი** 22. 12. 1939, თბილისი.

* * *

კოტე ხიმშიაშვილს ძმაო კოტე!

ჯერ მოგილოცავთ ბედნიერებას და გისურვებთ ორთავებს, ცოლსა და ქმარს, ერთ ბალიშზე დაბერებას. ჰაი ვიდი, რომ მართლაც კარგი ქორწილი გამოვტოვე, მაგრამ ფაქი რომ არ გყოლია, ეს კი ვერ მოგსვლია კარგი! კოტეჯან, ფაქი ქორწილის რუპორი იქნებოდა, შინ და გარეთ.

შენი პირველი წერილი რომ მივიღე, ძალიან გამეხარდა. ჩვენ უთუოდ საერთო გვაქვს როგორც ცხოვრებაში, ისე ლიტერატურაში. ძალიან შორს ვიყავით ერთმანეთისაგან. შენი არ ვიცი და მე ამაზე გულიც მომდიოდა, ხომ იცი, ჩვენს პატარა წრეში ბევრი არაა ისეთი, რომ „რამზე“ ფიქრობდეს, „რამე“ აწუხებდეს... უფრო სწორად, მე მიყვარს პატიოსანი მწერლები, მე მგონია, გამოგებ, რა პატიოსნებაზე ვლაპარაკობ... ეს ის პატიოსნებაა, რომლისგანაც ძალიან შორსაა დღეს ბევრი ქართველი მწერალი... მომწონს მე შენი „ჯონქს“ სწორედ ამ პატიოსნებისათვის...

მწერ, როგორა ხარ ქვეზე, წერ თუ არა? ვერა ვარ, კოტეჯან, მთლად კარგად, მაგრამ წერით ხანდახან გავკრავ ხოლმე... ისე კი, მოგხსენება, აგარაკი საკმაოდ ანერჩეტებს კაცს, სულ სხვაა, შენს ეზოში, საკუთარ კაკლის ხის ქვეშ რომ წევხარ, მაგრამ სადაა ახლა საკუთარი ეზო?! ეზო არ ვიცი და რეზო, როგორც შენ მატყობინებ, მაშაშვილთან ერთად წასულა სვანეთში...

მივიღე „თობა“ მე-5-ე, სავსე კორექტურული შეცდომებით, დამიმანინჯეს ყველაფერი: „ქნარის“ მაგიერ „ქარი“ სწერია და კიდევ სხვა მრავალი, მაგრამ „წვიმაში“ რომ მაინც გადავრჩი, ღმერთს მადლობა!

ასე, კოტეჯან, ნუ დაფიქვებთ ერთმანეთს თბილისში. სექტემბერში, ალბათ, თბილისში ვიქნები. მაგრამ გართმევ ხელს

შენი **ლადო ასათიანი** 25. 7. 1940, აბასთუმანი.

* * *

კოტეს სიცოცხლე!

მოგხსენება, აბასთუმანში ვმარტვილობ, ზამთარი აღარაა, გაზაფხულია, საერთოდ „გაზაფხულია ჩვენს ქვეყანაში“. მაქვს ცალკე ოთახი და ვკითხულობ უმეტესად, ბევრი არაფერი დამიწერია, „რაღაც-რაღაცები“ მაინც მოგახსენებ... შენ როგორ ხარ? რომანის ბეჭდვა თუ დაამთავრე? სასახლეში თუ დადინარ და რა ამბავია? წიგნის გამოცემის საქმე როგორ მიდის? ჩემს წიგნს ხომ უყურებ, ჯერაც არსად ჩანს... ოჯახად როგორ ხართ, ოჯახად? მთავარი ესაა!

ეკ, კოტეჯან, არ ვიცი, რა მოგწერო... რა უნდა მოგწერო, როცა ქვეყნის გადაბრუნებაზე ვოცნებობდი და ახლა აბასთუმანში ვზივარ ტუბინსტიტუტში. მაინც, ეს ინსტიტუტი რომ ვერ მოვიშორე - ჯერ ხომ პედინსტიტუტში ვიყავი და ახლა კიდევ ტუბინსტიტუტში!

ასე და ასე, იყავი კარგად. გულწრფელი საღამო შენს მუღლეს, თუმცა საღამოზე არ დამესწარით ცოლ-ქმარი. მომიკითხე ბიჭები: ვოლდემარი, რეზო, გრიმა და ყველა, ვინც კაი ბიჭია, წერილი მოიწერე. გართმევ ხელს

შენი **ლადო ასათიანი** 6. 7. 1941, აბასთუმანი.

* * *

რევაზ მარგვიანს ძმაო რეზო!

მივიღე შენი ბარათი სწორედ იმ დროს, როცა შენთვის წერილის მოწერას ვაპირებდი და, ჰა, გწერ კიდევ. საყვედურს ვერ მივიღებ, ძმაო, არ დამიწიყვინებარ. სხვა?! საღამოებს მართავთ და მართავთ. ალიომა მწერს, რეზო საღამოსათვის ემზადება, დატვირთულიაო. ჯაბუშანიურის საღამო... ახლა შენგელიას საღამოც იქნება თურმე, მაგრამ ლექსებს თვითონ რომ ვერ წაკითხავს?! თუმცა მერე რა, ფაქი წაკითხავს, ალბათ...

მე ვარ საშუალოდ, არც იქით, არც აქით.



უკვე მომწინდა, იდიოტობა ირგვლივ ჩემთან ერთად ისვენებს პროკოფი რატინი. იცი, ალბათ, ვინცაა. ავად არის ისიც. კარგი ბიჭია, ოღონდ ლაპარაკი უყვარს ისეთების, ჩვენ რომ ვიცით... შენზე თქვა: მდაა, მარგინი! ია ევო ზნაიუ, ნეჩევი სეზე, ნიჭიერი, იმედის მომცემი ახალგაზრდაა, დახმარება სჭირდებაო... - ვიზრჩობი სიცილით..

რაც შეეხება „ვინმე“ კრიტიკოსს, სულელია მაგ საწყალი... მაგისი ასე და ისე! მაგისი გასაბითურებელი თუ ვარ, მაგასაც ნახავს მაგ უთავო, მაგი! ბიჭო, მე, კაცი, რომელიც ლექსისთვის ვარ დაბადებული, რომელსაც ნახევარჯერ არ მძინავს, რომელსაც სტრიქონი არ დამიწერია ყალბი, ერთი ცუდი საქმე არ ჩამიდენია, მაგან უნდა გამაბითუროს, მაგ სულელმა?! როდის წერდნენ, თუ ძმა ხარ, გრიგოლ ორბელიანი და გრიშაშვილი ფიროსმანზე, ა?!

ან თუ გინდა სხვები წერდნენ, განა ჩემი ფიროსმანი ვინმესას ჰგავს, ან მე ისე მესმის ფიროსმანი, როგორც სხვებს ესმოდათ?! თუ ამას ჩვენს მწერლობაში ერთი ჭკვიანი კაცი იტყვის, მე ხელს ვიღებ ყველაფერზე. მაგრამ მაგ სულელმა არ იცის, რომ ფიროსმანზე თითო-ორი სტრიქონი თუ ვინმეს აქვს აქა-იქ, თორემ მთელი თავისი შემოქმედებისათვის არავის არ დაუკავშირებია ფიროსმანი, მე კი ჩემს ცხოვრებასა და ამ უიღბლო კაცის ცხოვრებას შორის მოვსახე რაღაც ნათესაური. მე ფიროსმანის „პრიმიტივი“ მესმის როგორც მაღალი ხელოვნება. ყოველი დიდი კულტურული პოეტი ასე რომ აკეთებდეს (ეს ტერმინი ფიროსმანს არ უდგება, მაგრამ არაფერია!) ლექსებს, როგორც ფიროსმანი თავის სურათებს, რაღა გვიჭირდა მამინ! ფიროსმანის უზრუნველობა მინატრია მე ჩემი ლექსებისათვის, კაცს ფეხებზე ჰკიდია ყველაფერი - ხატავს, მორჩა და გათავდა. რამდენი „კულტურული“ მხატვარი ინატრებდა მის სურათებს.

ვიმეორებ, ყოველი ჭკვიანი კულტურული პოეტი ასე უნდა წერდეს ლექსს, როგორც ნიკო ფიროსმანი წერს თავის სურათებს. თუმცა ფიროსმანი ნასწავლი მხატვარი არ იყო, მაგრამ ნიჭმა გადაწყვიტა ყველაფერი, ნიჭი ქმნის კულტურას. რა თქმა უნდა, უდიდესი ბედნიერებაა, როცა კულტურული პოეტი ხარ, ნიჭიერიც და ფიროსმანის სურათების გვარად უბრალო და ცოცხალ ლექსებს ქმნი.

აი, ეს არის, რეზო, ჩემი ნატვრა! განა სიყვარულზე რომ წერდნენ, ჩვენ აღარ უნდა ვწეროთ იმავე სიყვარულზე?! მეც ვწერ და სხვანაირად რომ ვწერ, ამის გამოცნობა ჭკვიანს არ გაუჭირდება და სულელებისთვის მე არ ვწერ... ეს უნდა ყველამ იცოდეს.. მე მართალი კაცი ვარ, ჩემი ლექსების თემა მუდამ საქართველოა... იჭიაბიჭია, ცრუ პატრიოტიზმი ჩემი საქმე არ არის. აი, ასეთი თანამედროვე პოეტი ვარ და ასეთი თანამედროვე მწამს მე, მორჩა და გათავდა! ვინც ეს არ იცის, სულელია, ეს ბევრმა არ იცის, არ იცის ოთხმოცდაათმა პროცენტმა მაინც. ნიკა აგიაშვილმა კარგად იცოდა ეს, მაგრამ მაგას მგონი გაუშრა სახელოვანი ქაიხოსრო აგიშვილის სისხლი! მაგას ესმოდა კაცის და მაგანაც უგვერდა ახლა?!

ასეა, რეზო, არც შეიძლება, სხვაგვარად იყოს, ასე და ასე იქნება სიკვდილამდე, ეს ვარ მე, ეს, რასაკვირველია, შენ კარგად იცი,

მაგრამ მაინც გწერ, რომ გული ვიჯერო. მომკლა, ბიჭო ადენმა სირევენებ! ნიკას წააქითეს ეს წერილი, ქაქანს რომ დაიწყებს, მაშინ. კაცო, „თაობის“ რედაქციაში რომ წერ წერილებს, სახლი დაგეცა?! თუ, მართლა, სახლში არ დადიხარ შენ, ქეიფობ, ხომ?!

კოკის წერილებს ხშირად ვლტულობთ... მომიკითხე დიმიტრი და ერემია, ვახტანგი, ვოლდემარი, ძიგვა, ნიკა, ნონეშვილი... შენ, ალბათ, მუშაობ ლექსებზე, მეც დავწერ რაღაც ძველი და ახალი ჩანაფიქრები... მომიკითხე გაბრიელი, კოტე ხიმშიაშვილი, გამიგე მირზას მისამართი და მომწერე, თუ ძმა ხარ.

ფუნგორია ახლა არ მაქვს, თორემ გამოგიგზავნიდი, მალე შექნება.. ასე! გკოცნის შენი **ლადი ასათიანი**, უთარილია.

ძმარ აკაკი!
მაპატიე ადენ ხანს ვერ შეგესიტყვე, როგორ ხარ, რას შევები, ხომ არ მიდიხარ.



ალბათ გწამს, რომ ახლა ყველაზე უფრო მაინტერესებს შენი ამბავი. ანიკოს ორი წერილი გამოვეუგზავნე და ორივეში ვწერდი, კაკოს ამბავი გამაგებინეთქო. პასუხი არ მიმიღია. ტფილისში, რასაკვირველია, მშვილობა იქნება, დადიხარ ალბათ თინათინთან ერთად, მარჯვენა ხელით თავს იფხან და იცინი. ამ გახსენებაზე მომიკითხე თინათინი. ჰაი, ჰაი კაკოჯან, მარტო რომ იკრუშონებ ამ ორ თვეს. ჩემი ამბავი: კარგად ვარ, დავდივარ მარტო-მარტო ტყეში, ჰაერი კარგია, სიწყნარეცაა, ცოტა კი ვიტანჯები უკაცოდ, მაგრამ რა ვქნა. აბასთუმანში ყველაფერი თავის ადგილზეა. სულ მოჩმასული იყო ის ამბები.

მწერალთა სასახლეში რა ამბავია, ალბათ კომპარია ისევე, ხომ არავინ წასულა ან წაუყვანიათ არმიაში ან ფრონტზე ვინმე მწერალთაგანი. შენი შინაურები ხომ არ გაგიგზავნიან აგარაკზე. ასე აკო, ძმარ, რაღა ბევრი გაეგვრებოდა, ბევრი ლაპარაკი არცაა სარგებელიანი. დიდ წერილს, ოთხ გვერდისანს შემიგე მოგწერე. მომიკითხე კონსტანტინე, ვიქტორ გაბესკირია, გრ. აბაშიძე, და სხვანი და სხვანი.

გწერს შენი **ლადი ასათიანი**.

ძმარ აკაკი!

სხვა შენ როგორ ხარ აკაკი, 25 თებერვალი თუ იზიმი, მე იმ დღეს ვერლენს ვიზიბირები (შესანიშნავი წიგნი მაჩუქე, გასაგებებელი ლექსებია, ბრიუსელის წერილიც ძალიან მომეწონა) გარეთ კი ბედნიერებას ზეიმობდა აბასთუმანის მუშურ-გლეხური ინტელიგენცია.

ლექსების წიგნებმა ხომ არ შეგაწუხა, „სიმონიკის“ წიგნი ალბათ თავვემ გექნება! ვილაცას უთქვამს: „ლექსთა კრებული გასტენა კულით, არ გამოვიდა პასტერნაკული“-ო.

მე, როგორც ზევით გწერდი, უმეტესი დრო ტყვილად ვარ. საზეიმო არაფერი დამიწერია, რაღაცეები „დავჩხაპნე“, აი, ერთი მათგანი:

„ვიდრე სიკვდილი გამახვევდეს
ბნელს მოსასხამში,
ვიდრე სიკვდილის ჭკვალი
გულზე დამესობოდას,
უკანასკნელად დამაწვინეთ
ჩემს ოდა სახლში,
უკანასკნელად, ვიდრე
თვალნი დამეცებოდნენ.
უკანასკნელად პაპიჩემის

გავკორკილ ტახტზე
დამიგეთ მავრად,
დამაზურეთ შავი ნაბადი
უკანასკნელად, უდრტვიწველად
მამყოფეთ ასე,
ვიდრე სიკვდილი შევითიან სულს
გამინაბავდეს.“

ეს ისე წამომცდა. ჰო, მართლა შენი წიგნის საქმე როგორ არის, თუ ეშველა რამე, ჩემსას ხომ არ დაადგა საშველი და ისაა. მე მინდა ჩქარა გამოვიდეს შენი წიგნი იმიტომ, რომ „ნამეტანი“ შეგაწუხა „ესეთეტიკის სახელმძღვანელოებმა“.

მგონი შეგაწუხე მიკიბულ-მოკიბული ამბებით, მაგრამ მაპატიე, დროუამისაგან შეწუხებულ კაცს ყველაფერი ეპატიება.

გამიგრძელდა წერილი, თავი შეგაწყინე, თუ მოიცადო და ხასიათზეც იქნე, მოიწერე. **ლადი ასათიანი**


ძმარ აკაკი!

კიდევ მივიღე შენი ბარათი და კიდევ გავიხარე, შენი არ იყოს, კიდევ უგუნებოდ და უსიცოცხლოდ ვარ, მიუხედავად იმისა, რომ ბუნებაში სიწყნარეში ვცხოვრობ.

ზოგიერთი ჩემი აღფრთოვანებები ჩემი ხასიათიდან გამომდინარეობენ, ისე კი საერთოდ სულ მოწყენილი ვარ, მით უმეტეს ახლა, ახლა!

მესმის შენი ყველაფერი, და მწადია მალე გნახავ, რომ გავიშალო და გავიხსნა, პირუტყვობა შემშლის.

აკაკი, ძვირფასო, მე 26-ში უკვე თბილისში ვიქნები, მეტს აქ გამოჩერებელი არა ვარ, მესმის შავი ზღვის შორით გუგუნი. მაპატიე, რომ ლექსს ვერ გიგზავნი, არც დამიწერია ორის მეტი და გადაწერა მეზარება, რომ ჩამოვალ, მაშინ წაგაკითხებ. ანდა რა დროს ლექსებია ახლა. თუმცა ჩვენ მაინც... მაგრამ შეხვედრისთვის იყოს.



გიგზავნი ჩემს სურათს. მომიკითხე ივინივე და დათიკო ტანჯული, გაჩეჩილაძე - ჩემი საყვარელი კაცი. იყავი კარგად და კარგად. მარად შენი მეგობარი **ლადი ასათიანი**. 1941 წ. 19 მარტი აბასთუმანი.

ძმარ აკაკი!

სამაგიეროს გადახდა გეკუთვნის, მაგრამ მე არ ვარ ისეთი კაცი, რომელსაც დიდხანს გაჰყვება გულის მოსვლა. ამიტომ არ გიხდი სამაგიეროს და გაპასუხობ.

მე უკვე გადაწყვიტე, რომ ალბათ ჯარში წაიყვანეს აკაკი და მისთვის არ მპასუხობს-თქო. მაგრამ დღითი შენ თურმე ისევე თბილისში ხარ და კარგადაც ხარ.

ომიანობის დროს საგრძნობია სულიერი ძველგარება და ამიტომ უფრო უნდა მივეტევეთ ერთმანეთს. მესმის შენი ყველაფერი. ჩემო აკაკი მესმის და მესმის...

მე კარგად ვარ, არა მიშავს, საგრძნობლად მოვიმატე, ვწევარ სულ გარეთ ჰაერზე და ხარბად ვჭამ მთის ჰაერს. ნეტა შენც აქ იყო, დაისვენებდი და მერე უფრო ღონივრად შეუტყვედი სიძნელეებს.

აბასთუმანში წელს ძალზე სიწყნარეა, ცოტა-ცოტა ქალებიცაა და შავი ღვინოც, ამა-ნაა ჯერჯერობით რომ გამაჩერა აქ. ტფილისში ამ თვის ბოლოსთვის ვფიქ-

რობ, იქნებ უფრო ადრე, თვის ბოლოსათვის კი აუცილებლად. სხვა რომ არ იყოს, დუმილი მომწყინდა.

დაწერით არაფერი დამიწერია, შენი არ იყოს, წერის კი არა, კითხვის გუნებაც არაა.

მიუხედავად ამისა, მაინც წამომცდა რაღაც. დავწერე ლექსი სახელწოდებით „სასაფლაო“. დიდი ხანია მინდოდა დამეწერა და აბასთუმანში ერთმა შემთხვევამ განმხორციელებინა. აქაური სასაფლაო ვნახე. უცნაურია. მთაში რამდენიმე საფლავია. გვირგვინების ნარჩენები. ნიაღვრისაგან მიწის ზედაპირზე ამოყრილი თავის ქალები, ყბები, (ერთს „დაპლომბილი“ კბილი ვუნახე). ვიციხე. ჰოდა ყველა ეს არაფერი იქნებოდა, რომ ერთი არ იყოს ამ უიმედო სანახაობაში: საფლავებს შორის მოჭკრის პატარა, მთის ნაკადული. ორ ნაწილად ყოფს სასაფლაოს. მოჭკრის, როგორც სიცოცხლე. მე მგონია შესანიშნავია, ასეთ რამეებს იგონებენ ზოლმე, მე კი ვნახე. ლექსს გამოგიგზავნი, მაგრამ ახლა ჭკვიანად ყოფნა სჯობია. რომ ჩამოვალ, მაშინ წაგიკითხავ.

ასე ჩემო აკაკი, ჩვენ სალაპარაკო არ დავკვლევ, მაგრამ რომ შეხვედრებით, მაშინისთვის იყოს. მე მგონია მალე შეხვედრებით. არჩილი ხშირად გკითხულობს. მოგიკითხა.

იყავი ვაჟკაცურად. მომიკითხე კონსტანტინე გამსახურდია მირანდათი. პოლიკარპე და მიტია გაბესკირია.

მარად შენი მეგობარი **ლადი ასათიანი**. 1941 წ. აბასთუმანი.

ძვირფასო ნიკალაშა!

აღმადგინეს, მომეხსნა ყველა ბრალდებები, ხურციძეს საყვედური მიართყვეს ჩემი უღანაშალო გარიცხვისათვის, დაავალეს დირექციას ყოველდღიური მზრუნველობა გამოიჩინოს ჩემზე... მხოლოდ სტიპენდიას არ მაძლევენ არც განაცდენს და არც აწი.

გიგზავნი მწერალთა კავშირის მიმართვას და დიმიტრის და ჩემს ხელმოწერილ ბარათს. აბა შენ იცი. ნიკალაშა და შენმა კაცობამ, თუ არ დამივიწყებ. უთხარი ალიოს კიდევ ჩემს შესახებ, აჩვენე ეს ცნობა და საერთოდ და ასე. მესამე ნომრისთვის აუცილებლად უნდა ვიქნე ნიკალაშა, გულის ფანქვალთ მოველი, მნათობი გამოიგზავნე, როგორც კი დაიბეჭდოს, ხომ იცი ვდნები, სანამ მივიღებდე, შენს ყურნალში კი შენ იცი და სხვაგან რომ გითხარი. აბა შენ იცი ნიკალაშა, აბა შენ იცი. თუ ძმა ხარ წერილი როგორც კი მიიღო და მაქ უთხრა, მაშინვე გამოიგზავნე, თორემ გავთავადები.

გიგზავნი აგრეთვე ჩემი ადღენის ქალღმერთი, მაგათ ნუ აჩვენებ რა საჭიროა.

სალამი ალიოს, ნატროშვილს, გოგიაშვილს, ჩემს უცნობ და პატრეცემულ სახლი-



კაცს პატროსანი და ალაღმართალი სახლიკაცისაგან.

მარად ხელს გართმევ **ლადი ასათიანი** 1938. 31 III. ქუთაისი

ინსტრუქციები 2008 წლის „მზანა ბარათის“ სამიგრაციო ვიზის გათვალისწინებით პირდაპირი ვიზის ბათილყოფის შესახებ



კონგრესის მანდატის ქვეშ არსებული საიმგრაციო ვიზის პროგრამა ყოველ წელს ხორციელდება სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ იმიგრაციისა და მოქალაქეობის აქტის (INA) 203-ე (გ) ნაწილში გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. 1990 წელს გამოცემული იმიგრაციის აქტის 131-ე ნაწილის მიხედვით (Pub. L. 101-649) იმიგრაციისა და მოქალაქეობის აქტის (INA) 203-ე ნაწილში შესწორება შევიდა - რომლის მიხედვითაც გათვალისწინებულია აშშ-ი ახალი ტიპის იმიგრანტების მიღება, რომლებსაც „სხვადასხვაგვარ იმიგრანტებს“ (DV) უწოდებენ. ამ საკანონმდებლო აქტის შესაბამისად, იმ ქვეყნების მოქალაქეებისათვის, საიდანაც აშშ-ი ნაკლებად შემოდის იმიგრანტები, ყოველწლიურად გაიცემა აშშ მუდმივი ცხოვრების უფლების მიმნიჭებული 55 000 ვიზა.

ყოველწლიური საიმგრაციო პროგრამის საშუალებით აშშ-ი მუდმივი ცხოვრების უფლების მიმნიჭებულ ვიზებს იღებენ ის პირები, რომლებიც პროგრამის მონაწილეობისათვის გათვალისწინებულ მარტივ, მაგრამ მაკარად განსაზღვრულ პირობებს აკმაყოფილებენ.

განმცხადებლები საიმგრაციო ვიზების მისაღებად შეირჩევიან კომპიუტერული ლატარის მიხედვით - შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. მაგრამ ვიზები ნაწილდება ექვსი გეოგრაფიული რეგიონის მიხედვით - ვიზების უფრო დიდი რაოდენობა კი ეძლევა იმ რეგიონის წარმომადგენლებს, საიდანაც ნაკლებია იმიგრანტების შედინება აშშ-ი. ხოლო იმ ქვეყნებისათვის, საიდანაც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში 50 000-ზე მეტი იმიგრანტი შევიდა აშშ-ი, ვიზები საერთოდ არ გაიცემა. ვერცერთი ქვეყანა (თითოეული რეგიონის ფარგლებში) ვერ მიიღებს მთელი საიმგრაციო ვიზების რაოდენობის შვიდ პროცენტზე მეტს წელიწადში.

საიმგრაციო ვიზების 2008 წლის გათვალისწინებით მონაწილეობის უფლება არა აქვთ ქვემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების წარმომადგენლებს, რადგან ამ ქვეყნებიდან ბოლო ხუთი წლის განმავლობაში 50 000-ზე მეტი იმიგრანტი ჩავიდა აშშ-ი.

ეს ქვეყნებია:
ბრაზილია, კანადა, ჩინეთი (კონტინენტზე დაბადებულები), კოლუმბია, ლიბანი, რესპუბლიკა, ელ სალვადორი, ჰაიტი, ინდონეზია, იამაიკა, მექსიკა, პაკისტანი, ფილიპინები, პერუ, პოლონეთი, რუსეთი, სამხრეთ კორეა, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო (ჩრდილოეთ ირლანდიის გარდა) და მასზე დამოკიდებული ტერიტორიები და ვიეტნამი. პონგ კონგისა და მაკაუს სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონებსა და ტაივანში დაბადებულ პირებს ამ გათვალისწინებით მონაწილეობის უფლება გააჩნიათ.

სახელმწიფო დეპარტამენტში ელექტრონული რეგისტრაციის სისტემა შარშანდელი გათვალისწინებით დროს განახორციელებს - იმ მიზნით, რომ საიმგრაციო ვიზების გათვალისწინებით

შეის პროცესი უფრო ეფექტური და უსაფრთხო გამხდარიყო. სახელმწიფო დეპარტამენტი იყენებს სპეციალურ ტექნოლოგიასა და სხვა საშუალებებს, რათა გამოამუშაოს ის განმცხადებლები, რომლებიც თაღლითობას ჩადიან არაკანონური ემიგრაციის მიზნებით ან რომლებიც რამდენიმე განაცხადს აგზავნიან.

სარეგისტრაციო პერიოდი
2008 წლის საიმგრაციო ვიზის პროგრამის სარეგისტრაციო პერიოდია 2006 წლის 4 ოქტომბრის შემდეგ (EST დროით) 2006 წლის 3 დეკემბრის შუადღემდე (EST დროით). საიმგრაციო ვიზის 2008 წლის გათვალისწინებით მონაწილეობის მისაღებად ყველა განაცხადი შევსებული უნდა იყოს ელექტრონულად შემდეგ მისამართზე: www.dvlottery.state.gov. ქვადღებზე დაბეჭდილი განაცხადები არ მიიღება. განმცხადებლებს ვურჩევთ, განაცხადები სარეგისტრაციო პერიოდის დასაწყისშივე შემოიტანონ, რადგანაც სარეგისტრაციო პერიოდის ბოლოს შემოტანილი განაცხადების უზარმაზარი რიცხვის გამო შეიძლება სისტემის მუშაობა საგრძობლად შეწყვეტდეს. არცერთი განაცხადი არ მიიღება 2006 წლის 3 დეკემბრის შუადღის (EST დროით) შემდეგ.

მოთხოვნები
განმცხადებლისათვის
განმცხადებელი უნდა იყოს ამ დოკუმენტის 21-ე გვერდსა და მას შემდეგომ მოცემულ სიაში შესული ქვეყნის მოქალაქე. იხილეთ „რეგიონების მიხედვით მოცემული ქვეყნების სია - რომელთა მოქალაქეებსაც აქვთ გათვალისწინებული მონაწილეობის მიღების უფლება.“

იმ ქვეყნის მოქალაქე, საიდანაც განაცხადები მიიღება: შემთხვევითა უმრავლესობაში ეს ნიშნავს იმ ქვეყანას, სადაც განმცხადებელი დაიბადა. მაგრამ არსებობს ორი სხვადასხვა შემთხვევა, რის თანახმადაც პიროვნებას აქვს განაცხადის გამოგზავნის უფლება. პირველი, თუ პიროვნება დაბადებულია ისეთ ქვეყანაში, რომლის მოქალაქეებისაგანაც განაცხადები არ მიიღება, მაგრამ მისი მუდმივი კი ისეთ ქვეყანაშია დაბადებული, რომლის მოქალაქეებსაც გათვალისწინებულია მონაწილეობის მიღების უფლება აქვს, მაშინ განმცხადებელს შეუძლია მიუთითოს მეუღლის დაბადების ქვეყანა იმ პირობით, თუ განმცხადებელი და მისი მეუღლე ერთდროულად მიიღებენ ვიზებს და ერთდროულად ჩავიდა აშშ. მეორე, თუ პიროვნება დაბადებულია ისეთ ქვეყანაში, რომლის მოქალაქეებსაც გათვალისწინებულია მონაწილეობის მიღების უფლება არა აქვთ, მაშინ მან განაცხადებში შეიძლება მიუთითოს ის ქვეყანა, სადაც მისი რომელიმე მშობელი დაიბადა, თუკი ეს ქვეყანა შედის იმ ქვეყანათა სიაში, რომლის მოქალაქეებსაც 2008 გათვალისწინებით მონაწილეობის მიღების უფლება ენიჭება.

განმცხადებელი უნდა აკმაყოფილებდეს განათლებისა ან საშუალო გამოცდილების კუთხით არსებულ

იმ მოთხოვნებს, რომლებიც საიმგრაციო ვიზის პროგრამაშია მოთხოვნილი.

განმცხადებელს დამთავრებული უნდა ჰქონდეს საშუალო სკოლა ან ისეთი სასწავლო დაწესებულება, რომლის დამთავრების სერტიფიკატიც საშუალო სკოლის ატესტატის ტოლფასია - და რომელიც განისაზღვრება, როგორც 12 წლიანი დაწყებითი და საშუალო განათლების კურსის წარმატებით დასრულებით; ან ბოლო ხუთი წლიდან ორი წლის განმავლობაში უნდა მუშაობდეს ისეთი პროფესიით, რომელსაც სჭირდება მინიმუმ ორწლიანი ტრენინგის გავლა ან ორწლიანი საშუალო სტაჟი. აშშ შრომის დეპარტამენტის "O*Net OnLine" მონაცემთა ბაზის მეშვეობით შეგიძლიათ საკვალიფიკაციო საშუალო სტაჟის დადგენა.

თუ განმცხადებელი ამ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს, მაშინ მან არ უნდა წარმოადგინოს თავისი განაცხადი ამ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად.

თუ განმცხადებელი ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს, მაშინ მან ამ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად განაცხადი არ უნდა შემოიტანოს.

განაცხადის შეტანის პერიოდებია

სახელმწიფო დეპარტამენტში მიიღება საიმგრაციო ვიზის მისაღებად საპირი განაცხადის ფორმების მხოლოდ ელექტრონული ვერსიები, რომლებიც კომპიუტერით უნდა შეავსოთ შემდეგ მისამართზე: www.dvlottery.state.gov სარეგისტრაციო პერიოდის განმავლობაში - რომელიც იწყება 2006 წლის 4 ოქტომბერს, დღის 12 საათზე EST (GMT-5 დროით) და მთავრდება 2006 წლის 3 დეკემბერს დღის 12 საათზე EST (GMT-5 დროით).

თუ განმცხადებელი გამოგზავნის ერთზე მეტ განაცხადს, მაშინ ყველა მის განაცხადს მიეცემა დისკვალიფიკაცია, მიუხედავად იმისა, რომ ეს განაცხადი შეიძლება სხვის მიერ იყოს გამოგზავნილი. განმცხადებლებს შეუძლიათ თვითონ შეავსონ და გამოგზავნონ განაცხადი და შეუძლიათ სხვას გამოგზავნიონ იგი.

თუ განაცხადი დანიშნულ მისამართზე მიღებულია და დარეგისტრირებულია, ეკრანზე უნდა გამოჩნდეს მისი მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელზეც იქნება აღნიშნული განმცხადებლის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, ქვეყანა, რომელსაც განმცხადებელი თავს მიაკუთვნებს და მიღების თარიღი და დრო. განმცხადებელს შეუძლია ამობეჭდოს განაცხადის მიღების ეს დამადასტურებელი დოკუმენტი (ვებ გვერდზე არსებული „პრინტის“ „ამობეჭდვის“ ფუნქციის გამოყენებით).

ქვადღის ფურცლებზე დაბეჭდილი განაცხადები არ მიიღება.

განაცხადი გაუქმდება, თუ მოთხოვნისამებრ არ იქნება წარმოდგენილი ყველა საჭირო ფოტოსურათი. საიმგრაციო განაცხადის განაცხადის შევსებული ფორმის ელექტრონულ ვერსიასთან ერთად წარმოდგე-

ნილი უნდა იყოს განმცხადებლის, მისი მეუღლისა და 21 წლამდე შვილების ბიოლოგიური ფოტოსურათები, მისი ბიოლოგიური და კანონიერად ნაშვილები შვილებისა და გერების ჩათვლით (იმ შვილების გარდა, რომლებიც უკვე არიან აშშ მოქალაქეები ან აქვთ აშშ მუდმივი ცხოვრების კანონიერი უფლება) - იმ შემთხვევაშიც კი, თუ შვილი აღარ ცხოვრობს განმცხადებელთან ერთად ან არ აპირებს ემიგრაციას ამ პროგრამის ფარგლებში. არ მიიღება ვეგეტარიანი ან ოჯახის ფოტოსურათები. წარმოდგენილი უნდა იყოს ოჯახის ყოველი წევრის ფოტო ცალ-ცალკე.

ყოველი განმცხადებლის, მისი მეუღლისა და შვილების ციფრული ფოტოსურათი (გამოსახულება) გამოგზავნილი უნდა იყოს ინტერნეტით საიმგრაციო ვიზის განაცხადის ფორმასთან ერთად. შეიძლება წარმოადგინოთ ციფრული კამერით გადაღებული ფოტოსურათი ან ციფრული სკანერით კომპიუტერში შეტანილი ფოტოსურათი.

ინსტრუქციები ციფრული ფოტოსურათის წარმოდგენისათვის

ფოტოგამოსახულება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კომპოზიციურ და ტექნიკურ მოთხოვნებს და შეიძლება იყოს მიღებული ქვემოთ მოცემული ერთ-ერთი საშუალებით:

შეიძლება გადაიღოთ ახალი ციფრული ფოტო
შეიძლება ფოტოსურათი ციფრული სკანერით შეიტანოთ კომპიუტერში.

კომპოზიციური მოთხოვნები:
წარმოდგენილი ციფრული გამოსახულება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კომპოზიციურ მოთხოვნებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას მიეცემა დისკვალიფიკაცია:

- **თავის მდებარეობა:**
პიროვნება, რომელსაც სურათს უღებენ, პირდაპირ უნდა უყურებდეს კამერას.

მისი თავი არ უნდა იყოს აწეული არც მაღლა, არც დაბლა და არ უნდა იყოს გადახრილი არც მარჯვნივ და არც მარცხნივ.

მისი თავი უნდა იკავებდეს ფოტოსურათის მთელი ფართის დაახლოებით 50 %.

- **ფონი:**
პიროვნებას სურათი უნდა გადაუღონ ნეიტრალური, ღია ფერის ფონზე. მუქ ან მონატურ ფონზე გადაღებული სურათი არ მიიღება.

- **ფოკუსი:**
ფოტოსურათი ფოკუსში უნდა იყოს.

- **დეკორატიული ნიშნები:**
არ მიიღება ისეთი ფოტოსურათები, სადაც პიროვნება გადაღებულია სათვალთ ან უკეთია ისეთი საგნები, რომლებიც სახეს უფარავენ.

- **თავსაბურავები და ქულები:**
მისაღებად ითვლება მხოლოდ რელიგიური დატვირთვის მქონე თავსაბურავი გადაღებული ფოტოსურათი, ისიც ისე უნდა იყოს გაკეთებული, რომ არ ფარავდეს განმცხადებლის სახის რომელიმე ნაწილს.

არ მიიღება ისეთი თავსაბურავი გადაღებული ფოტოები, რომელსაც არა აქვს რელიგიური დატვირთვა და არის რაიმე გვაროვნული ტომის ან სხვა რაიმე სიმბოლიკის აღმნიშვნელი საფარი.

არ მიიღება ისეთი ფოტოსურათები, სადაც განმცხადებელი გადაღებულია სამხედრო, საჰაერო ფლოტის ან სხვა ორგანიზაციების თავსაბურავით.

- **ტექნიკური მახასიათებლები:**
წარმოდგენილი ციფრული ფოტოსურათი უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ მახასიათებლებს, წინააღმდეგ შემთხვევაში სისტემა ავტომატურად ამოაგდებს განაცხადის შევსებულ ფორმას და შეატყობინებს ამის შესახებ განმცხადებელს.

ახალი ციფრული ფოტოსურათის გადაღება. თუ იღებთ ციფრულ ფოტოსურათს, იგი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ტექნიკურ მოთხოვნებს:

გამოსახულების (ფაილის) ფორმატი:
გამოსახულება გადაღებული უნდა იყოს ფორმატში JPEG – Joint Photographic Experts Group.

გამოსახულების (ფაილის) ზომა:
გამოსახულების ფაილის მაქსიმალური ზომა უნდა იყოს სამოცდაორი ათას ხუთასი (62 500) ბაითი.

გამოსახულების გადაწყვეტილება:
320 პიქსელი სიმაღლით 240 პიქსელზე სიგანით

გამოსახულების ფერის სიღრმე:

უფრო მისაღებია ფერადი სურათი, მაგრამ ასევე შესაძლებელია შავ-თეთრი სურათი, რომელიც კომპიუტერში უნდა იყოს შეყვანილი 24-ბითიანი მახასიათებლებით. ხოლო 2-ბითიანი და 8-ბითიანი მახასიათებლის შავ-თეთრი სურათები არ იქნება მიღებული.

ფოტოსურათის სკანირება:
სანამ ფოტოსურათის სკანირებას განახორციელებდეთ, იცოდეთ, რომ იგი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ნაბეჭდი ფოტოსურათის ზომა:
2 ინჩი 2 ინჩზე (50 მმ X 50 მმ)

ნაბეჭდი ფოტოსურათის ფერი:
ფოტოსურათი უნდა იყოს ფერადი ან შავ-თეთრი.

ამობეჭდილი ფოტოსურათი უნდა აკმაყოფილებდეს კომპოზიციურ მოთხოვნებსაც. თუ ფოტოსურათის ზომა, ფერების შემცველობა და კომპოზიციური მოთხოვნები შეესაბამება მოთხოვნებს, დასკანერეთ იგი. სკანერი უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ მოთხოვნებს:

სკანერის გადაწყვეტილება:
იგი უნდა იყოს 150 წერტილი ერთ ინჩზე (dpi).

გამოსახულების ფაილის ფორმატი:
გამოსახულება შესრულებული უნდა იყოს JPEG ფორმატში.

გამოსახულების ფაილის ზომა:
გამოსახულების ფაილის მაქსიმალური ზომა უნდა იყოს სამოცდა-

ინსტრუქციები „მწვანე ბარათის“ გათამაშებისათვის

რეგონების მიხედვით მოცემული იმ ქვეყნების სია, რომლის მოქალაქეებსაც აქვთ ვიზის გათამაშებაში მონაწილეობის მიღების უფლება

აფრიკა

ალჟირი; კენია; ანგოლა; ლესოტო; ბენინი; ლიბერია; ბოცვანა; ლიბია; ბურუნდი; ფასო; მადაგასკარი; ბურუნდი; მალავი; კამერუნი; მალი; კაპე; ვერდე; მავრიტანია; ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა მავრიკი; ჩადი; მაროკო; კომოროსი; მოზამბიკი; კონგო; ნამიბია; კონგო, კოტ დივუარის დემოკრატიული ნიგერი რესპუბლიკა (სპილოს ძეგლის სანაპირო); ნიგერია; ჯიბუტი; ეკვადორი; რუანდა; ეკვატორული გვინეა; სან-ტომე და პრინსიპი; ერიტრეა; სენეგალი; ეთიოპია; სეიშელის კუნძულები; გაბონი; სიერა; ლიონი; გამბია; სომალი; განა; გვინეა; სუდანი; გვინეა-ბისაუ; სვაზილენდი; თანზანია; უგანდა; თოგო; ზამბია; თუნისი; ზიმბაბუე;

აზია
აულანეთი სირია ბაჰრეინი ტაივანი ბანგლადეში ტაილანდი ბუტანი; გაერთიანებული არაბული ემირატები; ბრუნეი; იემენი; ბირმა კამბოჯა; აღმოსავლეთ თიმორი; ჰონგ კონგის (სინგაპორის) სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონი; ინდონეზია; ირანი; ერაყი; ისრაელი; იაპონია; ქუვეიტი; იორდანია; ლაოსი; ლიბანი; მალაიზია; მალდივის კ-ბი; მონღოლეთი; ნეპალი; ჩრდილოეთ კორეა; ომანი; კატარი; საუდის არაბეთი; სინგაპური; შრი ლანკა;

ევროპა
ალბანეთი; რუმინეთი; ანდორა; სან მარინო; სასომხეთი; შვეიცარია; სერბეთი; მონტენეგრო; ავსტრია; სლოვაკეთი; აზერბაიჯანი; სლოვენია; ბელარუსი; ესპანეთი; ბელგია; შვედეთი; ბოსნია და ჰერცეგოვინა; ბულგარეთი; ტაჯიკეთი; ხორვატია; თურქეთი;

კვიპროსი; თურქმენეთი; ჩეხეთის რესპუბლიკა; უკრაინა; დანია; უზბეკეთი; ვატიკანი (მისი ტერიტორიების ჩათვლით საზღვარგარეთ); ესტონეთი; პორტუგალია (მისი ტერიტორიების ჩათვლით საზღვარგარეთ); ფინეთი; საფრანგეთი (მისი ტერიტორიების ჩათვლით საზღვარგარეთ); საქართველო; გერმანია; საბერძნეთი; უნგრეთი; ისლანდია; ირლანდია; იტალია; ყაზახეთი; ყირგიზეთი; ლატვია; ლიხტენშტეინი; ლიტვა; ლუქსემბურგი; მაკაუს სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონი; მაკედონია, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა; მალტა; მოლდოვა; მონაკო; ნიდერლანდები (მისი ტერიტორიების ჩათვლით საზღვარგარეთ) ჩრდილოეთ ირლანდია; ნორვეგია;

ჩრდილოეთ ამერიკა
ბაჰამის კუნძულები
ოკეანია
ავსტრალია (მისი ტერიტორიების ჩათვლით საზღვარგარეთ); ფიჯი; კირიბათის რესპუბლიკა; მარშალის კუნძულები; მიკრონეზიის ფედერალური სახელმწიფო; ახალი ზელანდია (მისი ტერიტორიების ჩათვლით საზღვარგარეთ); პალაუ; ნაურუ; პაპუა; ახალი გვინეა; სოლომონის კუნძულები; ტონგა; ტუვალუ; ვანუატუ; სამოა;

სამხრეთ ამერიკა, ცენტრალური ამერიკა და კარიბის ზღვის ქვეყნები
ანტიგუა; ბარბუდა; გრენადა; არგენტინა; გვატემალა; ბარბადოსი; გაიანა; ბელიზე; ჰონდურასი; ბოლივია; ნიკარაგუა; პანამა; ჩილე; პარაგვაი; კოსტა რიკა; ვენესუელა; კუბა; სენტ კიტს; ნევისი; დომინიკა; სენტ-ლუსია; ეკვადორი; სენტ-ვინსენტ; გრენადინები; ტრინიდადი; თობაგო; სურინამი; ურუგვაი.

იმ ქვეყნების სია, რომლის მოქალაქეებსაც არა აქვთ ვიზის გათამაშებაში მონაწილეობის მიღების უფლება

დიდი ბრიტანეთი, პოლონეთი და რუსეთი. (დიდი ბრიტანეთის ეკუთვნის შემდეგი დამოკიდებული ტერიტორიები: ანგილა, ბერმუდის კუნძულები, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები, კეიმენის კუნძულები, ფოლკლენდის კუნძულები, გიბრალტარი, მონსერატი, პიტკერნის კუნძული, წმინდა ელენის კუნძული, ტუკისისა და კაიკოს კუნძულები); ჩინეთი (კონტინენტზე დაბადებულებს), ინდოეთი, პაკისტანი, სამხრეთ კორეა, ფილიპინები, ვიეტნამი, კანადა, მექსიკა, ბრაზილია, კოლუმბია, დომინიკის რესპუბლიკა, ელ სალვადორი, ჰაიტი, იამაიკა და პერუ.

გვერდით მოცემულია რეგიონების მიხედვით დალაგებული იმ ქვეყნების სია, რომლის მოქალაქეებსაც აქვთ 2008 წლის „დაივერსით“ ვიზის გათამაშებაში მონაწილეობის მიღების უფლება. ამ ქვეყნების განსაზღვრა განაპირობა სახელმწიფო დეპარტამენტის გეოგრაფიის განყოფილების მიერ მოწოდებულმა ინფორმაციამ. ხოლო იმ ქვეყნების სია, რომლის მოქალაქეებსაც არა აქვთ საიმიგრაციო ვიზის 2008 წლის პროგრამაში მონაწილეობის მიღების უფლება, განისაზღვრა „აშშ მოქალაქეობისა და საიმიგრაციო სამსახურის მიერ“ „იმიგრაციისა და მოქალაქეობის აქტში“ გათვალისწინებული ფორმულის მიხედვით. იმ ქვეყნების, სია, რომლის მოქალაქეებსაც არა აქვთ „დაივერსით“ ვიზის გათამაშებაში მონაწილეობის მიღების უფლება (იმ მიზეზის გამო, რომ „ოჯახის მიერ დაფინანსებული ვიზებისა“ და „სამუშაო“ ვიზების კატეგორიების მიმღები პირების ძალიან დიდი რაოდენობა ამ ქვეყნებიდანაა ჩამოსული), მოცემულია დასარულს.

ორი ათას ხუთასი ბაითი (62 500).

გამოსახულების გადაწყვეტილება:

300 პიქსელი 300 პიქსელზე.

გამოსახულების ფერის სიღრმე:

უფრო მისაღებია ფერადი სურათი, მაგრამ ასევე შესაძლებელია შავ-თეთრი სურათი, რომელიც კომპიუტერში უნდა იყოს შეყვანილი 24-ბითიანი მახასიათებლით. ხოლო 2-ბითიანი და 8-ბითიანი მახასიათებლის შავ-თეთრი სურათები არ იქნება მიღებული.

ბანაცხადის შმტანა

საიმიგრაციო ვიზის გათამაშებაში მონაწილეობის მიღების მხოლოდ ერთი გზა არსებობს. განმცხადებლებს უნდა წარადგინონ საიმიგრაციო ვიზის განაცხადის ფორმის ელექტრონული ვერსია; ეს ფორმა შეგიძლიათ ნახოთ მხოლოდ შემდეგ ვებ გვერდზე: www.dvlottery.state.gov. თუ ფორმა მილიანად არ არის შევსებული, მაშინ განმცხადებელი დისკვალიფიცირებული იქნება.

ვიზის მისაღებ გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებ ფორმებში განმცხადებლებმა უნდა მიუთითონ შემდეგი ინფორმაცია:

1. გვარი და სახელი – გვარი, სახელი, მეორე სახელი;
2. დაბადების თარიღი – დღე, თვე, წელი;
3. სქესი – მდედრობითი ან მამრობითი;
4. დაბადების ადგილი – ქალაქი, სოფელი;
5. დაბადების ადგილი, ქვეყანა – ქვეყნის დასახელება უნდა შეესაბამებოდეს იმ დასახელებს, რომელიც ამჟამად ეწოდება იმ ქვეყანას, რომელშიც განმცხადებელი დაიბადა;
6. ქვეყანა, რომელზეც ვრცელდება DV- მწვანე ბარათის გათამაშების მოთხოვნები იქნება იგივე ქვეყანა სადაც თქვენ დაიბადეთ. თუ თქვენ დაიბადეთ იმ ქვეყანაში, რომელზეც არ ვრცელდება DV- მწვანე ბარათის გათამაშების მოთხოვნები, გთხოვთ იხილოთ ხშირად დასმული შეკითხვების №1;
7. განმცხადებლის ფოტოსურათი;
8. საფოსტო მისამართი – მისამართი, ქალაქი/სოფელი, რაიონი/პროვინცია/შტატი, საფოსტო კოდი, ქვეყანა;
9. ქვეყანა სადაც ამჟამად ცხოვრობთ;
10. ტელეფონის ნომერი (არ არის აუცილებელი);
11. ელ. ფოსტის მისამართი (არ არის აუცილებელი);
12. თქვენი განათლების ხარისხი დღეის მდგომარეობით: უნდა მიუთითოთ თუ რომელი შეესაბამება თქვენი განათლების ყველაზე მაღალ დონეს: 1. დაწყებითი განათლება 2. საშუალო სკოლა ატესტატის გარეშე 3. საშუალო სკოლა ატესტატით 4. პროფესიული ტექნიკური განათლება 5. არასრული უმაღლესი განათლება 6. დიპლომირებული უმაღლესი განათლება 7. ასპირანტურა 8. მაგისტრატურა 9. დოქტორანტურა 10. პროფესორი;
13. ოჯახური მდგომარეობა – არ არის დაქორწინებული, დაქორწინებული, გაყრილი, ქვრივი, კანონიერად განცალკევებული
14. განაცხადში უნდა ჩაწეროთ

სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და ადგილი თქვენი მუდღის და ყველა ბიოლოგიური შეილების, ასევე აყვანილი შეილების და გერების, რომლებიც არ არიან დაქორწინებული და რომელთა ასაკიც 21 წელს არ აღემატება – იმ შეილების გარდა, რომლებიც არიან აშშ მოქალაქეები ან აშშ მუდმივი ცხოვრების უფლება აქვთ. ასევე უნდა მიუთითოთ შემოთ აღნიშნული მონაცემები ყველა მუდღის და შეილების, რომელთანაც ხართ გაყრილი და თქვენთან არ ცხოვრობენ და რომლებიც არ აპირებენ თქვენთან ერთად ემიგრაციას ამერიკაში. მათი მონაცემების არ შეყვანა ანკეტაში გამოიწვევს მათ დისკვალიფიკაციას გასაუბრების დროს. შეილები, რომლებიც არიან დაოჯახებული და 21 წლის ზევით არ არიან კვალიფიცირებული და მათი მონაცემები არ უნდა შეიტანოთ თქვენ განაცხადში. იხილეთ ხშირად დასმული შეკითხვების №11

15. მონაცემები მუდღის შესახებ – სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, სქესი, დაბადების ადგილი (ქალაქი/სოფელი), დაბადების ადგილი (ქვეყანა), ფოტოსურათი. თუ არ მიუთითებთ მუდღის განაცხადში, როგორც თქვენი ასევე ყველა ოჯახის წევრის განაცხადი დისკვალიფიცირებულად ჩაითვლება.

* შენიშვნა:

განაცხადებში მიუთითებული უნდა იყოს განმცხადებლის მუდღისა და იმ ბიოლოგიური და აყვანილი შეილებისა და გერების გვარი, სახელი, დაბადების თარიღი და ადგილი, რომლებიც არ არიან დაქორწინებული და რომელთა ასაკიც 21 წელს არ აღემატება (იმ შეილების გარდა, რომლებიც არიან აშშ მოქალაქეები ან აშშ მუდმივი ცხოვრების უფლება აქვთ), იმ შემთხვევაშიც კი, თუ განმცხადებელი შეილის მეორე მშობელთან ოფიციალურად აღარ იმყოფება ქორწინებაში, ან თუ მისი მუდღე ან შეილი აღარ ცხოვრობს მასთან ერთად და/ან არ აპირებს მასთან ერთად ემიგრაციას. მხედველობაში მიიღეთ ის ფაქტი, რომ დაქორწინებულ შეილებს ან შეილებს, რომელთა ასაკიც 21 წელზე მეტია, არ ეკუთვნით DV ვიზის გათამაშებაში მონაწილეობის მიღება. თუ არ მიუთითებთ მონაცემებს შეილების შესახებ, მაშინ თქვენი კანდიდატურა დისკვალიფიცირებული იქნება.

ბანაცხადის შმტანა

ყველა განაცხადიდან გამარჯვებული განმცხადებლები შეირჩევიან კომპიუტერის საშუალებით შემთხვევითი შერჩევის (რანდომულად) პრინციპის მიხედვით. შერჩეულ (გამარჯვებულ) განმცხადებლებს შეატყობინებენ ამის შესახებ ფოსტით 2007 წლის მაისიდან ივლისამდე და გადასცემენ შემდეგ ინსტრუქციებს, მათ

შორის ინფორმაციას აშშ საიმიგრაციო გადასახადთან დაკავშირებითაც. ის პირები, რომლებიც არ იქნებიან შერჩეული, არანაირ შეტყობინებას არ მიიღებენ. აშშ საელჩოები და საკონსულოები ვერ მოგაწვდიან გამარჯვებული კანდიდატების სიას. გამარჯვებული (შერჩეული) განმცხადებლების მუდღისა და 21 წლამდე ასაკის შეილებს აქვთ უფლება მიიღონ ვიზები, რათა გაემგზავრონ გამარჯვებულთან ერთად. DV-2008 წლის ვიზები გაიცემა 2007 წლის 1 ოქტომბრიდან 2008 წლის 30 სექტემბრამდე.

იმისათვის, რომ ვიზა მიიღოთ, გათამაშების (შემთხვევითი შერჩევის) შედეგად შერჩეული განმცხადებელი უნდა აკმაყოფილებდეს აშშ კანონმდებლობაში გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას. განაცხადების განხილვა და წარმატებული განმცხადებლებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის (ვინც მოთხოვნებს აკმაყოფილებს) საიმიგრაციო ვიზების გაცემა უნდა მოხდეს 2008 წლის 30 სექტემბრის შუალაში. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება საიმიგრაციო ვიზების გაცემა ან მათში შეტანილი შესწორებების დამტკიცება ამ თარიღის შემდეგ. ამ თარიღის შემდეგ არც გამარჯვებულების ოჯახის წევრებს აქვთ საიმიგრაციო ვიზების მიღების უფლება.

შენიშვნა

ყოველწლიურ საიმიგრაციო ვიზის პროგრამაში მონაწილეობის მიხედვით არანაირი გადასახადი არ არის დაწესებული. ამ პროგრამის განსახორციელებლად აშშ მთავრობა არ ქირაობს გარეშე კონსულტანტებს ან კერძო სამსახურებს. ყველანაირი შუამავალი ან სხვა პირი, რომელიც საიმიგრაციო ვიზის განაცხადის ფორმების შესავსებად დახმარებას შემოუთავაზებთ, ამას გააკეთებს აშშ მთავრობის ნებართვისა და თანხმობის გარეშე. მილიანად განმცხადებელზე დამოკიდებული გამოიყენოს თუ არა საიმიგრაციო ვიზის განაცხადის ფორმების მომზადებისას გარეშე შუამავლებისა და სხვა პირების დახმარება.

ყველანაირი პირობის დაკმაყოფილებით პირდაპირ განმცხადებლების მიერ ინტერნეტის საშუალებით გამოგზავნილ განაცხადებს აქვთ გამარჯვების ერთნაირი შანსი – შერჩევა მოხდება კენტუჯის საკონსულო ცენტრში კომპიუტერის საშუალებით. სარეგისტრაციო პერიოდში მიღებულ ყველა განაცხადს აქვს გამარჯვების ერთნაირი შანსი თავის რეგიონში – შერჩევა მოხდება შემთხვევითი შერჩევის პრინციპით კომპიუტერის საშუალებით. მაგრამ თუ ერთი განმცხადებლისაგან მოვიდა ერთ განაცხადზე მეტი, მაშინ ამ განმცხადებელს დისკვალიფიკაცია მიეცემა, მიუხედავად იმისა თუ ვის მიერ იქნა გამოგზავნილი განაცხადი.

1. რას ნიშნავს ტერმინი „დაბადებული ამ და ამ ქვეყანაში“? არის თუ არა გათვალისწინებული ისეთი შემთხვევები, როდესაც პირებს, რომლებიც არ არიან დაბადებული იმ ქვეყნებში, რომლებსაც აქვთ პროგრამაში მონაწილეობის უფლება, შეუძლიათ განაცხადის გაგზავნა?

„დაბადებული“ ჩვეულებრივ ნიშნავს იმას, რომ რომელიმე კონკრეტული პიროვნება დაიბადა რომელიმე კონკრეტულ ქვეყანაში, მოუხდავად იმისა, თუ რომელი ქვეყნის მოქალაქეა ამჟამად ეს პირი ან რომელ ქვეყანაში ცხოვრობს. საიმგრაციო მიზნებიდან გამომდინარე, ეს ტერმინი – „დაბადებული“ – შეიძლება მოითხოვდეს იმ პირზეც, რომელსაც აქვს უფლება „მიწვევის თავე“ სხვა ქვეყანას, ქვეყანას, რომელშიც ის დაბადებული არ იყო – იმიგრაციისა და მოქალაქეობის აქტის 202-ე (ბ) ნაწილის შესაბამისად.

მაგალითად, თუ მთავარი განმცხადებელი დაიბადა ისეთ ქვეყანაში, რომელსაც წელს არა აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს ამ პროგრამაში, მას შეუძლია თავე იმ ქვეყანას „მიწვევის“, სადაც მისი მუდმივი (მეორადი განმცხადებელი) დაიბადა, მაგრამ მას არ მისცემენ DV-1 ვიზას, თუ მისი მუდმივი არ შეესაბამება საიმგრაციო ვიზის მოთხოვნებს და მას არ მისცემენ DV-2 ვიზას და თუ ორივე ერთად არ ჩადის აშშ-ში საიმგრაციო ვიზებით. ასევე, განმცხადებლის მცირეწლოვანი შვილი შეიძლება „მიწვევით“ იმ ქვეყანას, სადაც მისი ერთ-ერთი მშობელი დაიბადა.

და ბოლოს, ნებისმიერმა განმცხადებელმა, რომელიც დაიბადა იმ ქვეყანაში, რომელსაც 2008 წლის პროგრამაში მონაწილეობის უფლება არა აქვს, შეიძლება თავე იმ ქვეყანას „მიწვევის“ სადაც მისი ერთ-ერთი მშობელი დაიბადა, იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებლის დაბადების დროს არცერთი მშობელი არ იყო ისეთი ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც პროგრამაში მონაწილეობის უფლება არა აქვს. საერთოდ, პიროვნება ითვლება იმ ქვეყნის მოქალაქედ, სადაც ის დაიბადა ან სადაც მან კანონიერად მიიღო მოქალაქეობა – პირდაპირ ან თავე იმ ქვეყნის მოქალაქედ, სადაც ის მხოლოდ დროებით, პროფესიული ან საქმიანი ვიზიტით იმყოფება და თავეს კომპანიის ან მთავრობის სახელით მოღვაწეობს.

იმ განმცხადებელმა, რომელიც თავის თავს სხვა ალტერნატიულ ქვეყანას „მიწვევის“, ეს ინფორმაცია უნდა მოეთხოვოს სარეგისტრაციო განაცხადის ფორმაში. იხილეთ №6

2. ხომ არ არის შეტანილი რაიმე ცვლილებები ან ხომ არ არის ახალი მოთხოვნები საიმგრაციო ვიზის მიხედვით საკვირო განაცხადების რეგისტრაციის პროცედურებში?

საიმგრაციო ვიზის 2008 წლის გათავაზებაში მონაწილეობის მისაღებად ყველა განაცხადი შევსებული უნდა იყოს ელექტრონულად შემდეგ მისამართზე: www.dvlottery.state.gov. ქალაქებზე დაბეჭდილი განაცხადები არ მიიღება.

რამდენიმე დამატებითი შეკითხვა საგარეო პასუხით დეკემბერ 2008 წლის საივრო გათავაზების ინსტრუქციისთვის.

• ქვეყანა სადაც თქვენ ამჟამად ცხოვრობთ?

• რა უძღვეს სასწავლო ხარისხს ფლობთ დღეს- დღეობით?

თქვენ უნდა აირჩიოთ თქვენი განათლების უმაღლესი ხარისხი დღეს მდებარეობით ქვეყნით ჩამოთვლილი 10 ვარიანტიდან:

1. დაწყებითი განათლება
2. საშუალო სკოლა ატესტატის გარეშე
3. საშუალო სკოლა ატესტატით
4. პროფესიულ ტექნიკური განათლება
5. არასრული უმაღლესი განათლება
6. დიპლომირებული უმაღლესი განათლება
7. ასპირანტურა
8. მაგისტრატურა
9. დოქტორანტურა
10. პროფესორი

• „კანონიერად ცალ-ცალკე მცხოვრები“ ტერმინი ცვლის „ცალ-ცალკე მცხოვრებს“, რომელიც ეწერა გათავაზების წინა ინსტრუქციებში შეკითხვაში „თქვენი ოჯახური მდგომარეობა?“ კანონიერად ცალ-ცალკე მცხოვრები ნიშნავს, რომ არსებობს სასამართლო გადაწყვეტილება ამის შესახებ. ანუ ეს ნიშნავს, რომ გამარჯვებული პირის მუდმივი, რომელიც ოფიციალურად ცალკე ცხოვრობს, ვერ მიიღებს იმიგრანტის სტატუსს თავისი მუდმივსაგან.

3. საკვირო თუ არა ოჯახის ყველა წევრის ხელმოწერა და ფოტოსურათები თუ მხოლოდ მთავარი განმცხადებლისა?

საიმგრაციო ვიზის განაცხადის ელექტრონულ ფორმაზე არ არის საკვირო ხელისმწერა. ხოლო მთავრმა განმცხადებელმა, მისმა მუდმივმა და 21 წლამდე ასაკის შვილებმა კი ფოტოსურათები უნდა წარმოადგინონ.

4. რატომ არა აქვთ ზოგიერთი ქვეყნის მოქალაქეებს ამ პროგრამაში მონაწილეობის მიღების უფლება?

საიმგრაციო ვიზების მიზანია მისცეს ემიგრაციის საშუალება ისეთი ქვეყნის წარმომადგენლებს, რომლებიც დიდი რაოდენობით იმიგრანტებს არ აგზავნიან აშშ-ში. კანონმდებლობის თანახმად, საიმგრაციო ვიზები არ მიეწოდება იმ ქვეყნების მოქალაქეებს, რომლებიდანაც მოქალაქეობის „მაღალი პროცენტით“ შედის აშშ-ში. კანონმდებლობის თანახმად, ეს ის ქვეყნებია, საიდანაც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში აშშ საცხოვრებლად ჩამოვიდა 50 000 ადამიანი, რომლებმაც მიიღეს „ოჯახის მიერ დაფინანსებული“ და „სამუშაო“ ვიზების კატეგორიები. ყოველწლიურად აშშ მოქალაქეობისა და იმიგრაციის სამსახური (USCIS) უმატებს „ოჯახურ“ და „სამუშაო“ ვიზებით ჩამოსულ ადამიანთა რიცხვს წინა ხუთ წელიწადში ჩამოსულ პირთა რაოდენობას – ამის მიზანია იმ ქვეყნების გამოყოფა, რომელთა მოქალაქეებსაც საიმგრაციო ვიზების გათავაზებაში მონაწილეობის უფლება არა აქვთ. ყოველწლიურად, საიმგრაციო ვიზების გათავაზების წინა პერიოდში ცალკე განისაზღვრება იმ ქვეყნის სა, რომელთა მოქალაქეებს არა აქვთ ამ გათავაზებაში მონაწილეობის მიღების უფლება – ამ ქვეყნების სა შეიძლება ყოველწლიურად იცვლებოდეს.

5. შეზღუდულია თუ არა მონაწილეთა რიცხვი 2008 საიმგრაციო ვიზების გათავაზებაში?

კანონმდებლობის თანახმად, საიმგრაციო პრიორიტეტის ფარგლებში ყოველწლიურად გამოიყოფა მუდმივი ცხოვრების უფლების მიმნიჭებელი მაქსიმუმ 55 000 ვიზა. მაგრამ,

„ნიკარაგუას შესწორებისა და ცენტრალური ამერიკის დახმარების აქტის“ (NACARA) - რომელიც კონგრესმა 1997 წლის ნოემბერში მიიღო – თანახმად (დაწყებული 1999 წლიდან - უკვე პერიოდში) ყოველწლიურად გამოიყოფილი 55 000 საიმგრაციო ვიზიდან 5 000 ვიზა გადაეცემა „ნიკარაგუას შესწორებისა და ცენტრალური ამერიკის დახმარების აქტის“ პროგრამას. 55 000 გამოყოფილი ვიზიდან 5 000 ვიზის დაკლება და პირგანდელი რაოდენობის 50 000-მდე დავიდა დაიწვეს 2000 წლიდან და DV-2008 წლის გათავაზების დროსაც ძალაში რჩება.

6. რა შეზღუდვებია დაწესებული რეგიონების მიხედვით 2008 წლის საიმგრაციო ვიზების გათავაზებისას?

აშშ მოქალაქეობისა და იმიგრაციის სამსახური (USCIS) ყოველწლიურად განსაზღვრავს ლიმიტების რეგიონების მიხედვით საიმგრაციო ვიზების გათავაზებისათვის; ეს ლიმიტები განისაზღვრება იმიგრაციისა და მოქალაქეობის აქტის (INA) 203 (გ) ნაწილის შესაბამისად. მას შემდეგ, რაც აშშ მოქალაქეობისა და იმიგრაციის სამსახური (USCIS) გამოიღებს დასრულებას

გამოქვეყნება ვიზების ლიმიტირებული რაოდენობის რეგიონების მიხედვით.

7. როდის მიიღება განაცხადები 2008 წლის საიმგრაციო პროგრამისათვის?

2008 წლის საიმგრაციო ვიზების გათავაზების პერიოდი დაიწყო 2006 წლის 4 ოქტომბრის შუადღეს (EST დროით) და დასრულდება, 2006 წლის 3 დეკემბრის შუადღემდე (EDT დროით). ყოველწლიურად ამ პროგრამაში მონაწილეობას იღებს მილიონობით ადამიანი. განაცხადების უზარმაზარი რაოდენობის გამო ძალიან დიდი შრომა იხარჯება წარმატებული კანდიდატების შერჩევასა და მათი საბუთების დამუშავებაზე. განაცხადების შემოტანის ვადის ორთვიანი პერიოდი საშუალებას მოგვცემს დროულად შევატყობინოთ პასუხი გამარჯვებულ განმცხადებლებს და მისცემს საშუალებას როგორც განმცხადებლებს, ისე ჩვენს საელჩოსსა და საკონსულოებს მაშინვე ვიზის გასაცემად საკვირო განაცხადები. განმცხადებლებს უკრძავენ, განაცხადები სარეგისტრაციო პერიოდის დასაწყისშივე შემოიტანონ, რადგანაც სარეგისტრაციო პერიოდის ბოლოს შემოტანილი განაცხადების უზარმაზარი რიცხვის გამო შეიძლება სისტემის მუშაობა საგრძობლად შენედეს. არცერთი განაცხადი არ მიიღება 2006 წლის 3 დეკემბრის შუადღის (EST დროით) შემდეგ.

8. შეუძლიათ თუ არა პროგრამაში მონაწილეობა იმ პირებს, რომლებიც აშშ იმყოფებიან?

დაიას, განმცხადებელი შეიძლება იმყოფებოდეს აშშ ან სხვა ქვეყანაში და შესაბამისად, განაცხადზე შეიძლება გამოგზავნის აშშ-დანაც და საზღვარგარეთიდანაც.

9. საიმგრაციო ვიზის გათავაზებისას რამდენი განაცხადის შემოტანის უფლება აქვს განმცხადებელს ერთ წელიწადში (თითოეული გათავაზების დროს)?

კანონმდებლობის თანახმად, თითოეული გათავაზების დროს (წელიწადში ერთხელ) განმცხადებელს აქვს მხოლოდ ერთი განაცხადის შემოტანის უფლება. იმ განმცხადებელს, რომელიც გამოგზავნის ერთზე მეტ განაცხადს, მიეცემა დისკვალიფიკაცია. ერთზე მეტი განაცხადის გამოგზავნი პირების დასაღწევად სახელმწიფო დეპარტამენტში იყენებენ მალაგანეთარებულ თანამდებრივ ტექნიკურ საშუალებებს. ერთზე მეტი განაცხადის წარმოდგენი განმცხადებლები იქნებიან დისკვალიფიკირებული, ხოლო სახელმწიფო დეპარტამენტში მუდმივად აწარმოებენ ამ ფაქტების ამსახველ ელექტრონულ დოკუმენტაციას. განმცხადებლებს აქვთ უფლება ყოველწლიურად მიიღონ მონაწილეობა ამ პროგრამაში (სარეგისტრაციო პერიოდის განმავლობაში).

10. შეუძლიათ თუ არა მუდმივებს ცალ-ცალკე წარმოადგინონ განაცხადები?

დაიას, მუდმივებს აქვთ ცალ-ცალკე განაცხადების წარმოდგენის უფლება, თუ თითოეული აკმაყოფილებს პროგრამის მოთხოვნებს. თუ ერთ-ერთს შერჩევენ, მაშინ მეორე მუდმივს ეკუთვნის მეორადი სტატუსი.

11. ოჯახის რომელ წევრებზე უნდა იყოს მითითებული ინფორმაცია საიმგრაციო ვიზის გათავაზებაში გასაგზავნ განაცხადის ფორმაში?

განაცხადის ფორმაში უნდა ჩაწეროთ მუდმივი (ცილი ან ქმარი), და 21 წლამდე ასაკის ყველა დაუქორწინებელი შვილი – გამოწვევის წარმოდგენი ის შვილები, რომლებიც უკვე არიან აშშ მოქალაქეები ან აქვთ აშშ მუდმივი ცხოვრების კანონიერი უფლება. განაცხადის ფორმაში უნდა ჩაწეროთ მუდმივი იმ შემთხვევაშიც, თუ ამჟამად დაშორებული ხართ მას. თუ მუდმივსთან ოფიციალურად ხართ გაყრილი (ანუ გაქვთ ამ ფაქტის დამადასტურებელი სასამართლო მიერ

კითხვა პასუხი

ან სასამართლოს ბრძანებით დამოწმებული წერილობითი დოკუმენტით), მაშინ მისი მითითება საკვირო არ არის. აუცილებლად უნდა ჩაწეროთ ყველა თქვენი დაუქორწინებელი შვილი, რომლებსაც ვერ არ შესრულებათ 21 წელი - იმისდა მიუხედავად არიან ისინი თქვენი ბიოლოგიური შვილები, თქვენი მუდმივი შვილები თუ თქვენი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად ოფიციალურად ნაშვილები შვილები; გამოწვევის ენება მხოლოდ იმ შვილებს, რომლებიც უკვე არიან აშშ მოქალაქეები ან აქვთ აშშ მუდმივი ცხოვრების კანონიერი უფლება. 21 წლამდე ასაკის ყველა შვილი უნდა მითითოთ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი უკვე აღარ ცხოვრობენ თქვენთან ერთად ან თუ ისინი არ აპირებენ თქვენთან ერთად ემიგრაციას ამ პროგრამის ფარგლებში.

ის ფაქტი, რომ თქვენ თქვენი ოჯახის წევრები განაცხადის ფორმაში მითითებთ, არ ნიშნავს იმას, რომ ისინი თქვენთან ერთად უნდა წამოვიდნენ აშშ-ში. მათ შეიძლება ერჩივნათ შემდგომში ჩამოსვლა. მაგრამ თუ თქვენ პროგრამაში მონაწილეობის განაცხადზე არ მითითებთ ოჯახის რომელიმე წევრს (ვისი მითითებაც საკვიროა) და გამარჯვების შემთხვევაში მითითებთ ოჯახის ამ წევრს ვიზის მისაღებად საკვირო ფორმაში, თქვენ დისკვალიფიკირებული იქნებით. (ეს ეხება მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც თქვენზე დამოკიდებული პირები არიან პროგრამის განაცხადის წარდგენის დროს, და არა იმ პირებს, რომლებიც განაცხადის წარდგენის შემდეგ იმყოფებიან თქვენზე დამოკიდებულებით). თქვენმა მუდმივმა შვილებმა შეავსოს ცალკე განაცხადი, მიუხედავად იმისა, რომ იგი თქვენი განაცხადის ფორმაში მითითებული უკვე იქნება – ორივე განაცხადი აუცილებლად უნდა შეიცავდეს ინფორმაციას თქვენი ოჯახის იმ წევრებზე, რომლებიც თქვენზე არიან დამოკიდებულები. იხ. შეკითხვა №10.

12. აუცილებელია თუ არა, რომ განმცხადებელმა თვითონ გამოავაზონ განაცხადის ფორმა? შეიძლება, თუ არა, რომ განაცხადის ფორმა სხვა პიროვნებამ გამოავაზონ განმცხადებლის სახელით?

განმცხადებლებს შეუძლიათ თვითონ შევსონ და გაავაზონ განაცხადები ან შეიძლება მათ მაგივრად სხვა პირმაც გაავაზონ განაცხადი. არა აქვს მნიშვნელობა, თუ ვინ გაავაზონ განაცხადს – პირდაპირ განმცხადებელი თუ მისი ადვოკატი, მეგობარი, ნათესავი და ა.შ. – მთავარია, ერთი განმცხადებლის სახელით შემოვიდეს მხოლოდ ერთი განაცხადი. თუ განაცხადს შერჩევენ, მაშინ ამის დამადასტურებელი წერილი გაიგზავნება მხოლოდ იმ საფოსტო მისამართზე, რომელიც განაცხადის ფორმაში იქნება მითითებული.

13. რა მოთხოვნები არსებობს განმცხადებლის განათლებასა და სამუშაო გამოცდილებასთან დაკავშირებით?

კანონმდებლობის თანახმად, განმცხადებელს უნდა ჰქონდეს სულ მცირე საშუალო სკოლის ან მისი შესაბამისი განათლება, ან იგი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ორი წელი ნამუშევარი უნდა იყოს ისეთ სფეროში, რასაც ჰქონდა სულ მცირე ორწლიანი სასწავლო კურსის ადამიანობა ან ორი წლის სამუშაო გამოცდილება. „სამუშაო სკოლის ან მისი შესაბამისი განათლება“ ნიშნავს დაწყებითი და საშუალო განათლების 12-წლიანი კურსის წარმატებით დასრულებას აშშ-ში ან დაწყებითი და საშუალო განათლების ოფიციალური კურსის – რომელიც ამერიკის საშუალო სკოლის საშუალო განათლებას უტოლდება –

წარმატებით დასრულებას სხვა ქვეყანაში. გათავაზებაში მონაწილეობის მიხედვით განაცხადის ფორმისთან ერთად არ არის საკვირო განათლებისა და სამუშაო სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტების გამოგზავნა; ეს დოკუმენტები უნდა წარუდგინოთ კონსულს ვიზის მისაღებად დანიშნული გასაუბრების დროს. სამუშაო სტატუსის საფუძველზე პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად საკვირო შესაბამისობის დასადასტურებელი გამოცხადებული განსაზღვრებით შრომის დეპარტამენტის O*Net OnLine მონაცემთა ბაზიდან.

შრომის დეპარტამენტის O*Net OnLine Database მონაცემთა ბაზა სამუშაო გამოცდილებას ჰყოფს ექვსი „სამუშაო ზონად“. მართალია შრომის დეპარტამენტის ვებ-გვერდზე ბევრი თანამდებობებია ჩამოთვლილი, მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობა განიხილება როგორც კვალიფიკაციური, როგორცაა მოცემული „სამუშაო ზონა 4 ან 5, კლასიფიკაციური სპეციფიკური პროფესიული მომზადებაში რანგით 7.0 და ზევით.

საიმგრაციო ვიზის გათავაზების კვალიფიკაციური სამუშაოები ნაჩვენებია O*Net OnLine Database-ში. იმისათვის, რომ ნახოთ თქვენი სამუშაო ამ საის კუთვნიან თუ არა გააკეთეთ შემდეგი: მონიშნეთ „Find Occupations“ და შემდეგ მონიშნეთ „Job Family“. მაგალითად მონიშნეთ „არქიტექტურა“ და „ინჟინერია“ და დააჭირეთ „GO“. შემდეგ დააჭირეთ სათანადო ბულის კონკრეტული თანამდებობისთვის. იგივე ნიშნუთ დააჭირეთ „Aerospace engineering“ და დააჭირეთ „GO“. კონკრეტული თანამდებობისთვის ბულის მონიშვნის შემდეგ, შეარჩიეთ „Job Zone“ რათა მიიხედოთ შესაბამის ნომერი და პროფესიული მომზადების რანგი.

14. როგორ შეარჩევნ წარმატებულ განმცხადებლებს?

კენტუკის საკონსულო ცენტრში ყოველი რეგიონიდან მიღებულ ყოველ განაცხადს მიენიჭება ინდივიდუალური ნომერი. სარეგისტრაციო პერიოდის დასრულების შემდეგ ყოველი რეგიონიდან მიღებული ყველა განაცხადიდან კომპიუტერი შემთხვევითი შერჩევის პრინციპით (რანდომოდ) შეარჩევს განაცხადებს. ეს მოხდება ყოველი რეგიონისათვის ცალკე - პირველად შერჩევათა შერჩეული განაცხადი იქნება პირველი დარეგისტრირებული საბუთი, მეორე შერჩეულ განაცხადს მიენიჭება მეორე სარეგისტრაციო ნომერი და ა.შ. სარეგისტრაციო პერიოდის განმავლობაში მიღებულ ყველა განაცხადს აქვს წარმატების ერთნაირი შანსი (თითოეული რეგიონი). როდესაც განაცხადს შეარჩევენ, განმცხადებელს კენტუკის საკონსულო ცენტრიდან გაუგზავნიან შეტყობინების წერილს, სადაც აღნიშნული იქნება ვიზის მისაღებად საკვირო ინსტრუქციები. კენტუკის საკონსულო ცენტრში მანამდე მოხდება თითოეული საკვის (განაცხადების) დამუშავება, სანამ შერჩეული განმცხადებლებს არ ეცნობებათ, თუ როდის უნდა მივიდნენ გასაუბრებაზე საკონსულოში; ან თუ შერჩეული კანდიდატები აშშ-ში იმყოფებიან – სანამ ამ პირებს არ ეცნობებათ, თუ როდის უნდა მივიდნენ „აშშ მოქალაქეობისა და იმიგრაციის სამსახურში“ (USCIS) სტატუსის შესაცვლელად.

ყურადღება! შეტყობინება შემთხვევითი შერჩევაში მოხვედრის შესახებ არ იგზავნება ელ. ფოსტით (იმი-ლით). თუ ასეთი შეტყობინებას მიიღებთ ელ. ფოსტით, იცოდეთ რომ ის ნამდვილი არ არის.

15. შეუძლიათ თუ არა გამარჯვებულ განმცხადებლებს თავიანთი სტა-

ინსტრუქციები „მზვანე ბარათის“ გათავაშვისათვის

ტუსის შეკვლა „აშშ მოქალაქეობისა და იმიგრაციის სამსახურში“ (USCIS)?

დას: იმ შემთხვევაში, თუ პირებს ეკუთვნის თავიანთი სტატუსის შეკვლა „იმიგრაციისა და მოქალაქეობის აქტის“ 245-ე ნაწილის შესაბამისად, ფიზიკურად აშშ მყოფ გამარჯვებულ განმცხადებლებს შეუძლიათ მიმართონ „აშშ მოქალაქეობისა და იმიგრაციის სამსახურს“ (USCIS) თავისი სტატუსის შესაცვლელად და მუდმივი ცხოვრების უფლების სტატუსის მისაღებად. განმცხადებლებმა უნდა გაითვალისწინონ და წარმოადგინონ იმის გარანტიები, რომ „აშშ მოქალაქეობისა და იმიგრაციის სამსახურს“ (USCIS) ექნება მათი საქმის მიღობის განხილვის საშუალება – აშშ გარეთ მყოფი მათი დერივანტების (ის ნათესავები, რომლებსაც მათთან ერთად ეკუთვნის ვიზის მიღება) საქმეების ჩათვლით – 2008 წლის 30 სექტემბრამდე, რადგანაც ამ დღეს მოაგრდება სარეგისტრაციო ვადა DV-2008 პროგრამაში მონაწილეობისათვის. 2008 წლის 30 სექტემბრის შუალედის შემდეგ აღარ იქნება შესაძლებელი ვიზის ნომრის მიღება DV-2008 პროგრამისათვის.

16. მიიღებენ თუ არა შეტყობინებას ის განმცხადებლები, რომლებიც ვერ გაიმარჯვებენ?

არა! განმცხადებლები, რომლებიც ვერ გაიმარჯვებენ (არ იქნებიან შერჩეული), არ მიიღებენ შეტყობინებას ამის შესახებ. ყველაზე უფრო მეტი შეტყობინება იგზავნება განაცხადის ფორმაში მითითებულ მისამართზე განაცხადის შეტანის პერიოდის დასრულებიდან 5-7 თვის განმავლობაში. თუ სარეგისტრაციო პერიოდის შემდეგ 5-7 თვის განმავლობაში განმცხადებელი არ მიიღებს შეტყობინებას, ეს ნიშნავს იმას, რომ მან ვერ გაიმარჯვა.

17. რამდენი განმცხადებელი შეიძლება შეირჩეს?

DV-2008 წლისათვის გამოყოფილია 50 000 საიმიგრაციო ვიზა, მაგრამ ფაქტობრივად შერჩეული იქნება ამზე მეტი რაოდენობის ადამანი. იქიდან გამომდინარე, რომ 50 000 შერჩეული იქნება ვიზის მისაღებ მოთხოვნებს ზოგიერთი პირი არ აკმაყოფილებდეს ან ზოგმა შეიძლება აღარ მიმართოს ვიზის მისაღებ პროცედურებს, კენტუკის საკონსულო ცენტრში შერჩევა 50 000-ზე მეტი განაცხადი, რათა იყოს იმის გარანტია, რომ გაიცემა ყველა გამოყოფილი 50 000 ვიზა. მაგრამ ეს თან იმასაც ნიშნავს, რომ არ არსებობს საკმარისი რაოდენობით ვიზები ყველა ამ პირისათვის, რომელიც თავიდან შეირჩევა (რადგანაც თავიდან 50 000-ზე მეტი განაცხადი შეირჩევა). ყველა შერჩეული განმცხადებელი დაუყოვნებლივ მიიღებს ინფორმაციას შერჩეულთა სიაში თავისი ადგილის შესახებ. გასაუბრებელი შერჩეული განმცხადებლებთან დაიწყება 2007 წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში. კენტუკის საკონსულო ცენტრი გაუგზავნის შერჩეულ განმცხადებლებს გასაუბრების თარიღის აღნიშვნულ წერილებს საკონსულოში დანიშნულ გასაუბრებამდე 4-6 კვირით ადრე. ვიზები გაიცემა ყოველთვიურად (თუ იქნება საკმარისი რაოდენობის ვიზები) იმ პირებისათვის, რომლებიც მზად იქნებიან ვიზის მისაღებად. მას შემდეგ, რაც ყველა 50 000 საიმიგრაციო ვიზა გაიცემა, იმ წლის პროგრამა დასრულდება. საერთოდ, ვიზების გაცემა შეიძლება 2008 წლის სექტემბრამდე დასრულდეს. ის შერჩეული განმცხადებლები, რომელთაც სურთ ვიზის მიღება, მზად უნდა იყვნენ დაუყოვნებლივ იმოქმედონ. კენტუკის საკონსულო ცენტრში შემთხვევითი შერჩევის პრინციპით (რენდომულად) შერჩევის შედეგად გამარჯვება არ არის იმის გარანტია, რომ განმცხადებელი ვიზას მიიღებს.

18. არსებობს თუ არა მინიმალური ასაკობრივი ზღვარი საიმიგრაციო ვი-

ზის პროგრამაში მონაწილეობისთვის?

მინიმალური ასაკობრივი ზღვარი ამ პროგრამაში მონაწილეობისათვის არ არსებობს. მაგრამ არსებობს მოთხოვნა, რომ ყოველ მთავარ განმცხადებელს განაცხადის შეტანის პერიოდში უნდა ჰქონდეს დამთავრებული საშუალო სკოლა ან უნდა ჰქონდეს საშუალო სტაჟი – აქედან გამომდინარე 18 წლამდე ასაკის განმცხადებლების უმრავლესობა შეიძლება დისკვალიფიცირებული იქნას.

19. არის თუ არა დაწესებული რაიმე გადასახადი DV პროგრამაში მონაწილეობისათვის?

გათამაშებაში მონაწილეობის მისაღები ელექტრონული განაცხადის შეტანა უფასოა. სავიზო გადასახადების გადახდა საკვალდებულოა საიმიგრაციო ვიზის მისაღებ გასაუბრებაზე უშუალოდ საკონსულო განყოფილების სალაროში. გამარჯვებულ განმცხადებლებს კენტუკის საკონსულო ცენტრი დამატებით გაუგზავნის დეტალურ ინსტრუქციებს აუცილებელი გადასახადების შესახებ.

20. აქვთ თუ არა ამ პროგრამაში მონაწილე განმცხადებლებს განსაკუთრებული უფლება გამოხატვისის სახით მითხოვონ ვიზის გათამაშებაში მონაწილეობის მიღება, იმ შემთხვევაში, თუ მათ რაიმე მიზეზით არ ეკუთვნის ამ გათამაშებაში მონაწილეობის მიღება?

არა. განმცხადებლებს ვერცხდება საიმიგრაციო ვიზების მიღებისა და მათზე უარის თქმის იგივე პირობები, რაც ყველასთვისაა გათვალისწინებული „იმიგრაციისა და მოქალაქეობის აქტით“. არანაირი განსაკუთრებული დებულებები არ არის გათვალისწინებული იმ საფუძვლის უარსაყოფად, რომელიც არ აძლევს უფლებას პირიქედან მითხოვონ მონაწილეობა ვიზის გათამაშებაში – „იმიგრაციისა და მოქალაქეობის აქტით“ გათვალისწინებული ჩვეულებრივი დებულებების გარდა.

21. შეუძლია თუ არა ამ პირს, რომელიც უკვე დარეგისტრირდა სხვა კატეგორიის საიმიგრაციო ვიზის მისაღებად, მონაწილეობა მიიღოს ამ პროგრამაში?

დას: ასეთ პირებს შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა ამ პროგრამაში.

22. რა დროის განმავლობაში აქვთ უფლება გამარჯვებულ განმცხადებლებს, რომ მიმართონ DV კატეგორიის ვიზების მისაღებად?

2008 წლის საიმიგრაციო ვიზების გათამაშებაში გამარჯვებულ პირებს უფლება აქვთ მიმართონ ვიზის მისაღებ პროცედურებს მხოლოდ 2007 წლის ფისკალურ წელიწადში ანუ 2007 წლის ოქტომბრიდან 2008 წლის სექტემბრამდე. გამარჯვებულმა განმცხადებლებმა უნდა მიიღონ საიმიგრაციო ვიზა ან შეიცვალონ სტატუსი აღნიშნული ფისკალური წლის ბოლომდე (2008 წლის 30 სექტემბრამდე). გამარჯვებულ განმცხადებლებს, რომლებმაც ფისკალური 2008 წლის განმავლობაში ვიზები არ აიღეს, არა აქვთ უფლება შექმნილი წლისათვის გადაიტანონ ეს პროცედურა. გარდა ამისა, მთავარი განმცხადებლების მუდმივებმა და შეიღებმაც ამ კატეგორიის ვიზები უნდა მიიღონ 2007 წლის ოქტომბრისა და 2008 წლის სექტემბრის შორის. აშშ ფარგლებს გარეთ მყოფი განმცხადებლები კენტუკის საკონსულო ცენტრიდან მიიღებენ საკონსულოში დანიშნული გასაუბრების თარიღის აღნიშვნულ წერილის დანიშნულ გასაუბრებამდე 4-6 კვირით ადრე.

23. რა მსვლელობა ეძლევა დაწესებულ საქმეს DV გამარჯვებულის გარდაცვალების შემთხვევაში?

გამარჯვებულს პირის გარდაცვალების შემთხვევაში მიეღობა საქმე უქმდება. იგივე ვრცელდება მუდმივზე და ბავშვებზე, რომლებსაც შეეძლოთ მიეღობთ ვიზები.

24. როდის გაიხსნება ინტერნეტი (on-line) საიმიგრაციო ვიზების განაცხადის ფორმების შესასყებად?

გვერდი საკვირო განაცხადის ფორ-

მების შესასყებად გაიხსნება (on-line) 2006 წლის 4 ოქტომბრის დღის 12 საათიდან EEDT დროით (GMT-4) 2005 წლის 3 დეკემბრის დღის 12 საათამდე EEST დროით (GMT-5).

25. შეიძლება თუ არა საიმიგრაციო ვიზების მისაღებად საკვირო განაცხადის ფორმების ინტერნეტთან გადმოწერა და შენახვა „მაკროსოფტ ვორდ“-ის პროგრამაში (ან სხვა პროგრამაში) და მისი შემდგომში შეცვლა?

არა; თქვენ ამ ფორმას სხვა პროგრამაში ვერ შეინახავთ მისი შემდგომი შეცვლების და გადაგზავნის მიზნით. საიმიგრაციო ვიზების მისაღებად საკვირო განაცხადის ფორმები წარმოადგენენ „კვებ“ ფორმებს. ეს მათ უფრო „უნივერსალურს“ ხდის „ვირდ პროცესორის“, ფორმატში შექმნილ ფორმებთან შედარებით. გარდა ამისა, არის აუცილებელი პირობა, რომ ფორმები უნდა შეივსოს და გამოიგზავნოს ინტერნეტშივე (on line).

26. თუ სკანერი არა მაქვს, შეიძლება ჩემი ფოტოსურათი ატვირთო მყოფ ნათესავს ვაუჩზე დასასკანერებლად, რომელიც ამ ფოტოსურათის შემდეგ დისკეტზე შეინახავს და ელექტრონული ფოსტით გადაიმოგზავნის (შემდგომში კი, მე მას განაცხადის ფორმასთან ერთად გამოგზავნის)?

დას: ამის გაკეთება შეგიძლიათ, ოღონდ ფოტოსურათის ფორმატი უნდა აკმაყოფილებდეს არსებულ მოთხოვნებს და იგი ელექტრონულად უნდა გამოიგზავნოს on-line შეცვლებული ვიზის განაცხადის ფორმასთან ერთად. ანუ, იმ დროისათვის, როდესაც განმცხადებელი შევსებს განაცხადის ფორმას ინტერნეტში და მის გამოგზავნას დააბრუნებს, მას უკვე მზად უნდა ჰქონდეს ფოტოსურათის ელექტრონული ვერსია. ფოტოსურათისა და განაცხადის ფორმის ცალ-ცალკე გაგზავნა არ შეიძლება. ყოველმა განმცხადებელმა უნდა გამოგზავნოს მხოლოდ ერთი განაცხადი. თუ ერთი განმცხადებლისაგან შემოვა რამდენიმე განაცხადი, მაშინ ამ პირობებზე მიეცემა დისკალაფიკაცია და იგი 2008 წლის საიმიგრაციო ვიზის პროგრამაში მონაწილეობას ვერ მიიღებს. მთლიანი განაცხადი (ანუ ფოტოსურათი და განაცხადის ფორმა) შეიძლება ინტერნეტით გამოიგზავნოს აშშ-დანაც.

27. შემიძლია, თუ არა განაცხადის ფორმის ერთი შეცვლებული ნაწილის on-line შენახვა (ინტერნეტში), ისე რომ შემდეგ შემდგომში მას დაეუბრუნდე და დარჩენილი ნაწილი შევსო?

არა, ამის გაკეთება არ შეიძლება. საიმიგრაციო განაცხადის ფორმა ისეა დაფორმატებული, რომ იგი უნდა გაიგზავნოს უშუალოდ შევსების შემდეგ. თუმცა, რადგანაც ფორმა ორი ნაწილისაგან შედგება და რადგანაც ინტერნეტის ქსელის მუშაობაში შეიძლება რაიმე შეფერხებები მოხდეს, დაშვებულია საშუალოდ (60) პაუზის არსებობა შეცვლებული ფორმის ჩატვირთვას („დაუწყოფილი“) და მის მიღებას შორის E-DV ვებ გვერდზე (როდესაც ინტერნეტით გაგზავნით ფორმას და მას E-DV ვებ გვერდზე მიიღებენ). თუ ეს პაუზა 60 წუთზე მეტია და განაცხადის ფორმის ინტერნეტით არ მიიღებენ E-DV ვებ გვერდზე, მაშინ შემდგომში მიიღებულ განაცხადის ფორმას ძალა აღარ ექნება. ასეთი მოთხოვნა იმიტომ არსებობს, რომ განაცხადის მთლიანი ფორმა (ფოტოსურათი და განაცხადის ფორმა) შემთხვევით არ ჩაითვალოს ადრე გამოგზავნილი ნაწილობრივად შევსებული განაცხადის დუბლიკატად. მაგალითად, დაუშვებელი განმცხადებელი თავის ცოლით და ერთ შვილით ერთად აგზავნის E-DV განაცხადის შეცვლებული ფორმის პირველ ნაწილს და შემდეგ იღებს მეორე ნაწილს, მაგრამ მეორე ნაწილის გამოგზავნის დროს ადგილი აქვს შეფერხებებს, რადგანაც დროულად ვერ პოულობენ ბავშვის ფოტოსურათის შემცველ დო-

კუმენტს (ფაილს). თუ შეცვლებული მეორე ნაწილის გაგზავნიდან მის მიღებამდე E-DV ვებ გვერდზე 60 წუთი (ან ნაკლები) გავიდა, მაშინ არანაირი პრობლემა არ შეიქმნება, მაგრამ თუ მეორე ნაწილს E-DV ვებ გვერდზე 60 წუთის გასვლის შემდეგ მიიღებენ, მაშინ განმცხადებელს შეატყობინებენ, რომ ეს ფორმა ბათილად ჩაითვალია და მან ხელახლა უნდა შეავსოს და გამოგზავნოს განაცხადი. 2008 წლის საიმიგრაციო ვიზის ინსტრუქციებში ნათლად და სრულადაა ნათქვამი, თუ რა ინფორმაცია სჭირდება განმცხადებელს ამ ფორმის შესასყებად. კარგად გაეცანით ინსტრუქციებს, მოაგზავით მიწვევა საკვირო ინფორმაცია და ფორმის შევსების დაწყებამდე კიდევ ერთხელ შეამოწმეთ, ხელთ გაქვთ თუ არა საკვირო ინფორმაცია.

28. დებულების თანახმად თუ გაგზავნილი ციფრული ფოტოსურათები მოთხოვნებს არ შეესაბამება, სისტემმა ავტომატურად ამოაღებს საიმიგრაციო ვიზის განაცხადის ფორმას და შეატყობინებს ამის შესახებ განმცხადებელს. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ განმცხადებელს კვლავ შეეძლება თავიდან გაგზავნოს განაცხადის ფორმა?

დას: განაცხადის ფორმის ხელახალი გაგზავნა შეიძლება. თუ განაცხადის ფორმა ავტომატურად ამოაღდა, ის არ ითვლება E-DV ვებ გვერდზე ოფიციალურად მიღებულ ფორმად. თუ არსებობს რაიმე პრობლემა გამოგზავნილ ციფრულ ფოტოსურათთან დაკავშირებით (თუ იგი არ შეესაბამება მოთხოვნებს), მაშინ იგი ავტომატურად ამოაღდება (არ მიიღება) E-DV ვებ გვერდიდან. მაგრამ, ინტერნეტის ბუნებრივად გამოდინარე, არ ხერხდება იმის წინასწარ განსაზღვრა, თუ რამდენ ხანში მივა განმცხადებელთან შეტყობინება ფორმის არ მიღების შესახებ. თუ განმცხადებელი შეძლებს თვითონ აღმოფხვრას დაბრკოლება და ხელმძღვრე გაგზავნოს განაცხადის პირველი ან მეორე ნაწილი 60 წუთის განმავლობაში, მაშინ არანაირი პრობლემა აღარ შეიქმნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, განაცხადი თავიდან უნდა შევსოს და გაიგზავნოს. განმცხადებელს შეუძლია იმდენჯერ შეავსოს და გაგზავნოს განაცხადი, რამდენჯერაც იქნება საჭირო, სანამ დანიშნულების ადგილას არ მიიღებენ მთლიან განაცხადს და არ გამოგზავნიან განმცხადებელს განაცხადის მიღების დამადასტურებელ შეტყობინებას.

29. გამოგზავნა თუ არა განმცხადებელს ელექტრონული შეტყობინება E-DV მთლიანი განაცხადის მიღების თაობაზე ამ განაცხადის გაგზავნისთანავე თუ არა?

E-DV ვებ გვერდზე ზუსტად შევსებული მთლიანი E-DV განაცხადის მიღების შემდეგ განმცხადებელს იმ წუთშივე გამოგზავნიან შეტყობინებას ამ განაცხადის მიღების თაობაზე. მაგრამ, ინტერნეტის ბუნებრივად გამოდინარე, არ ხერხდება იმის წინასწარ განსაზღვრა, თუ რამდენ ხანში მივა განმცხადებელთან ეს შეტყობინება. თუ მას შემდეგ, რაც თქვენ დააჭირეთ თითო ლილას „Submit“ (გაგზავნა) ბეჭედი წუთი გავიდა და თქვენ თქვენი განაცხადის მიღების დამადასტურებელი შეტყობინება არ მიიღეთ, არაფერი არ დაშვდება იმით, თუ კიდევ ერთხელ დააჭირეთ თითის ამ ლილას („Submit“ - გაგზავნა). E-DV სისტემას „არ დაიბნევა“ იმის გამო, თუ თქვენ ამ ლილას მეორეჯერ დააჭირეთ თითის, იმიტომ რომ ცნობილია, რომ თქვენ არ მიიღეთ განაცხადის მიღების დამადასტურებელი შეტყობინება. განმცხადებელს შეუძლია ეცადოს იმდენჯერ გაგზავნოს განაცხადი, რამდენჯერაც იქნება საჭირო - სანამ დანიშნულების ადგილას არ მიიღებენ მთლიან განაცხადს და არ გამოგზავნიან განმცხადებელს განაცხადის მიღების დამადასტურებელ შეტყობინებას.

30. როგორ გავიგო რომ გათამაშ-

ბის შერჩევადან გასვლის დასტურის ნამდვილია? ანუ როგორ დავრწმუნდეთ რომ მე ნამდვილად მოვხვდი შემთხვევით შერჩეულთა შორის?

საყურადღებოა, რომ ბრძანა, ანუ შემთხვევითი შერჩევის ელბიდან გასვლის შესახებ შეტყობინება ელ. ფოსტით არ იგზავნება. ასეთი შერჩეული პირები შეტყობინებას მიიღებენ ფოსტით პირველად ელ. განაცხადში მითითებულ მისამართზე 2007 წ. მაისიდან ივლისამდე. შეტყობინებას მხოლოდ ბრძანდ შერჩეული პირები მიიღებენ. შერჩევის მიზმი დარჩენილები შეტყობინებას არ მიიღებენ. ასევე გაითვალისწინეთ, რომ თქვენს ქვეყანაში არსებული აშშ საელჩოებს და საკონსულოებს არ ექნებათ შერჩეული, ანუ გამარჯვებული პირების სიები, რომლებსაც შეეძლებათ გათამაშებაში შემდგომი მონაწილეობის მიღება.

კენტუკის საკონსულო ცენტრი შერჩეულებს გაუგზავნის წერილებს, სადაც ახსნილი იქნება სავიზო განაცხადის გაგრძელებისათვის შემდგომი ქმედებები. იმ წერილობით მითითებებში ნათქვამი იქნება, რომ განმცხადებლები ყველა სავიზო გადასახადებს პირადად გადაიხდის უშუალოდ საკონსულოში, რის დასტურადაც საკონსულოს ბუღალტრისგან და კონსულისგან მიიღებს შესაბამის აშშ მთავრობის ქვითრებს. არ გაგზავნით სავიზო გადასახადები ფოსტით, „ველსტონ ოქინი“-თ ან რაიმე სხვა საშუალებებით.

გათამაშებაში მონაწილეობის ელ. განაცხადები კეთდება აშშ მთავრობის მიერ გამოყოფილ ვებ-გვერდის შემდეგ მისამართზე: www.dvlottery.state.gov. კიდევ ერთხელ გაითვალისწინეთ, რომ კენტუკის საკონსულო ცენტრი წერილობით მითითებებს უგზავნის მხოლოდ გათამაშების შემდეგ ელბაზე გასვლისათვის შერჩეულ პირებს. კენტუკის საკონსულო ცენტრი ან აშშ მთავრობა შეტყობინებს არ გაგზავნის ელ. ფოსტით, ანუ იმედი და იმედილის ამ მიზნით გამოყენება DV-2008-ის გათამაშებაში გათვალისწინებული არ არის.

აშშ მთავრობა და სავიზო მომსახურებელი გაყვანობაში, რომ მხოლოდ ის ვებ-გვერდები, რომლებიც დასახელებს იმის სიტყვა „გოვ“ წარმოადგენენ ოფიციალურ საიმიგრაციო ვებ-გვერდებს. შეიძლება სხვა ბევრი არასამთავრობო ვებ-გვერდები („com“, „org“ ან „net“) იძლეოდეს სრულად მართებული და რეალურ მითითებებს, მაგრამ მიუხედავად ამისა იცოდეთ, რომ აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი არც კურირებს და არც აფინანსებს იმ მასალებისა და ინფორმაციის გამოქვეყნებას, რომელიც ასეთ ვებ-გვერდებზე მოცემულია. ზოგიერთი ვებ-გვერდები შეეცდებიან შეცდომად შეიყვანოს მოსახლეობა და მოაჩვენოს, რომ ისინი ოფიციალურები არიან და ელ. ფოსტის გამოგზავნის მეშვეობით დედებთან განაწილენ თავიანთი შეთავაზებების მიმართ. მათ შეიძლება მოგთხოვონ იმ საიმიგრაციო ინფორმაციის და ფორმების მონაწილეობის საფასურის გადახდა, რომლებიც საიმიგრაციო ვებ-გვერდებზე სრულად უფასოა. უფრო მეტიც, მათ შეიძლება უბრალოდ თქვენ თანხის მოპარვა სურდეთ და თქვენს მიერ გადახდილი თანხის შესაბამისი მომსახურება არც მიიღოთ. თანხის გადახდის შემდეგ თქვენ ეს გვერდი შეიძლება ვეღარც იხილოთ. ასევე გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირადი ინფორმაციის გაცემა ინტერნეტში ეზუქრება თქვენს ინტერნეტ უსაფრთხოებას.

დაეხმარებით გათამაშებაში მონაწილეობაში, თანხა მთლიანად მოხმარდება გაზეთ „მაშულის“ არსებობას!

1-347-724-0770

ძალიან ხშირად უარს ვამბობ ხოლმე მამაჩემის გახსენებაზე...

თუ რამ ვიცი, ისევ ახლობლების - დედას, ბაბუას, მამიდას მონაყოლით და კიდევ ნიკა აგიაშვილის ჩემთვის უპირფასეო წიგნით „ჭაბუკები დარჩნენ მარად“.

ხშირად ვისმენ ტელევიზორით ან ლიტერატურულ სადამოებზე ჩვენი სასიქადულო პოეტების ახლობლების გამოსვლას, მათ ხომ მოსაყოლი და გასახსენებელი ბევრი აქვთ, მე კი ამ ბედნიერებას მოკლებული ვარ, სულ პატარა დავკარგე მამა, ვისთანაც დღეს ასე ამაყი და ბედნიერი ვიქნებოდი...

ვფიქრობ და ვერ გამიგია, მასსოვს მამა თუ ჩემს წარმოდგენაში ვხატავ მას - ძალიან ახალგაზრდას, მეოცნებე თვალბანს, მუდამ ლექსის კითხვით გატაცებული, ხან ძალიან მხიარულს, ხან ძალიან სევდიანს, მწუხარე თვალებით ჩემსკენ მომხიარულს...

ასეთია იგი ჩემს ოცნებაში, ასეთი მინახავს იგი სიზმარშიც. ასეთად წარმოვიდგენ მას - სამარესთან მჯდომარეს, სამარესთან, რომლისკენაც მუდამ მივიჩქარი, და თითქმის იქ ჩამესმის მისი ვაჟაკური გულიდან ამონეთქილი უკანასკნელი სიტყვები:

„მოიგონე მამაშენი - შუშა ოქროდ გასაზრდელი, თქვი, რომ მოკვდა სიყვარულით, შეუყვარდა საქართველო. თქვი და ისე გაიცინე, მანანაო თვალხატულავ, რომ მე გულზე გადმიქროლოს სიცოცხლედ და ნაკადულად!“

გაიცინეო - ამ სურვილს ვერ ვუსრულებ, ვერ ვიცინი, რადგან თვალეზი და გულიც ცრემლებით მეცხება.

ყოველთვის ვცდილობდი, არ შემერცხვინა ის სახელი, რომელიც მან დამარქვა... მაგრამ თუკი ეს მაინც ვერ შევძელი, ვერ გავაცოცხლე მისი ოცნება, ერთში მაინც არ მიღალატნია მისთვის - მიყვარს და მეყვარება ჩემი სამშობლო ისე, როგორც უნდა უყვარდეს ყოველ ქართველს, როგორც უყვარდა იგი მამას, მეც მასავით „დავიდლები საქართველოს სიყვარულში, სასთუმალზე ერთხელაც არ დავიძინებ“

ბაბუა, დედა და მამიდა თავიანთ უწმინდეს მოვალეობად თვლიდნენ ჩემში მამის ხატების გაცოცხლებას. ამას მგონი, მიღწიეს კიდევ, ბევრი რამ ვიცი მამაზე, ძალიან ბევრი...

მამიდას - მედიკო ასათიანს, ბარდნალაში ჩვენი სტუმრების უცვლელ

მასპინძელს, ხშირად დავყავი მშობლიურ სოფელში. ლაღოს ერთ-ერთ კრებულს „მთვარიან ღამეებს“ - მამიდამ დაურთო ბოლო თქმა, რომელშიც წერს: - განსაკუთრებით გაუჭირდა ქართველ კაცს ბოლო წლებში; უშენობით ოდნავ გაყუჩებულმა იარამ ახალი ტკივილით იჩინა თავი. ვფიქრობ, ახლაც ძალიან სჭირდება ქვეყანას. ათი სიცოცხლე რომ მქონდეს, ათივეს მოგცემდი, ოღონდ დღეს ცოცხალი ყოფილიყავი...

ბაბუაჩემი - მექი ასათიანი ფეხით დამატარებდა იმ ადგილებში, სადაც მამას განმარტობით უყვარდა ჯდომა; დავადგებოდი ცაგერისაკენ მიმავალ გზას, ჩამოჯდებოდა ქვაზე სახრახოთან, გაჭყურებდა ცხენისწყალს და მის ხმაურს აყოლებდა მამას სტრიქონებს: „გახსოვს ცხენისწყლის ნაპირი, თევზაობა და აპრილი?...“ და შემდეგ ჩაფიქრებული აგრძელებდა: „აჰ, ბაბუ, ტრიალებდა წყალი, დიდი მორევი იყო; ჩვენთან ლეჩხუმში, მორევს მობრუნვალეს ეძახიან. აჰ დადიოდა ბიჭი საცურაოდ. ერთხელ ჩვენი მეზობლის ბავშვი გადაარჩინა დახრჩობას, ბაბუ“...

ფენდაფენ ჩამომატარებდა ნამკაშურის წისქვილებს, დაუხარლად მიპასუხებდა, რა იყო სარეკლა, ხვიძრა, დოლაბი, ღარი... უნდა იცოდე, ბაბუ, ყველაფერი, - მეტყობა, - თუ გინდა ისე თქმა შეგეძლოს, ისე ცოცხლად დანახვა, როგორც მამაშენი ხედავდა... და ტკბილი ხმით იტყობა:

„მკლავს ნამკაშური - მინდვრის იმედი, ფოთლების ნამით ადიდებული და ცეცხლის პირას ნედლი სიმინდი, გლეხის ბიჭვით ატირებული“.

ყველაფერს ლაღოს ლექსს მიუსადაგებდა... ეზოში შესვლისას „სახლის წინ ნაგრიგალარი, გაფითრებული ჭადარი“ გველოდებოდა...

დედაც გამუდმებით მიაბობდა მამაზე, ცდილობდა ჩემს ხსოვნას არაფერი გამორჩენოდა მამისეული... დღეს რომ ლაღოს მდიდარი არქივი გვაქვს, ეს დედას დამსახურებაა. მან თავი მოუყარა მამას შემეკვიდრეობას, შეკრიბა ლაღოს ლამაზი ხელით ნაწერი ლექსები, პირადი ბარათები, ფოტოები, მკითხველებთან მიმოწერა, ნიკა აგიაშვილის, სიმონ ჩიქოვანის, შალვა აფხაიძის, ვახტანგ ჭელიძის, რევაზ ინანიშვილის, გიორგი ჯიბლაძის... წერილები და მოგონებები, პუბლიკაციები მასზე, ლაღოსადმი მიძღვნილი 100-მდე ლექსი, მათ შორის ანა კალანაძის, იოსებ ნონეშვილის, მურმან ლებანიძის, ჯანსუღ ჩარკვიანის, გიორგი შატბერაშვი-



მამაჩემი

ლის, რეზო ამაშუკელის ლექსები, საქართველოს სხვადასხვა კუთხის სკოლებში გამართული მისი ხსოვნის საღამოების მოსაწვევი ბარათებიც კი...

რამდენიმე თბილისური მოგონებაც... 1948 წელს, მამაჩემის გარდაცვალებიდან ხუთი წლის თავზე, მისი გახსენების პირველი საღამო გაიმართა მწერალთა სასახლეში...

ხალხის სიმრავლის გამო დარბაზში შესვლა შეუძლებელი იყო; ხელიდან ხელში გადამატარეს და ისე შემიყვანეს. 7 წლისას ჯერ გაცნობიერებული არ მქონდა, რა ხდებოდა... ერთი კი ვიცოდი, უნდა წამეკითხა მამას „ყაყაო“. საღამოზე მოგონებებით გამოვიდნენ სიმონ ჩიქოვანი, კონსტანტინე გამსახურდია... სერგო ზაქარიაძემ ჩვეული ოსტატობით წაიკითხა „სასაფლაო“ და შემდეგ „ყაყაო“. ასე რომ ჩემი სათქმელი ბატონმა სერგომ თქვა, ამის გამო გავჯიუტდი და ლექსი აღარ წავიკითხე...

კარგად მახსოვს ჩემი მეორე საჯარო „მარცხი“. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში მამას ხსოვნის საღამო გაიმართა. ნორჩ ლიტერატორთა წრის წევრი ვიყავი. ჩემი პედაგოგები იყვნენ ქალბატონები ქეთევან ანანიშვილი და ფაცია პაიჭაძე. ქალბატონმა ქეთევანმა, ცხადია, მეც მიმალენინა მონაწილეობა ამ საღამოზე, მაგრამ... სიტყვის შუაში ხმა ამიკანკალდა, მით უმეტეს, რომ თვალის მოკარი ჩემი სკოლის დირექტორს თვალბატონ თამარ დარახველიძეს, რომელიც პირველ რიგში იჯდა და ტიროდა (არა და საოცრად მკაცრი და მომთხოვნი იყო!) ვერ მივხვდი, რატომ ტიროდა და ამან უფრო ამაღელვა... როგორც იქნა, სიტყვა დავასრულე და ამის შემდეგ საჯაროდ აღარ გამოვსულვარ... „მარცხის“ შემთხვევა... და, მგონი, არც არასოდეს მეყოფა შინაგანი ძალა, ხმამაღლა ვთქვა ის, რასაც მამაზე ვფიქრობ...

და კიდევ, 1968 წელი... მამა ვაკის სასაფლაოდან გადასვენეს დიდუბის პანთეონში. გადასვენებას ესწრებოდნენ ბატონები: ნიკა აგიაშვილი, მამია ასათიანი, ლევან კიკნაძე, ლაღო სულაბერიძე, გიორგი შალამბერიძე, დედა, ბიძა - ზაქარია ვაჩნაძე, მამიდა და მე. ამან იმდენად შემძრა, რომ სახლში დაბრუნება გამიჭირდა, ანგარიშმოუცემლად გა-

ვევი ჩემს მეუღლეს და ბატონ მამია ასათიანს. იქვე ახლოს, დიდუბეში ე.წ. „თეთრ ღუქანში“ პატარა მაგიდის გარშემო სულ ექვსნი ვისხედით. მეზობელ სუფრასთან სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის რამდენიმე კაცი იჯდა. ბატონი მამია მაშინ უკვე ავად იყო, ვეღარ ლაპარაკობდა, თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე. ეს უყურადღებოდ არ დარჩენიათ გვერდით მსხლმთ, ალბათ, იცნეს და მიზეზი ჰკითხეს. ბატონმა მამიამ მომცრო ბარათზე დაწერა - დღეს ლაღო ასათიანი დიდუბის პანთეონში გადავასვენეთ... იმ დროისათვის მამას კრებული გამოიცა კოკა ივანაშვილის მხატვრობით და გურამ ასათიანის ბოლო თქმით. მე სასიყვარულო წიგნები ყოველ მათგანს დაუკურივე. კარგად მახსოვს იმ მეზობელი მაგიდის თამადამ თამაზ თოხაძემ ასეთი ფრაზა თქვა: ჩვენი შეილები ლაღოს მთაწმინდაზე ასვენებონო. მერე... საოცრება მოხდა: თამადად მამა დაასახელეს და შემდეგ ყველამ სათითაოდ მამას თითო ლექსი წაიკითხა. ერთ-ერთმა მათგანმა კი - ბექარ კაპანაძემ (გვარი ახლაც კარგად მახსოვს!) „ბასიანის ბრძოლა“ თავიდან ბოლომდე წართმობდა... დამეთანხმებით, პოეტისათვის ამაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს... მე კი იმ წუთებში მამაჩემს პირისპირ შევხვდი...

და, საერთოდ, ყველაფერი, რაც მამაზე ვიცი, მხოლოდ ლექსებით ცოცხლობს, იმ ლექსებით, რომლებიც შემორჩენილ სურათებს მივუსადაგე მასთან არც თუ ისე იშვიათი საუბრისას...

მართლაც, ყველაზე მეტს და უკეთ მისი ლექსები გვიამბობენ მამაზე - თვითონაც ხომ ასე სჯეროდა:

„რომ ლექსი შევლის ყოველგვარ ტკივილს, და ლექსი თვითონ ტკივილი არი“

მინდა, რომ მომავალ თაობას მამაჩემის მსგავსად უყვარდეს სამშობლო, ავისა და კარგის გარჩევა შეეძლოს, სამშობლოს კეთილდღეობისათვის დაიხარჯონ და ყველას შეძლებოდეს ხმამაღლა ეთქვას:

„... და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს, როცა ჩვენ გავჩნდით ამ ქვეყანაზე...“ **მანანა ასათიანი**



მოგონება

დასაწყისი მ-4 გვერდზე

დელი ვიყავი და - „რა მოხდა, რაში იყო საქმე, რატომ არ შეჩერდა ამხანაგების წრეში, რატომ მოგვესალმა ასე უცხო სახით, რატომ ერთმა კაცმა მაინც არ დაუძახა, რატომ არ მოულოცეს?“ - ვკითხებოდი თავს. ის დღე ხომ ჩვეულებრივი დღე არ იყო ქართული პოეზიისათვის, იმ დღეს მოველინა საქართველოს უძველესი შედეგები „კრწანისის ყაყაჩოები“ შემდეგ და შემდეგ ჩემთვის თანდათანობით ნათელი გახდა, რომ არაფერია გასაკვირი იმაში, თუ ვთქვით, გრიგოლ ორბელიანის თავი არ შეუწყუბებია, დიდი პოეტის ნიშნები შეენიშნა საკუთარ დისწულში და რომ ეს საქმე ორბელიანის საბირთვო თაობამ მოიძიქმდა ილია ჭავჭავაძის ხელით. კაცნი ვართ და, არც ის არის გასაკვირი, რომ მტრების ჯიბრზე ყველაზე მეტად სწორად სიმონ ჩიქოვანი მიეაღერა ლაღოს, ომი იყო და სასიკვდილოდ განწირულს კარაქს უზიდავდა ძმასავით... მერე, გარდაცვალების წლისთავზე, ათასგზის აჩეხილ-დაჩეხილი წინგი გაუმთელა, საკუთრივ ძვირფასი წინასიტყვა დაუწერა და ასე გამოსცა ის წიგნი 1944 წელს.

იმისთვის ვაპირებ:

იმ ხანებში დიდი კამათი გვექონდა ქართული სალიტერატურო ენის საკითხებზე. მე თავგამოდებით ვიცავდი აზრს, კილოებიდან მხოლოდ იმის შემოტანაა საჭირო, რაც სამწერლო ენას არა აქვს-მეთქი. ლაღოს ვუმტკიცებდი, რატომ უნდა ვინმართ, მაგალითად, „მკლავის დაკარწყება“, როდესაც სალიტერატურო ენაში დიდი ხანია გაბატონებულია და დღესაც იხმარება „დადგა ვეზი“? ან უპირატესობა რატომ უნდა მიეცეთ ბიას კომპის წინაშე, კვანს - გოგონის, ქვიშას - ალუბლის, ღლაგს - ლოქოს, ქუხნას - სამზარეულოს, ვიდაცეებსა და რადაცეებს - ვიდაცეებისა და რადაცეების წინაშე?

ლაღოს ჩემი აზრი პირველად ჰკუპაში არ დაუჯდა, შეეცადა შემკამათებოდა და ჩემი შეხედულება გაეზათილებინა:

- რას ჩააცივდი მაგ დალექტიზმებს, ჩვენი უბედურება ვე კი არა, ბარბაროზებია. განა წერაქვი თუ ვერ გავიხსენებ, წაკატე რომ ვთქვა, ამით რაზე დამავდებ? წაკატე ხომ ქართულია, მართალია, კუთხურია, მაგრამ მაინც მშობლიური; „კირკას“ წაკატე მაინც სჯობია! სამწერლო მხოლოდ ის არის, რომ ზოგიერთი ვერ არჩევს ლექსიკურ დალექტიზმს მორფოლოგიური, სინტაქსური ან ორთოგრაფიული დალექტიზმისაგან. სადაც აკაკი წერეთელს „მარა“ „თვარა“ აქვს ნახმარი, ამიტომ ჰგონიათ, სალიტერატურო ენაშიც „მარა“ და „თვარა“ უნდა გამოიყენოთ! სამაგიეროდ, კვანს და ბიას, წაკატე და დობორჯი, ცირა და მაგაგანი, მიველებოდა და მისადაგება ჩვენს დედინათესა უფრო არ გაამდიდრებს? ამბობენ, ქართული ენის ლექსიკური მარაგი 200.000 სიტყვაზე მეტიაო, მაშასადამე, იგი მსოფლიოს კულტურულ ერთა ენებს შორის სიმდიდრით თითქმის არც ერთს არ ჩამორჩება. აბა, სცადე, ბიას და კვანის როგი სიტყვები განდევნე ქართული ენიდან და ნახავ, ჩვენი ლექსიკონი რა ღარიბი მოგეჩვენება! რა თქმა უნდა, უპირატესობა სალიტერატურო ფორმებსა და ლიტერატურაში განმტკიცებულ სიტყვებს უნდა მივანიჭოთ, მაგრამ ნუ ვემტერებით მისაღებ დალექტიზმებსაც, უმათოდ ჩვენი დედაენის სიმდიდრეზე სიამაყით ვეღარ ვილაპარაკებთ!

პოეტებში ყველაზე მეტად ვაჟა უფყარდა. შეიძლება იქნას, მისი ფეტიში იყო, მოუწვდომელი მწვერვალი, საუცხოოდ, რაღაც თავისებური ხდით კითხულობდა ხოლმე ვაჟას სტრიქონებს, თავის ლექსებში ხშირად ცდილობდა მიეხატა მისთვის.

იცი ეს მხარე - ტყემლის ფიფქით გადაქრებული, სადაც ბავრატის ტაძარს სძინავს მეფური ძილით, უქიბერიონს დაჰყარფატებს ნიავი ნახი, შრიალებს დაფნა, ჩახვევია ხეს უსურვაზე, - იცნობ ამ მხარეს? თუ ვინაზავს

შენ ეს მიღამო?
იქითკენ წამო, ჩემო კარგო, იქითკენ წამო!
ჩემი ქუთაისი,
აღმათ იცი, რაა,
იქ ტყემლი ვეყვის,
იქ კრიალა ცაა.
თბილისის ხომ მიყვარს,
ქუთაისი სხვაა -
დათმობის გორა
ოცნებათა ზღვაა!

ერთ დღეს სამინდად განრისხებული შემოვიდა. სახე შეშლიდა, თვალები ისე უელავდა, რომ შეხედვისაც კი შემიძინდა. მიხეზი ვერაფრით ვათქმევინე. ცოტა რომ დამშვიდდა, უბიდან თავისი ლექსების კრებულის კორექტურა ამოიღო, წინ დამიდო და დააყოლა.

- გესმის, ბიჭო, ვის ხელში ჩაგვარდი?! ჩემს ერთ-ერთ საუკეთესო ლექსს კრებულიდან ამოღებას უპირებენ! ეს იგივეა, გული ამომგლიჯონ! „სალაღობოს“ არავის დაუთმობ, თუ მართლა არ გაუმეგს, უთუოდ მოგვკვდები! ეს ლექსი ჩემი სიცოცხლეა, ჩემი სისხლი და ხორცი, სული და გულია...

გაოცებული შევცქეროდი თვალებში. ეს წარმოსადგე ვაჟაკი, რომელიც წელან ცეცხლს აფრქვევდა, უცებ გალღვა, გული აუწუცდა, მივლი სხეულით ათრთოლდა და ჩემი საწერი მაგიდის მინას თხილისოდენა ორი კურცხალი დაეცა... ტირილია ლაღო...

- მით უარევი მათთვის, - ზღუქუნით განავრძობ მან, - ეს ლექსი თუ ამომიღებს, დადგება დრო და ყველა გაიგებს, რას შეახეს თავიანთი ხელი! ამას უთუოდ მომავალში ხალხი იმდერებს, ხელიდან ხელში გადავა. შემაქებენ, განმადიდებენ. რომ არ დაბეჭდონ კიდევ, ხელნაწერს აიტაცებენ. აი ნახავ, მიშა! შეიძლება ამ ნეტარ დროს ვერც კი მოვესწრო, მაგრამ შენ ჩემზე ჯამრთელი ხარ და საკუთარი თვალთი იხილავ, საკუთარი ყურით მოისმენ ამას, ღარწმუნდები ჩემი სიტყვების სიმართლეში...

შეიშველი გყავდეს ისე მრავალი,
რამდენიც დაფრენს ცაში ტორლოლა,
დღეს საქართველო ბავშვებს მოითხოვს,
ჩვენ კი ძლივს ვშობთ თითო-ორიოლა!

იმ ხანებში ლაღო ასათიანი ცოტა მატერიალურად ხელმოკლეობას განიცდიდა. ხელფასი და პონორარი ცუდი ჰქონდა, მაგრამ ფულის ყადრი არ იცოდა და ხანდახან მთელ კვირას ჯიბეში კაპიკოც არ ედო. რედაქციებიდან ბუფეტში სასაუზმოდ მიხუთი სართულზე ავიდოდით. მეზუფეტე, მსხვილი, ფაშაფაშა დედაკაცი გაიანე, პოეტების დიდი თავგანისმცემელი იყო. ძალზე უყვარდა პოეზია და ბევრი ლექსი ზებირად იცოდა. საოცარია, წერა-კითხვა თითქმის არ ესწავლა, მაინც მშვენივრად ერკვეოდა ლექსის ავტორგანობაში.

ლაღოს ლექსები მოსწონდა და რამდენიმეს ზებირადაც ამბობდა. ლაღო სარგებლობდა ამ ყურადღებით და გაიანეს სთხოვდა ხოლმე, ნისიად მასაუზმე, ფულს თვის ბოლოს ერთად მოგართმევო. გაიანე, რომელსაც ნისია ჭირივით სძულდა, და არც ერთ ჩვენთაგანს უფურღოდ ახლოს არ გვიკარებდა, ლაღოს უარს ვერ ეუბნებოდა.

გადიოდა ორი კვირა, სამი. მეზუფეტეს ცდა აღარ შეეძლო, ანგარიშის გასწორება მოსთხოვა, თანაც დასძინა, თუ ვალს არ გადაიხდი, ზვლიდან აღარაფერს მოგეცემო. ლაღო საგონებელს მიეცა. უცებ გაახსენდა გაიანეს სისუსტე და მიმართა: გინდა ლექსს დაგიწერ, თუ მოგეწონა, ნისია გამოიბრძელო.

- აბა, თუ ბიჭი ხარ, აქვე, ამ წუთში დამიწერე, თუ არადა, საჭირო არ არის. ლაღომ ჯიბიდან ქაღალდის ნაგლევი ამოიღო, კედელს მიაკრა და თვალის დასამახმებამდე ეს სტრიქონი გამოაცხიო: „ფული არ გაქვს გადახდილი, ადექი და გაიარე, ამას ამბობს გულმოსულნი მეზუფეტე გაიანე.“ გაიანეს ისე მიეწონა ექსპრომტი, რომ ლაღოს ალუთქა, სამ დღეს მუქიად გაჰყვებ,

ნისია კი რამდენიც გინდა, წაიღო. მეორე დღეს მეზუფეტემ ლაღოს ლექსი რედაქციის მხატვარს ლამაზად დაწერინა და ბუფეტში გააკრა, ნისიად არავინ გამეკაროსო...

რამაზ მარბიანი:

ლაღო ასათიანის გახსენებისას ჩემდაუნებურად ისევ სიჭაბუკეს ვუბრუნდები - ჩემი სიცოცხლის შორეულ წლებს. გონებაში ცოცხლდება მრავალი მოგონება. ტკბილიცა და მწარეც, თვალწინ მესატება რამდენიმე განუწერილი თანატოლი, რომლებიც ჩემდა სამწუხაროდ, უკვე აღარ არიან ამ ქვეყნად. დღესაც მათი ხმა ჩამესმის ყურში, როცა ხელახლა ვფურცლავ ხოლმე ჭაბუკი მგონების წიგნებს...

ქუთაისიდან ახლადანამოსული ოცდაერთი წლის ჭაბუკი გავიცანი თუ და ჩემმა მეგობრებმა. ჩვენ მამინ უწრნად „ჩვენი თაობის“ ირგვლივ ვიყავით შეკრებილნი. საერთო ენა გამოუნახეთ მასთან. გაცნობისთანავე დაუჯანსაღოდ და შემდგომში დაემგობრიდით. ჩვენი დამაკავშირებელი უპირველესად პოეზია იყო. ლაღოს იმ წლებში, ქუთაისში ბევრი უსიამოვნება გადახლოდა თავს და მართალი ვითხრათ, დიდად განებივრებული და აღულებული მჭევრპირველი გაცნობისთანავე.

გულთიად, პირდაპირი და გულწრფელი ჭაბუკი იყო, მამულისა და პოეზიის სიყვარულით ანთებული, ამ უანგარო სიყვარულს არ შეიძლება არ ეპოვა გამოძახილი პოეზიაში. ულექსოდ მისთვის დღე არ თენდებოდა და არ დამდებოდა.

მეგობრული შეხვედრების დროს, ჭიჭი ღვიწიხზე, ხშირად იხსენებდა ლექსებს, ცხენისწყლის ნაპირებს, სადაც იღებს სათავეს მისი ლექსების ჩქარზე ჩქარი და თავბრულამხვევი მდინარეა. ხშირად იფიქრებდა მშობლებზე, განსაკუთრებით დედას, რამდენიმე ქუთაისელ მეგობარს, რომლებსაც მისთვის გაჭირვების უამს გაეწოდათ ხელი... ჩვენ კარგად გვესმოდა მისი გულისთქმა. მღელვარების მიხეზიც მალე ამოვიცანი და ამიტომ განსაკუთრებული სიფაქიზით ვუპასურობდით. ვცდილობდით შეგვესუბუქებინა მისთვის გულისტკივილი. ლაღო ხშირად ავადმყოფობდა და ეს გვაწუხებდა ყველას.

ჩვენი მეგობრობა დიდხანს არ გაგრძელებულა, დიდი სამამულო ომი წამოგვეწია ჭაბუკებსა და გავიფანტენით.

უმობობლმა სენმა მაინც თავისი გაიტანა და 1943 წლის ივნისის ერთ დღეს საბუდამოდ დახუჭა თვალი. მძვინვარე ომის გამო დაცარიელებულ თბილისში ცოტადა თუ იყო დარჩენილი ლაღოს გულითად მეგობართაგან, რომლებსაც ცრემლი უნდა დაეღვარათ, დამუდამოდ დამშვიდობებოდნენ უდროოდ დაფერფლილ მგონას და განსასვენებელ ადგილამდე თავიანთი მხრებით მიეტანათ ლაღოს კუბო. იცოდნენ, კარგად იცოდნენ ლაღოს ჭირისუფლებმა და მეგობრებმა, რომ ისინი განუქორებელ სიჭაბუკეს მარნავდნენ, მაგრამ ისიც კარგად იცოდნენ, ხალხის გულში საბუდამოდ ბინას რომ ჰპოვებდა ლაღოს ერთი ამოსუნთქვით დაწერილი ალმოდებული და ცეცხლოვანი ლექსები და ჭაბუკი მგონის სახელი შორს გაიტყორცნებოდა.

მე კი ომმა შემიშალა ხელი გამოვთხოვებოდი ძვირფას ადამიანს.

ის ხუთიოდე წელიწადი, ლაღოსთან გატარებული ხუთიოდე წელიწადი საბუდამოდ აღიბეჭდა ჩემს გონებაში და ვიდრე ცოცხალი ვარ, დავიწყების ბურუსს არ დავანებებ.

ლაღო ასათიანის პოეზია ავერ ოთხ ათეულ წელზე მეტია, რაც ასე ძლიერად ხმაინობს საქართველოში და თავდავიწყებით ეწაფება პოეზიის მოყვარული მკითხველი. საოცარია ბუნება! არცთუ იშვიათად დიდი სუნთქვის შემოქმედისათვის ხანმოკლე ფიზიკურ სიცოცხლეს იმეტებს... მაგრამ თითქმის ძალასა და ენერგიასაც, შთაგონებასა და შემართებასაც არ იშურებს, რათა შემოქმედმა მოასწროს უფრო მეტი, ვიდრე დროის, სიცოცხლის ამ მცირე მონაკვეთზე შესაძლებელი. შემოქმედის ეს ბედი ეწია ლაღო ასათიანის ფიზიკურ და პოეტურ სიცოცხლეს! ლაღო ასათიანმა თავისი სიცოცხლის ოცდაექვს წელიწადში პოეტურ ქმნილებათა ერთი შესანიშნავი წიგნი შექმნა და დავიტოვა, წიგნი, რომელიც კარგა ხანია ხელიდან ხელში გადადის. საიდუმლოება ამ წიგნის გამარ-

ჯვებისა ყველასათვის ნათელია. ჭაბუკი პოეტის მორთოლვარე ხელი შეეხო იმ სიძს, რომელიც ხალხის სულთან და გულთან იყო გაბმული და მეტად თავისებური, ახლებური და მისეული ფერადობა მისცა.

ლაღო ასათიანმა არცთუ მოულოდნელად მოარგო გასაღები მკითხველის გულსა და ლექსად გარდაქმნილი სიხარული და ტკივილი უპირველესად მის თანამედროვეებს და მომავალ თაობებს უანდერდა. პოეტი უადრესად თანამედროვე იყო. ჩვენი ქარბუქიანი დღეების მონაწილე, თავის ერის სიცოცხლით სუნთქავდა, ჯანსაღი პატრიოტული მოტივებით ამდიდრებდა ქართულ საბჭოთა პოეზიას და განსაკუთრებით ახალგაზრდობის სიყვარულს იმსახურებდა.

ლაღო ასათიანის პოეტური სიტყვა მსუყვა და ხალხურ მეტყველებაზე დამყნობი. დაუძახავი და ღუნე ლექსი მისთვის უცხოა და მოუკარებელი. შთაგონების ფორები ყოველთვის მალა ეზიდიებოდა მის ღონიერ სტრიქონებს. ადამიანისათვის განუყოფელი სიხარულიცა და ტკივილიც ერთადაა ლაღოს ლექსში.

ლაღო ასათიანის პოეზია ეროვნულია და თავისთავადი, მომხიბლავია და ანკარა, ხოლო ისტორიზმი ორგანულია და ბუნებრივი. ყოველივე ამის გამო დგას იგი ჩვენი საუკუნის პოეზიის საუკეთესო ოსტატების გვერდით, როგორც მათი უმცროსი მეგობარი.

ლაღო ასათიანის ერთ-ერთ საღამოზე უჩვენეს შემორჩენილი კინოლოკუნტების პატარა ფრაგმენტი. მრავალრიცხოვანმა დამსწრე საზოგადოებამ იხილა ჭაბუკი ლაღო ასათიანი. სწორედ ისეთი, როგორც ჩვენ ვგახსოვს მის ტოლმეგობრებს გაცნობისა და მეგობრობის პირველი დღიდან. ჩვენ შევცქეროდით ლაღოს ლამაზ სახეს, დიდ შუბლსა და ჭკვიან, ოდნავ ნალვლიან თვალებს და სევდა შემოგვეპარა.

საღამოს შემდეგ მინ მიმავალს თან მიმქონდა კაცთა მოდემისათვის მარად განუყოფელი გულისტკივილიცა და სიხარულიც... მტკიოდა გული, იმისათვის, რომ თვით იგი არ იყო ამ ზეიძის მონაწილე, ხოლო სიხარული მომანიჭა ლაღო ასათიანისადმი ხალხის უსახვლო და უანგარო სიყვარულმა.

ამისთვის ვაპირებ:

წუხელ ღვიწიხ არ დაღია,
გავვეპარა ვით ძელია;
ახლა ღვიწიხს მარტო წრუპავს,
ვითომ არის პანძელია.
ლექსაზე ლაღოს ერთი ღვარჯნილი ლექსი მივეწერე, რომლის ერთი ტაქვი ახლაც მასსოვს „აღიონში“ შევიარე, საქმე ენაზე მეტად „ლაღო“, ერთ მაგიდას მივდომოდა გოგია და ჩვენი ლაღო;
გოგის თვალი მიელულა, ლაღო ადევა ქადავადო,
კუთხეში თარი უკრავდა -
ჯან გოგია, ბარო, ლაღო.
იმავე ფურცელზე ლაღომ რაღაცა მიაწერა და გამომიგზავნა. აი ლაღოს მინაწერი:
„ჩემო ძმაო, ავესენტი მომწონს შენი აქცენტები, პოეტი კი ვერ გამოხვალ, ამაღ ნულარ გაცდები, დაიხსოვე ეს სიტყვები, არც ნაკლები, არც მეტი.“

მე ეს მინაწერი ძალიან მომეწონა. ლექსის შემდეგ გ. შალამბრიძეს წაუკითხე მან სხვებსაც გაავებინა და ამის შემდეგ ლაღოს ლექსის სიტყვებით ბევრი თანაკურსელი მომხმართავდა კიდევ: „ჩემო ძმაო ავესენტი“... და ა.შ.

იბრაჰიმი ვეჯილი:

...სანატორიუმის კლუბში დიდი ფაციფუცი იყო. თვითმოქმედი საღამოს გასამართავად ემზადებოდნენ; ეტბდნენ მომღერლებს, დეკლამატორებს, ფელეტონისტებს, ილუზიონისტებს, სახელდახელოდ პატარა საეისტრადო ორკესტრი შეადგინეს. მე თვითმოქმედება თავისი კონცერტებით უნივერსიტეტში მობეზრებული მქონდა, ამიტომ იქაურობას არ ვეკარებოდი, რამდენჯერმე მომაკითხეს, უარით ვავისტუმრე, ბოლოს დამიყოლიეს, მაგრამ ჩემი პირობა წაუყვყენე: გამოვიდოდი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პოეტი ლაღო ასათიანი მომცემდა თავის ლექსს წასაკითხად. მეორე დღეს

კონცერტის ხელმძღვანელმა ლადოს ხელით დაწერილი უსათურო ლექსი გადმოძევა, რომელსაც ქვეშ ასეთი მინაწერი ჰქონდა - „წაკითხვის შემდეგ დაუბრუნდეს ავტორს“.

კონცერტი დაიწყო. კონფერანსიმ ჩემი გვარი გამოაცხადა. პირველად წავიკითხე ი. გრიშაშვილის „ქორწილი ჩვენს უბანში“ ორკესტრის თანხლებით; რაც შემძლო, თავი არ დამიზოგავს.

მაყურებელმა გულთბილად გამაცვლია. ერთი წუთის შემდეგ ისევ ავანსცენაზე ვიდექი. ორკესტრი არ უკრავდა, დარბაზში სიჩუმე სუფევდა, კონფერანსის არაფერი გამოუცხადებია, ისე დავიწყე ლადოს ლექსის კითხვა.

მეორე დღეს შევხვდი მე და ლადო, ძმაცურად ჩამოვართვით ხელი, ვითომ ჩვენ შორის არაფერი მომხდარიყო, ჩამოვსხედით და დიდი ხნის უნახავებოთ გულთბილი საუბარი გაგაბით. ერთი სული მქონდა, მეკითხა წუხანდელი შთაბეჭდილების შესახებ.

კარგად წაკითხე გრიშაშვილის ლექსი, მომეწონა.

მე, ჩემი კარგი, მაგ ლექსი კბილთა ღრუხვით ვწერდი, ვებრძოდი, ვერკნებოდი, იმას, უხილავს, უხსენებელს, ვინც ეს სენი პირველად ადამიანებში გაავრცელა; მე იგი სამკვდროსასიცოცხლო ომში გამოვიწვიე, დაწვევლენ: „ო. განვედ ჩემგან, ძლიერო სენო, ჩემს შემდეგ ნურვინ ნუ მოვიხსენოს“.

ამ შემთხვევის შემდეგ მალე დავშორდი ერთმანეთს, მერე მე იგი აღარ შემხვედრია.

პაატა შაშაძე:

ლადო ასათიანი, ახლოდან, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, 1939 წლის ზაფხულში აბასთუმანში გავიცანი. „მთაწმინდელს“ სამუსაოფო ბუერის რამ ვეჭონდა.

1940 წლის ზაფხულში აბასთუმანში ლადოს უფრო დაუკახლოვდი. იგი პირველ სანატორიუმში ცხოვრობდა, ახლა „ვარძა“ ჰქვია. ოთახში სამი იყვნენ - ლადო ასათიანი და ამჟამად პროფესორები: პროკოფი რატანი და ოთარ ბათიაშვილი.


ერთ დღეს მკურნალ ექიმს რაისა ქარცივაძეს ლადომ თავისი ლექსების წიგნი მოუტანა უწარწეროდ, ქალს ძალზე გაუკვირდა, მაგრამ არაფერი უთქვამს. ამ ამგადარ ექიმს ეძღვნება ლადო ასათიანის ცნობილი ლექსები: „წარწერა ერთი სამარის ქვისა“, „აბასთუმანში პატარა გალია“ და „აბასთუმანი“.

ლადო, მისევე სიტყვით რომ ვთქვათ, „მარტოსული“ კაცი იყო, მარტო დადიოდა აბასთუმანს ქუჩებში, ტყეში, საზოგადოებას ერიდებოდა.

მასსოვს, ერთხელ, აბასთუმანის „ალვის ხეთა ხეივანში“ ახალგაზრდა ქალ-ვაჟთა ჯგუფი ქართულ სიმღერებს ვმღეროდით. ლადომ გამოიარა, შეჩერდა, გვისმენდა. ვმღეროდი და თან ლადოს თვალს არ ვამორებდი, სახე ხან სევდიანი, ხანაც მომღიმარი უხდებოდა...

მამია ძაბალიძე:

უმტერო კაცი არ ვარგაო, უთქვამთ. ლადოც არ ვახლდით ისეთი ჯაბანი, მტერი



არ ჰყოლებოდა. მტერმორეული კი არ ყოფილა. ნუ გაგაზვიადებთ, მისი ფუნაგორებით ორიოდეს თუ შეხვდებოდა განაწყენებულს. არც ის უნდა გაეკვივრდეს თუ დაუნდობელს ისიც არ ინდობდა, სამაგიეროს გადახდა ცოდვად არ ითვლებს! ის კი მისი ფუნაგორების სიწმინდითა და შთაგონებით გამოირჩეოდა, არ ჰგავდა ზოგ-ზოგთა უხიავ და უწმინდურ ფუნაგორებს. ლადოს არ ჰქონდა არც ერთი ისეთი ფუნაგორია, რომლის ხმამაღლა წაკითხვაც სათაკილო ყოფილიყო.

გიორგი შალაგაძე:

ლადო და მე ხშირად ვყოფილვართ სუფრასთან მარტონი. თუ ორკაციან სუფრას თამადა სჭირდებოდა, მის მოვალეობას ყოველთვის ლადო ასრულებდა. სადღეგრძელოთა რეპერტუარიც ერთფეროვანი იყო:

- საქართველოს გაუმარჯოს! - იტყვდა თამადა.
- გაუმარჯოს! - კვრს დავეყრავდი და გაისმობდა დაკრთული ჭიქების ჭახუნი, რომლებიც თითქმის ერთდროულად გამოსუფთავდებოდა.
- დედაქნას გაუმარჯოს!
- გაუმარჯოს!
- პოეზიას გაუმარჯოს!
- შოთას გაუმარჯოს! (რუსთაველს, აბასხვას ვის!).
- ჩვენი მშობლების სადღეგრძელო იყოს!
- ამით ტურფებს გაუმარჯოს! („ტურფების“ სადღეგრძელოს კი ვვამდით, მაგრამ

არც პირველმა იცოდა, ვინ იყო მეორის „ტურფა“ და არც მეორემ - პირველისა).

„- ამით დამწურავს გაუმარჯოს!“ და ჭიქა ჭიქაზე იცლებოდა.

სიომ ჩიქოვანი:

ოცდაათიანი წლების მიწურულს თითქოს მოულოდნელად გაიღვა მწერალთა სასახლეში ლადო ასათიანმა და გამოჩენისთანავე მიიპყრო ჩვენი ყურადღება, თავისი უტყუარი ნიჭის ძალა მამინვე გვაგრძნობინა და ჭლეჩით ანტებული სახე მწერალთა ოჯახში შემოიანათა. ყოველთვის შთაგონებით გაბრუნებუ-

იგი დაუმთავრებელი ლექსების სტრიქონებს და როგორ იწვოდა მისი სული პოეზიის გავარდნულ თონში. მისი სიცოცხლის უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ჩვენ ხშირად ვიყავით ერთად. სხვადასხვა თაობიდან გამოსულნი. თითქოს თანამგზავრები ვხდებოდით და გზებზე სიარულსა და ბაასში ვეჭვოდით ერთმანეთს. ხშირად მწერალთა სასახლიდან გმირთა მოედანამდე ქვეითად ჩავდიოდით და საუბარში საკმაოდ გრძელი მანძილი შეუმჩვენვლად მოკლდებოდა. ლადო ასათიანს დახვეწილი გემოვნება ჰქონდა და საუბრის აწყობა ადვილად ენერხებოდა. მას ყველაფერი უყვარდა, რაც ქართველი ხალხის ტალანტს ამჟღავნებდა და რაც ამ ხალხის ზნეობრივ სიფაქიზეზე მეტყველებდა.

ლადო ასათიანმა იცოდა, რომ ფეხით მქონდა მოვლილი სვანეთისა და ლეჩხუმის მთები, მიყვარდა ლაჯანურის ხეობაში დაბურულ წიფლის ტყეში და ლეჩხუმის ახმინებული ცხენისწყლის ნაპირებზე მიღებულ შთაბეჭდილებათა მოყოლა. ისიც მიწვევდა საუბარში და ჩემს შთაბეჭდილებებს საკუთარი მოგონებებით ავსებდა და ამდიდრებდა.

მასხენდება, როგორ ვიმორბედით ჩვენ ქართული ხალხური პოეზიის შედევრებს და ლეჩხუმ-სვანეთის მთების კალთებზე მოღვარე უცნაურ ყვავილებს ამ ხალხური პოეზიის სტრიქონებს ვადარებდით. ლადო ასათიანმა იცოდა მოულოდნელი გაცემა. საქართველოს ბუნების მშვენიერებით აღტაცება და ამ აღტაცების შორისდებულებით, შეძახილებით გამოხატვა. მას ხშირად საკუთარი მოგონებებიც აკვირვებდა და თავის მოყოლილ ამბავს გაკვირვების ნიშანს თვითონვე აყოლებდა ხოლმე. იგი იხსენებდა სოფელში ზამთარში ბუნების წინ მოფუსფუსე მამას და ლეჩხუმის მთებში აპრილის რტობის პირველ ამდერებას. ლადო ასათიანი საუბრის დროს თავისებურად ამჟღავნებდა ბავშვობაში მიღებული შთაბეჭდილებებით გამოწვეულ გაკვირვებასა და აღტაცებას. ეს ორი თვისება მას ბავშვობიდანვე შერჩენოდა, იგი თავის ხალხს და სამშობლოს პირველი სიყვარულით შესცქეროდა, და სწორედ ამიტომ მოჰყვებოდა ამდენი სითბო და მიმზიდველობა პოეტის ჯანღონით სავსე სტრიქონებს.

როცა ლადოს ავადმყოფობა მოერია და ლოგინში ჩააწვინა, მე რამდენჯერმე ვინახულე იგი, რომ მიწურული სიცოცხლის წუთები შემქმნებულებინა მისთვის და პოეზიაზე საუბრით გამართო იგი. ლადო ასათიანი თითქოს საწოლში შემოჭრილ სენს ებრძოდა და იოლად არ უნდოდა დაეტოვებინა სიცოცხლის გაზაფხული, დაუძღურებული და საწოლში მწოლარე, მისის სიცხიან დღეებში ცხრა ძმა ხერხეულიძის ვაჟკაცობაზე საგალობელს თხზავდა და მისუსტებულ ხმას ლექსების კითხვით ხარჯავდა, ხან ძველ ლექსებს იგონებდა:

„გაფრინდება სიყმაწვილე შვლითანი, წრფელი გული, ცხელი გული გაცვივება“.

ამ სიტყვებით იგი ცხოვრებას კი არ ეთხოვებოდა, არამედ ლექსის თქმით სიცოცხლის განანგრძობილებას ცდილობდა და პოეზიაზე საუბრით სიკვდილის მოახლოებას იფიქრებდა. სიცხიანი და დაუძღურებული ნაღვლიან სტრიქონებს იმეორებდა და გასაფრენად გამოხადებულ სულს სტრიქონების კითხვით იბრუნებდა. თითქოს იგი სტრიქონებს სანთლებით ანათებდა და კარზე მომდგარ სიბნელეს ამით იმორებდა. მაგრამ პოეტის სიცოცხლე სწორედ ამ სანთლებზე დაიწვა, მისი ცხოვრება ადრე დასრულდა, ამდენი გული ადრე დაღუჭდა და როგორც ვთქვით, გადაინძურა გაზაფხულზე. არ დასცალდა „შთაგონების დაგაჟკაცება“. ლადო ასათიანს შეეძლო კიდევ ბევრი გაეკეთებინა და უფრო

მოგონება

მოგონებაში

დიდი წვლილი შეეტანა ქართულ პოეტურ კულტურაში, მაგრამ მისი ხანმოკლე შემოქმედებითი სიცოცხლე ძვირფასია და უჭკნობელი. ეს სიცოცხლე, როგორც პოეზიის სიჭაბუკე, ხალასი პოეტური ხმა და სიყვარულის სიმღერა აღიბეჭდა ჩვენს ხსოვნაში და ჩვენი სულის მუდმივი თანამგზავრი გახდა.

პირველი ჰიპოთეზა:

პირველი ჩვენი შეხვედრა 1935 წელს რედაქციაში მოეწყო; ლადომ ლექსი გადმოძვრა, დაელოცა, ვთხოვე შინ მხლებორა დასვენების დღეს სალაპარაკოდ და პოეზიის საკითხებზე მსჯელობისათვის. არ მახსოვდა რომელი იყო ეს ლექსი, მაგრამ რომ დაგებულე მისი პირველივე გადმოცემული ნაწარმოები, ეს უდავოდ მიმაჩნდა. ახლანაჲ გაარკვიეს (შ. ქურდიე), რომ ეს ლექსი ყოფილა „ჩვენ კვლავ მოვედით“, რომელიც 1935 წლის 15 სექტემბერს გამოქვეყნებია გაზეთ „სტალინელში“. შემდეგ ამას მოჰყვა მისი სხვა ადრინდელი ლექსების რედაქცია, ასევე დაბეჭდვაც. ეს იყო ერთი სფერო, რომელსაც უნებლიეთ მეორეც მოჰყვა.

თითქოს სასიკვდილო ავინაში, 1943 წელს, უცნაურად გადმოიღვარა მისი საარაკო ლექსი „ქართული ენა“, რომელიც ითანე-ზოსიმეს მსგავსად მშობლიურ მეტყველებას განადიდებს. არავის მოუფიქრებია ეთქვა, გარდა ლადო ასათიანისა, რომ საქართველოს ბუმბერაზი მთების წიაღში დაბადებული ქართული ენა – ეს არის უსაზღვრო სიყვარულის, ამღერებელი ლექსის, შთაგონებული სადღეგრძელოს, შლეგი ჩანჩქერების, ამაყი მყინვარების, უძველესი ტომის, ქართული ფარისა და მწიფე ყანის, ვარსკვლავისა და მოვარდის ღამის, ერთი სიტყვით, უნივერსალური, მასშტაბამე, „ხმათა ხვედრების და ღმერთების ენა“. ასე ღრმა ხედვა და კალმის ძლიერი მოსმა მხოლოდ დიდი პოეტური ტალანტის ხვედრია და ლადო ასათიანიც ეს ხვედრი ფართოდ გახლიჩილი თვალთ იცქირებოდა.

როცა გადავივლიან ჩვენი თაობის მღელვარე დღეები, დასცხრებიან ვნებათაღელვანი და ისტორიის უღმობელ სასწოროზე ყველაფერი გადაიწონება, მაშინაც ნათლად დაინახვენ, რომ ლადო ასათიანი ნამდვილად ბრწყინვალე პოეტი იყო, რომელსაც არ დასცალდა დიდი შემოქმედებით სავსე თასი ბოლომდე დაეცალა. მაგრამ რაც მოასწრო, იმითაც უკვდავი დარჩა ქართულ პოეზიაში, ვიდრე პოეტის სახელი ამ ქვეყნად განდიდებული იქნება, როგორც ოდესღაც ქნარი ეოლოსისა!

დიდი ჰიპოთეზა:

ლადო ასათიანი გავიცანი 1938 წელს. საშუალოზე მაღალი, სუსტი აგებულების ტანი ჰქონდა, სახე ცოცხალი, თვალები კი საოცრად მკვირცხელი და შთამაგონებელი.

ნიკო ავაიშვილისაგან ბევრჯერ მსმენოდა მისი სახელი და პოეტური ტალანტის ქება. პოეტების ქება ავაიშვილს საერთოდ არ უყვარდა და ჩვენს ვიწრო წრეში „წუნძლებელს“

ვეძახდით სჯულმძღვლის ნაცვლად. მე მიკვირდა, თუ რატომ აქებდა ასე ხელაღებით ქუთაისელ პოეტს, რომელსაც ლიტერატურული თბილისი არ იცნობდა.

შემდეგ კი, როცა ლადო გავიცანი, ვისაუბრე მასთან და წავიკითხე მისი ჯერ კიდევ დაუსტამბავი ლექსები, უმაღლესი გამაძნედა ტიციან ტაბიძის ფრაზა ერთი ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტის გამო: „ის ლომის ბოკვერსა ჰგავდა, რომელიც ეშხადებოდა ნახტომისათვის პოეტურ სამყაროში“.

ლადო ასათიანმა თავისი პოეტური ტალანტის ჭეშმარიტი აღიარება 1939-40-41 წლებში ჟურნალ „ჩვენი თაობის“ ფურცლებზე დაბეჭდილი ლექსებით ჰპოვა. ეს აღიარება ჯერ ვიწრო წრეში მოხდა, შემდეგ კი წყალზე დავარდნილი სიმძიმის მიერ გაჩენილი ტალღების მსგავსად, თანდათანობით ფართოვდებოდა ლადო ასათიანის სახელი, თბილისში 4 წლის შემოახლოებით შედგება ლადო ასათიანის იქნა პირველხარისხოვან პოეტად.

მე მქონდა ბედნიერი შემთხვევა ჟურნალ „ჩვენი თაობის“ რედაქტორობის დროს, ჯერ კიდევ ლიტერატურული თბილისისათვის სრულიად უცნობი, მაგრამ ნიჭიერი ლადო ასათიანისათვის შემოეწყო ხელი, მის მიერ გაწოდებული გზის გაწმენდაში. ბრწყინვალე ლექსები, რომლებიც ახლა თავს იწონებს ახალი ქართული პოეზია, თითქმის ყველა დაბეჭდა ჟურნალ „ჩვენი თაობის“ში. ამგვარი ლექსების ბეჭდვა იმ პერიოდში, რბილად რომ ვთქვათ, „მოღაში“ იყო.

როგორც აღმანი, ის იყო უაღრესად გულგულად და მამნაც კი, როდესაც ის გულწრფელ შენიშვნებს წერდა, უკვირდა ხშირად, რატომ ხდებოდა მწერლების ერთი ნაწილი სამღურავით, როდესაც მისი აზრით, ეს მხოლოდ უწყინარი შენიშვნები იყო.

ადამიანურ სისუსტეებსა და შეცდომებს, რომელთაც ბუნება გვძენს, ლადო ასათიანი ყველაზე ადვილად მისატყვებელ ნაკლად თვლიდა.

თანამედროვე ქართულ პოეტთა შორის ლადო იყო ყველაზე მეტად სიცოცხლისა და ცხოვრების მოყვარული. მაგრამ ეპიკურეზში, თუ უსულგულო პრაქტიკეზში ეწინააღმდეგებოდა მის მღელვარე ბუნებას. სიცოცხლეს ის უმზერდა, როგორც შეუწყვეტელ ენერჯის, როგორც ემანაცია, ამიტომ ლოცავდა ის საკუთარ დაბადების დღეს, როცა გაჩნდა ამ ქვეყანაზე, როგორც სიცოცხლის ელექსირი.

ლიტერატურის ისტორიამ იმეათად იცის პოეტი, რომლის ფოლტეზები დაცრეცილი ყოფილიყოს და მაინც თავდავიწყებით შეჰყვარებოდა სიცოცხლეს და მისთვის ეძღვროს სიკვდილის არდილის მოახლოების ფაშას კი.

ლადო ასათიანი ასეთი პოეტი იყო. ეს წარმოადგენდა მის ადამიანურ ღირსებას. მისთვის ყველა ჭეშმარიტებაზე მაღლა სამშობლოს ცნება იდგა. საქართველოს მისთვის სიყვარულისა და შემოქმედების მაგიური ძალა იყო. ამ ძალას უმორჩილებდა ნიჭსაც, სინდისსაც, სიცოცხლესაც. მას საქართველოზე პერმანენტული სიმღერა შეეძლო და არ იღლებოდა

ამ სიმღერაში. სამშობლოსადმი სიყვარული აღამაზებდა მის ცხოვრებას და ზომავს მეტად გულისხმიერი ხდებოდა მეგობრების მიმართ. პროფესიული სიძულვილი მეტოქეებისადმი მას არასოდეს არ განუცდია. პოტენციურად მას ახალგაზრდა პოეტი „ეჯიბებოდა“ ერთმანეთს. ლადოსა და მირზას „მეტოქეობა“ შემოქმედების პროცესში ხშირად დაძაბული ხდებოდა, მაგრამ ჭეშმარიტი სიყვარულით უყვარდათ მათ ერთმანეთი. მასსოვს, მირზა გელოვანმა მომიტანა ლექსი „ლადო გუდიამვილი“. წავიკითხე, ძლიერ მომეწონა, გადავწყვიტე მისი დაბეჭდვა. თვითონ მირზას გავატანე სტამბაში, კარებში რომ გადიოდა, წინ ლადო შემოხვდა მას. ორივენი უკან მოვაბრუნე და ლადოს ვთხოვე, ხმადალა წავკითხა მირზას ლექსი. ლადო ლექსის შესანიშნავი მკითხველი იყო. ყალბი ორატორობა ლექსის კითხვის დროს მას ორგანულად ეზარებოდა. ლადომ ლექსი წაკითხა. მაღალი კისური უცბად შემოაბრუნა მის უკან მდგარ მირზასკენ და გულწრფელად აკოცა, ოდნავ გასაგონად ყურში ჩასწურულა: „რა კარგი ლექსი დაგიწერია, შე ციგანო“. ეს ლექსი დაბეჭდა და საყოველთაო აღიარება ჰპოვა.

მინდა, გულისტკივილით მოვიგონო ჟურნალ „ჩვენი თაობის“ ახალგაზრდობა ორმოციან წლებში. მათ დაჭაბუკებაც ვერ მოასწერეს და პოეტური სიცოცხლის პირველ გაზაფხულზე სიკვდილს შეერკინენ. თითქმის ყველა მათგანი პოტენციაში ნამდვილი შემოქმედი იყო და თანამედროვე ქართულ მწერლობას უკველად გაამდიდრებდნენ კლასიკური ძეგლებით. ის რაც მათ გააკეთეს ამ დარგში, საკვალური შესწავლისა და განსჯის საგანი ჯერ კიდევ არ გამხდარა ჩვენი ლიტერატურული კრიტიკის დაუდევრობისა და სიზარმაცის გამო.

დე, ლადოს მოგონების დღე, უდროოდ დაკარგული მთელი ახალგაზრდა თაობის გახსენების დღედ დაწესდეს. ლადო ზომ მათი სულიერი ხელმძღვანელი და მეგობარი იყო, ლიტერატურის ისტორიაში ისინი შევლენ „ჩვენი თაობის“ სახელით და ასე გააგრძელებენ არსებობას მარადისობაში.

პირველი ჰიპოთეზა:

ლადო ასათიანის პოეზია ქართული მწერლობის ძლიერ ფესვზეა ამოზრდილი.

მეოცე საუკუნის პოეტებიდან მის შთაგონებაზე განსაკუთრებით ტიციან ტაბიძემ და გიორგი ლეონიძემ მოახდინა გავლენა. ზოგიერთ მის ლექსში ჩანს „ლექსი მეწყერისა“ და „ნინოწმინდის“ შემოქმედების კვალი. ეს არც არის გასაკვირი: ამ ასაკში ყველა ცდილობს წინამორბედთა გამოცდილების ათვისებას.

საკვირველია ის, რომ 26 წლის პოეტმა, რომლის გვერდით ჩვენი დროის აღიარებული დღოსტატები იდგნენ, მაინც მოასწრო თავისი განსხვავებული სიტყვა მეწყერის მკითხველისათვის.

არაერთგზის აღნიშნულა ლადო ასათიანის ლექსისათვის დამახასიათებელი გამოხატვის სიღაღე. უშუალოდ და ომანიანი კილო.

მართლაც, ყველა ეს ნიშანი მისი მანერის ორგანულ თვისებად იქცა. მაგრამ, პოეტური ორიგინალობის თვალსაზრისით ლადო ასათიანის შემოქმედებაში მთავარია არა თავისთავად გამოთქმის ეს გარეგანი ნიშნები, არამედ

ის მხვრი, მტკივნეული შინაგანი განცდა, რომლის ხარჯზეც და რომლის დაძლევის შედეგადაც არის მოპოვებული მისი ლექსის ამგვარი ინტონაცია.

არ უნდა გამოვგრძნო მხედველობიდან, რომ ლადო ასათიანის თითქმის ყველა ლექსის მათორულ ტონალობას გადალახული სევდა უდევს საფუძვლად. მართალია, სვედის მოტივი, აქ პოეტურად უარყოფილია გაუქმულია (სხვა უფრო ძალუმი მოტივით), მაგრამ იგი ამ სახითაც არ წვეტს თავის არსებობას, მაინც იფულისხმება და როგორც ფარული თემა ქვეშეცნულად მოქმედებს მკითხველის განწყობილებაზე.

სწორედ განცდის ეს შინაგანი სიღრმე ამდიდრებს ლადო ასათიანის ლექსის ემოციურ შინაარსს და მას განუყოფელი, ინდივიდუალური ელფერს ანიჭებს.

სვეტენიერი ადამიანის ოპტიმიზმი იშვიათად იწვევს თანაგრძნობას. უიღბლოთა ჩივილიც მხოლოდ სიბრაველის მომგვრელია.

სრულიად სხვა განცდაა, რომელსაც ჩვენში საკუთარი მწუხარების დათრგუნვით მიღწეული სიცოცხლის, სიხარულის, მარადიული ბრძოლისა და განანსლების რწმენა აღძრავს. ასეთი პოეზია სიმხნევის მომნიჭებელია.

ლადო ასათიანის პოეტური ბუნებისათვის არსებითად უცხო იყო „გულამოსკვნილი სიმღერა“. მართალია, ბევრ მის ლექსში გარკვევით იგრძნობა იმ მიჯნასთან მიახლოება, რომლის იქითა პოეზიას შეუკავებელი ქვეითი ან წრეგადასული აღფრთოვანება ცვლის. მაგრამ ახალგაზრდა პოეტს (ყველაზე მძაფრი პოეტური ავექტის დროსაც კი) იშვიათად დაურღვევია ეს სახიფათო ზღვარი.

ქართველმა უნდა იცოდეს „საიდან მოვიდა“, უნდა სჯეროდეს თავისი ამქვეყნიური მოწოდების, უნდა სწამდეს, რომ მის სხეულში მბორგავი მამა-პაპათა უდრეკი სული არასოდეს არ დაცხრება. ეს კარგად ესმოდა ლადო ასათიანს:

დაუკაროთ! ჯერ ხომ სისხლი გვიდგას ძარღვში, ჯერ ხომ საროს ფოთლები არ გასცვენია, ჯერ ხომ მკვების სვეტსოვლის დე ტაძრში საქართველოს ცხელი გული ასვენია! დაუკაროთ და იძღერეთ ისე მაგრად, რომ ფოლტეზები გვეტკინოს და დავებეროს! დაუკაროთ, რომ ჭაბუკნი ვიყოთ მარად, რომ ცხოვრებამ ვერასდროს ვერ დაგვაბეროს!

გიორგი ლეონიძის შემდეგ ჩვენს პოეზიაში სწორედ ლადო ასათიანმა სცადა და შეძლო კიდევ განსაკუთრებული სიმძაფრით გამოეხატა ქართული ხასიათის უბერებლობა, თავისებური დრამატიზმი შეიტანა ამ განცდაში და ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ არც ეროვნულ ასაკს და არც ისტორიის უმძიმეს ქარტეხილებს არ გამოუფიქრავს ჩვენი სასიცოცხლო ძალები.

განსაკუთრებული იერი დაჰკრავს ლადო ასათიანის პატრიოტულ ლირიკას. ქართული პოეზიის ამ ტრადიციულ რკალში მან შეიტანა ყოფნა-არყოფნის ძველისძველი მიტვივი, რომელიც ჭაბუკური უშუალოდ დაუკავშირა მამულისადმი ერთგულებისა და თავდადების იდეას.

ლადო ასათიანმა შეძლო უბრალოდ პასუ-



ხი გაეცა იმ კითხვაზე, რომელიც მას სიგმაწვილიდან აწვავდა. სიკვდილ-სიცოცხლის მძაფრმა დილემამ სრულიად ბუნებრივი გამოსავალი პპოვა მის ლექსში.

თავს არ მოიკლავს ქართველი, არა!
ის შეიძლება ბრძოლაში მოკვდეს ერთი იმედით: სიცოცხლე მარად
გავრძელდეს ქვეყნად და განმეორდეს!

ლადო ასათიანის ლექსს ერთი იშვიათი თვისება აქვს: იგი აღვლევს ისეთ მკითხველსაც, რომელიც ჩვეულებრივ გულგრილია პოეზიისადმი.

ასეთი ბედის პოეტები იშვიათად იბადებიან. მან შესძლო ქართველი ადამიანის სულის უფაქიზეს სიმბოლურ შეხებობა, მის კეთილშობილურ ინსტინქტებზე ექოქნა და თავისი მკითხველის ცხოვრებაში ჰუმანურობის, კაცობრივობის რომანტიკული იდეალები გაეღვიძინა.

ლადო ასათიანისათვის ლირიკა, საერთოდ პოეზია, იყო არა მხოლოდ თვითგამონათქვამი, არამედ მკითხველთან გულითადი საუბრის და კიდევ უფრო მეტად მისი აღფრთოვანების, შთაგონების, სულიერი აღზევების საშუალება.

ამის გამო ის დაჟინებით ეძებდა ყველაზე უფრო სადა, ბუნებრივ, ჩვეულებრივ მეტყველებისათვის ორგანულ სიტყვებს. ბუნებრივი ინტონაციის მიღწევა წარმოადგენდა პოეტის ერთ-ერთ უმთავრეს საზრუნავს.

ლადო ასათიანის სტილი მისი დროის ახალგაზრდა ქართველი კაცის აზროვნების, გრძობებისა და მეტყველების სტილია. ასე მსჯელობდნენ მაშინ ცხოვრების ავ-კარგზე. ასე საუბრობდნენ სიყვარულზე, ასე ფიქრობდნენ წარსულზე და მომავალზე.

პოეტის სული – თაობის სარკეა. და როცა ოცდაათი წლის შემდეგ ყურს ვუვდებ მის ხმას, როცა ისევ გესმის ეს გულითადი ძახილი: „ჰეი, ძმობილო, შეხედე, რამდენი ყაყაო გაშლილა!“ – კიდევ უფრო მწვავედ და ამკარად გრძობ, რა კარგი ბიჭები დადიოდნენ შენამდე ქართლის გზებზე, რა ცოტა ყოფნით ბედნიერებისათვის.

ლადო ასათიანი ქართველ პოეტთა იმ თაობას ეკუთვნოდა, რომლის გემოვნებას იმთავითვე სისადავისა და სინათლის მყარი პრინციპები დაედო საფუძვლად. „ციფერფანსელებისაგან“ განსხვავებით, მას არ გაუვლია რთული ფორმალური ექსპერიმენტების სკოლა.

ქართული ლიტერატურა ამ დროს გარკვევით ადგა ხალხურობისა და რეალიზმის გზას. ტიცინ ტაბიძის მოწოდება – „ისე უბრალოდ, როგორც მუხრანზე“... განხორციელებულ სინამდვილედ იქცა.

არა რთული სიმბოლოები და მინიმუმები, არა იდეალური ნახევარტონები ან ზაუმური ბგერაწერა, არამედ სადა, წრფელი, ყველასთვის გასაგები „ნედლი“ სიტყვა წარმოადგენდა ამ დროს პოეტების ღვწისა და ძიების საგანს.

ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან ოციოდე წლის თავზე პოეტურობის იდეალად კვლავ მიწასთან, ფესვებთან სახლოვე იყო აღიარებული.

ეს სახლოვე იგრძობდა ლადო ასათიანის ბევრ ლექსშიც. უბრალოდ იყო მისი პოეზიის არა შექნილი, არამედ თანდაყოლი თვისება.

სიტყვის სინეძლე მას თან მოჰყვა, რადგან თავისი ბუნებით ის სიცოცხლის, მიწის, ამქვეყნიური მშვენიერების მოძიერალი იყო.

ერთ თავის უსათაურო ლექსში ლადო ასათიანმა ასე გაგვაცნო ბუნებასთან სახლოვის ცხოველი გრძობა:

„მე მიყვარს, როცა ყანაში გახვალ,
და მოგაგებებს სიმინდი ლახვარს.
მე მიყვარს, როცა ყანაში გახვალ,
და დილის ნაბით გაილუმბები...
თუ ეს ერთხელაც არ განგიცდია,
სიტყვის უთქმელად დაიღუპები.
ან როცა იწყებ სიმინდის ძოროდს და ფეხზე სველი მიწა გეყრება...
თუ ეს იგრძენი, ცხოვრების ბოლოს ცვრიანი სიტყვა არ გაგეყრება.“

ლადო ასათიანს ეკუთვნის რამდენიმე პოეტური სახე, რომელიც მუდამ იელვარებს ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში.

რამდენ პოეტს აწვავდა ქართლის ველ-მინდვრებზე ხანძარივით აბრიალებული პატარა მეწამული ყვავილის ხილვა, რამდენი თვალი მოუტაცია მის შუადარებელ სილამაზეს! „ქრწანისის ყაყაოების“ ავტორმა თითქოს მაგნო მათ ფარულ აზრს, მოუხვდა, იგრძობ და ჩვენც გაგვიზიარა ამ სილამაზის საიდუმლო.

შავიზიანი ვაჟაკო, ჭრილობა ხომ არ შეგხსნია?
ეს სისხლი არის თუ მართლა ყაყაოების ცეცხლია?

ყაყაოს შუქი პოეტისათვის ჩვენს მიწა-წყალზე დაღვრილი მადლის, კლდეამოსიღებისა და ამასთან ერთად რაინდული გზნების სიმბოლოც იყო.

მას სწამდა ამ დიდი სინათლის უკვდავებისა და სჯეროდა, რომ მის შემდგომ მავალ მომხეტაც „სიკეთე დატეხილებდა“ დედაბუნების აღერსიანი ღიმილი.



ლადო ასათიანი

როდესაც დამოუკიდებლად, სხვისი დახმარებისა და დაძალების გარეშე ლექსებს პირველად ვიხეობოდი, ლადო ასათიანს გასრულებული ჰქონდა ცხოვრება. თავი დააბოდა ქუთაისში და იქვე გაატარა თვისი ხანმოკლე სიცოცხლის დიდი ნაწილი; იქ იგრძობ პირველი სიყვარული, პირველი ლექსის დასტამბის სინარული და იქვე მიიღო პირველი და უძლიერესი ტრამეა – ცოცხლად დაკარგული დედის ტრავმით გამოწვეული. სტუდენტობისას ცხოვრობდა ჯერ ურეცის ქუჩაზე, ძერჟინის ქუჩიდანვე გაემგზავრა დედაქალაქს, ძერჟინის ქუჩაზე (თბილისში) დალა სული. „ეცხოვრობ ურეცის ქუჩაზე, ხარაზოების ბაღის წინ“ (წერილი დედის). „ალადო ქუთაისის საღვურთან ცხოვრობდა ძერჟინის ქუჩის 35-ე ნომერში, ერთ პატარა, ნაქირავებ კოლოფში“ (ნ. აგიაშვილი). „ვიწრო ოთახში (თბილისში) თითქოს კუბოში ვარ ცოცხლად მდებარე, მზეს მონატრული“ (წერილი ნ. აგიაშვილს); მოწაფეობისას გადაიკითხა: „... ყარამანიანი, ამირანდარჯვანიანი, დაერიზიანი, თიმსარიანი, დილარიანი... და მრავალი ასეთი, „იანი“, ხოლო ვისრამიანს ახლა კეთილშობილად ვუკარკიტებ...“ წიგნების ამოჩემება იცოდა თურმე სტუდენტობისას და შემდგომ ხან სტენდალის „წითელი და შავი“ ეჭირა ხელში, ხან „ქართლის ცხოვრება“ – წერს ნიკო აგიაშვილი. ოცნებობდა იმსენის, გრიგის, ამუნდსენის, ნანსენის ქვეყნებზე, ესიზმრებოდა ფიორდები, ინდოეთს და ჰიმალაის მწვერვალებს ესარბებოდა... მენატრება ვნახო პარიზი, რომი, საბრუნეთი, ესპანეთი, ჩამოვფლდი ჩაილდ-ჰაროლიდით...“ ეს იყო ფუჭი, აუხდენელი ოცნება, უცხო ქვეყნების ხილვის ზღაპარი. რეალური გზა დედამიწაზე მისთვის

ბარდნალა-ქუთაისის-თბილისზე გადიოდა და მხოლოდ ამისთვის მადლობას სწირავდა შემოქმედს: „... ოღონდაც, ჩვენს ქვეყანას არაფერი სჯობია... რა კარგია ჩემი ბარდნალა, თბილისი, ქუთაისი...“

სულიერ სახლოვეს გრძობდა და ამჟღავნებდა ბარათაშვილთან („კაცი არა მყავს, რომ ვუთხრა სიტყვა, გაიგოს ჩემი, შეგება მაგრძობინოს...“) ფიროსმანთან, ტერენტი გრანელთან. ბარათაშვილს რამდენიმე, ფიროსმანს რამდენიმე მეტი, ტერენტი გრანელს ერთი ლექსი უძღვნა, სადაც მას ძმა უწოდა:

„თოვს და თოვში გვიტონებ, ძმაო, ჩანს დათოვითი საყდარი შენი...
თიური ზღაოთით ღვაზარ ამოიდ,
გათოვს, გათოვს და არავინ გშველის.“
მანამდე:

„...თოვს და ანათებს საღვაც კანდელი, დიდი სასახლის ბრწყინავს კარები.
შენ კი, ვით თოვლის თიური ფანტელი, დაღუპვისაგან მიეცნები.“

სულიერი ობლობის გამოშავებულ ამ ლექსში, ასე რომ ესადაგება ბარათაშვილის, ფიროსმანის და ტერენტი გრანელის შემოქმედებას, გალაკტიონისეული რიტმი და ინტონაცია იგრძობა. „...დავიკრეფ ხელებს და გრივავლივით გამაქანებენ ლურჯა ცხენები! ღამნათივი და ნამთვრალევი ჩემს სამარეში ჩავსვენებ...“

მხოლოდ სიკვდილის შემდეგ გამოუცეს წიგნები: ჯერ პატარები, შემდეგ მოზრდილებიც; დაბეჭდა მოგონებები მასზე, მოგონებათა წიგნებიც გამოვიდა და უამრავი კითხვის ნიშნები ამოჰყვა მოგონებებს. ბუნდოვანი ფრაზები, ორპარაზიანი წინადადებები ამოტივტივდა ქალაქიდან. ამან იმან, მაგანმა და მაგანმა, ზოგიერთმა და ზოგიერთმა, უმტრო, უმუხთლა და ასე შემდეგ... ვინო, რატომო, არ თქმულა. არ ამბობენ, ვერ ამბობენ ჩვენთვის, ჩვენი თაობისთვის გასაგები, დღევანდელი დღისათვის სრულიად გაუგებარი მიზეზების გამო.

თავდაცვ არ უყვარდა ახლობლებზე, მშობლებზე გულახდილი საუბარი. არ უყვარდა შეიძლება, მაგრამ არც შეუძლო, უფლებაც არ ჰქონდა ლაპარაკისა, დარდის გამხელისაც კი. ლექსი დაწერე სასაფლაოზე, - ატყობინებს მეგობარს აბასთუმნიდან „სასაფლაოდან ნაკადული მოჰქრის, როგორც სიცოცხლე“... ლექსს გამოვიგზავნიდი, მაგრამ ახლა ჭკვიანად ყოფნა სჯობია, რომ ჩამოვალ, მაშინ წაგიკითხავო. შიში, უნდობლობა, გაუგებრობა – ყველაფერი ამ ერთ ფრაზაში: „...ახლა ჭკვიანად ყოფნა სჯობია“. ახსოვდა, იცოდა და ამ ჭკვიანად ყოფნაში გასრულდა კიდევ სიცოცხლე.

ინსტიტუტიდან გარიცხული არასამიღო სტუდენტი უმაღლესში აღდგენისათვის იბრძვის შეუპოვრად, ენერჯიულად; დაკარგული დედის სახელის ხსენებას კი უფროსის, ჭკვიანად არის, წუხს, შეფარვით იკლავს დარდს: „... ჰუ, რამდენი ცრემლები ვეგარე, როცა გაგვევი წუხილის დემონს, ნეტა სადა ხარ ან რომელ მხარეს, სულზე უტკბესო დედილო ჩემო“.

ძმას წერს: „...დედის ამბავი რა არის, როგორ არის, წერილი თუ მოდის რამე? საწყალი, სად არის ნეტავი?“

არ დადგა პირველი წიგნის გამოსვლას საშველი. „რა ეშმაკი მოუვიდა მა ერთცანე წიგნს, მაგან გამიჩინა მე ჭლექი!...“ – წერს მეუღლეს. გადის დრო. მოლოდინისათვის უსამკველო გრძელი დრო და ხელთ აქვს ლექსების წიგნის სასიგნალო ეგზემპლარი. მხოლოდ ეგზემპლარი. პირველ სინარულს, ვინ იცის, რიგით მერამდენე, სასტიკი და ვერავინ დარტყმა მოსდევს. აღარ არსებობს წიგნი. პირველი და ერთადერთი წიგნი. დაუჭრეს, გაუნადგურეს უკანასკნელი სინარული. სამარეზე დამყარეთ გაუბედურებული წიგნის ნაკუწები, - უთქვამს. აღარც წიგნია, აღარც ნაკუწები, აღარც სასიგნალო ეგზემპლარი ჩანს. ეს დასასრულია. ახლა ახლოა ფინალი. სწრაფად მიგორავს ბედის ბორბალი უკვდავებისაგან:

„...თოვს და ანათებს საღვაც კანდელი, დიდი სასახლის ბრწყინავს კარები.
შენ კი, ვით თოვლის თიური ფანტელი,

დაღუპვისაგან მიეცნები.“

...დავიკრიფავ ხელებს და გრივავლივით გამაქანებენ სწრაფი ცხენები, ღამნათივი და ნამთვრალევი ჩემს სამარეში ჩავსვენებ...“

თანამოკალმე ვიორგი ნავეტვარიძეს უთხრა ერთხელ: აბა რა უნდა დავწეროთ მე და შენ ახალი, ჯერ არაფერი გვიანხავს, გვიან დავიბადეთ, ციხე, კატორღა, ომები, რევოლუცია, ყველაფერი გავლილი და მომხდარი დავგვხვდით.

გრძობდა და არ იცოდა, ალბათ, გასიგრძე განებული არ ჰქონდა შეიძლება კატაკლიზმების ორომტირში რომ იყო მოხვედრილი. შემოქმედებითი ზენიტისაკენ მიიწვედა ავადმოსავონარ 37-ში და 27 წლის სიცოცხლე არ ეწერა. აკი თავდაც იწინასწარმეტყველა: „...ვიცი, ჩემი ცხოვრება ხანმოკლე იქნება და თვეებს საუკუნეებად ვითვლი“.

მინც წერდა, წვალობდა, ვერ ამბობდა, დარლობდა, ენატრებოდა, არ იძინებდა, წინ კი დიდი და დამანგრეველი ომი ელოდა. ომი მსხვერვისა, მოუშუშებელი ტკივილებისა, გამოუსწორებელი დანაშაულისა. კიდევ უფრო უღმობელი და უსამართლო სენი იდგა ხერხელის ბოლოში. ადრე გამოხნავ, ადრე გამოხრავო, ანიშნებდა. ეს იყო ჭლექი, - შიშის, შიშობლის, სიცივის, უგრძობის, გულგრილობის, უსამართლობის ლოგიკური შედეგი.

...ვიცი ჩემი ცხოვრება იქნება ხანმოკლე“.

მინც წერდა, უყვარდა, სძულდა, იგრძობდა. ...რადგან მერგო ვიყო პოეტი, ჩემი ცხოვრების საბედისწეროდ.

ურეცისა და ძერჟინის ქუჩების გასაყართან თუ შესაყართან ვიხრდებოდი. უტრანსპორტო ქუჩა-უზო იყო ისედაც. დღემო რამდენჯერმე ჩაივილიდა და ამოვივლიდა პედინსტიტუტში მიმავალი, პედინსტიტუტიდან ამომავალი ჭაბუკი იმ ქუჩაზე, დღემო რამდენჯერ შეავლებდა ნეტავი თვალს ჩემი ბავშვობის მოღიავებულ ჭიშკარს მალაღი, ხმელი, სატინისბლუზიანი სტუდენტი, მაშინ უცნობი, სიკვდილის შემდეგ სათაყვანებელი პოეტი.

ძერჟინის ქუჩაზე, საღვურის ზემოთ, სიცივეში, ქუთაისურ ქარბუქში ყურს უვდებდა ორთქმავლის შიშის, უყურებდა ძაღლების ჩხუბს, გული დედაქალაქისაკენ მოუწვედა, ბედი კი ძერჟინის ქუჩიდან ძერჟინის ქუჩისაკენ მაქანებდა.

და უკვე კაცურ კაცთაგან შეთხელებულ თუ დაცლილ ომისდროინდელ თბილისურ ქუჩებში დადიოდა სანთლისფერი სახით, ცხელი შუბლით, ანთებული თვალებით; სანთლივით იწვოდა, თვე წლად, წელი საუკუნედ გაჰყავდა, საღვაც დიდი სასახლის მბრუნავ კართან ბრწყინავდა კანდელი, თოვლის ერთი ფანტელივით აკვდებოდა თავად მიწას და დნებოდა.

სიკვდილის წინ ნატრობდა მამასო, დაბეჯითით იმეორებდნენ ერთს იმავეს. ეგრეც იქნებოდა, მაგრამ ოცდაექვსი წლის, შუი თვისა და რამდენიმე დღის ყმაწვილი დედას ხომ მონატრებდა.

...ო, ვიცი ეს და ამიტომ მინდა, უკანასკნელად მინც ვიხილო, დედა, ქრისტეს ზატვით წმინდავ და ეს ტანჯვები შენ გაგიმხილო“.

თან წაიღებდა დედისადმი სათქმელ გაუმხეველ სატიკვარს, გაჩენის დღეს დაიწვევლიდა, გაფრთხილი, მაგრამ სინარულიანი დღეების ჩინჩხლოსაც ააბუღვრიალვდა გონებაში და ეს ლექსიც გაასენდებოდა ერთი წამით მხოლოდ:

რადგან მერგო ვიყო პოეტი, ჩემი ცხოვრების საბედისწეროდ...
...რადგან სხვა რამე სიმღერის გარდა,
ახლაც ვერ შევლის ტკივილებს ჩემსას,
მეგონა, ამ დიად ბუნების კართან
მე თვით სიკვდილსაც
გარდავქმნი ლექსად...
და ლექსად, სიმღერად გარდაქმნილი სიკვდილია სწორედ ქართველი პოეტის უკვდავება; სანთლისფერი სხეულის ჩაღვნილი მოგონებაა, გატანჯული სულის სხოვნა...

მოგონება

ჩემი სამშობლო

ტკბილია, როგორც დედის რძით ბაღლი ტუნშეშრობელი, ტკბილია, როგორც ცის ნამი, როგორც ალურსი მშობელის, ტკბილია, როგორც ველზე ჯეჯილის მწვანე ფაფარი, ტკბილია, როგორც ძილისპირის ძველი ქართული ზღაპარი. ბარში ბუღბუღოთა ჯარია, მთაში ირემი ყვირისა, ტკბილია, როგორც სურნელი ახლადმოხდილი ღვინისა, ტკბილია, როგორც სურნელი ახლადგამომცხვარ პურისა, ტკბილია, როგორც ნუგეში ბედისგან დაღუპულისა. ტკბილია, როგორც ბელელი ამოვსებული თავამდი, ტკბილია, როგორც სიმღერა და შეძახილი თამადის: - ჩემი სამშობლო ზურმუხტის და მარგალიტის სადარი, ამრიგად აყვავებული მხარე მეორე სად არი? ჩემი სამშობლო ქვეყანა რა ლამაზია, რა კარგი, ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი, ნაირფერებით ნაქარგი, ტკბილია, როგორც რუსთველი, ტკბილია, როგორც აკაკი, ხალხი შრომადი გართული, ამღერებული ფანდური, იადონების გალობა და იავნანა ქართული. როგორც კრიალა მთის წყარო, ცადმიჭედილი ნაძვები, და იის წყალით ვერელი ლაქვარდის ღობრი დაწვები, ტკბილია, როგორც ხალხისთვის თავდადებული ლომგული, ტკბილია, როგორც ურმული, ტკბილია როგორც ჩონგური. საამო არის, ვით რთველი, მწიფე მტევნების ნაჯური, დილისკენ ხოხბის ყვირილი, სიმღერა გარიჟრაჟული, იალაღებზე ღრუბლებად მიმოფანტული ნახირი და გაზაფხულის პირზედა ტყიდან გუგულის ძახილი. ტკბილია, როგორც წისქვილში მთვარიან ღამის გათევა, ტკბილია, როგორც აპრილში ტყემლების შემონათება, ტკბილია, როგორც მტევანი ვაზზე ასხმული შავადა და სიყვარული უებრო, მოსული თავისთავადა. ხალხია ენაშხიანი, გმირი და არამკვეხარა, - დიდია ჩემი სამშობლო, ტკბილია ჩემი ქვეყანა. ჩემი სამშობლო ზურმუხტის და მარგალიტის სადარი, ამრიგად აყვავებული მხარე მეორე სად არი? 1936

ჩემი ოძროს ძველანა

ჩემი ქვეყნის ოქროსყანავ, დიდი გარჯით მოწეული, სიწითლისგან დაბრუნული, კანდამსკადარო ბროწეული, ნაცრისფერი ღრუბლის ძნებო, ფიჭვის ტევრში გარეული; მეგობრებო, მეზობლებო, შინაური, გარეული, ცხენისწყალის ხეობაო, დაღარული, დასერილი, ზევიანი პურის ყანავ, გლეხის ხელით დაწერილი, ზეამლის მთაზე გადასული თეთრი ნისლი აფრიანო, შენი თეთრი ბაირალი, სანამ უნდა აფრილო?! ერთო ქალო, თეთრო ქალო, ქალო ბაგეთაფლიანო, თავთავებით ოქროსფერად მოსირმული მთავ ფრილო; მთებო, მთებო, რუხო მთებო, ნისლეების თავსაფრიანო ზვარო, ზვარო ჯიშინო, ოჯალემის ჯიშის ზვარო, ზვარო მტევნებშიშინო, გლეხი კაცის სანუკვარო; ფიჭვის ტყეო, ფიჭვის ტყეო, ნისლები რომ იტვირთეო, ნისლის ნაში განანილო, მთაო გულმკერდგადაშლილო, მთის გულ-მკერდში დამალული ოქრო, ვერცხლო, ქვანაშირო, საქართველოს სისარული - ცხენისწყალი და ენგურო, და მამულის სიყვარული, ხალხის გულში დანერგილო; მშობლიურო მინდორ-ველო, სიცოცხლეო საამურო, მწვერვალებზე ანამდერო მწვემსი ბიჭის სალამურო, მოსავლო ჭირნახულო, დილის ცვარით დანამული და ბუღბულო, ხმაწკრილალო, ბუჩქნარებში განაბული თვითმფრინავო ცაში ლალო, მთებთან ახლო მიფრენილო, ქვეით ქვეყნის ედემ-ბალო, ია-ვარდით მოფენილო, კვანის ლერწო გაბარდული, ჩაქარული ტაროებო, მიწის მკერდზე გაფანტული ლელებო, წყაროებო, შემოდგომაზე შემოქმელო, შემოდგომაზე მადიანო, მტერმა განახოს, შემოგხედოს, გული დაუდარდიანო. ცხენისწყალის სანაპიროვ და ლამეო მთვარიანო, ამდენი ხნის დანაპირო - გოგონავ შავთვალდიანო. აქოჩრილო რთხმელის ტყეო, ბარდებო და იელებო, მეგობრებო, მეზობლებო, ახოვანო ჯეელებო, ბედნიერი ხალხის გარჯავ, გმირობის და ძმობის ყანავ, - იძლიეროს მისმა მაჯამ, ვინც დაგთესა მოგეყვანა! ჭირნახულით დატვირთული ბედლებო და ნალიებო, გამრჯელისთვის გატენილო, უქარიისთვის ცარიელო, ხელო, ვაშლით გაფერილო, ტალავერის ჩეროებო, სამხრეთისკენ გაფრენილო ყელომღერა წეროებო, მეგობრებო, მეზობლებო, შინაური, გარეული, ნაცრისფერი ღრუბლის ძნებო, ფიჭვის ტყეში გარეული, ვარდებო და ყვავილებო, ბარდებო და იელებო, ახოვანო ვაჟკაცებო, უშიშარო ჯეელებო, კოლხელებო, ქართლებო, კახელებო, მთიელებო, - თქვენთვის მინდა ავამდერო ლექსი ჩემი ახლებური, თქვენთვის მაქვს გულის კარი სასიძვროდ გაღებული, მინდა ლექსით გესაუბროთ, დაგირხით ხმა საღხენო და ქართველი მეოსნის ჩანგი ამ სიმღერით ვასახელით! 1936

ლექსებიდან „კველი და ახალი ქუთაისი“

1. დილით

ცა იწმინდება და სისხამ დილით მზე ერეკება ღრუბლების ფარას. ვარდის ბაღარში ეცემა ჩრდილი, ქუჩას პალმა და ყვავილი ფარავს. მე აქ დავწერე ლექსი პირველი, ვარდებსაც ესმით ამ გულის ფეთქვა, ვარ ამ ვარდების გულთამხილველი და მსურდა მათზე სიმღერა მეთქვა. იმდენი მეთქვას ლექსი მაგარი, რამდენჯერ მე აქ მინავარდნია, მინახავს ხალხი ნაამგარი; ახლაც უკლიმი ქალაქს ვარდიანს და იტყვის ჩემი ლექსი ღარანით: - ვაშა ვარდების მომტან გვარდიას!



2. ჩუქურთმისმჭრელი

არ იცის მისმა მკლავებმა დაღლა და უკაკუნებს, როგორც კოდალა. ჩუქურთმისმჭრელი ასულა მალა თეთრი ქვის გულის დასაკოდავად. ნადავ ისმის ძახილი და ხმა. ემზინდება შენობის გული. ფამიდან ფამზე რომ ნახოს ხალხმა ჩუქურთმა ქვაზე ამოქარგული... 1936

* * *

ზევით ცა მსურავს - კრიალა, ღია, ირველივ მთებია მკერდდაგლეჯილი, ჩემი სამშობლო იალაღია, ზედ საამური ხარობს ჯეჯილი, და თუ მოაწყდა მტერი იალაღს, - ვერ შესძლოს გულმა ბოდმის დატევა, მოვიხმარ ლექსებს, როგორც იარაღს, მოვიხმარ ლექსებს, როგორც სატევარს! 1936 წ.

რუსთაველის სამარე

მე ბედაურით ჩავუქროლე მეოსნის სამარეს, ვიმზიარულე, ვივალღებე ძმობის შაირი, ვრცელ ტრამალებზე გავიბრძინე ფიქრით ფრთამალით, მე ბედაურით ჩავუქროლე მეოსნის სამარეს. ენახე მნათობი, გაბადრული სახე თამარის და გაზაფხულის ყვავილები ნაირნაირი, მე ბედაურით ჩავუქროლე მეოსნის სამარეს, ვიმზიარულე, ვივალღებე ძმობის შაირი. 1937 წ.

დასვენების დღე

ვდგავარ და ვხედავ როგორ თენდება ეს დღე - მთისა და ბარის ზეიმით... ყოველთვის ტკბილად გამახსენდება მისი უბადლო თვალისიერი. ერთხელ მოსული, დიდი სიჩქარით ქრება, მიდის და თვალებს შორდება, მაგრამ ისევე, როგორც ცისკარი, კვლავ იბადება და მეორდება. ეს დღე მალდება, როგორც სიცოცხლე, როგორც სინდისი და ერთგულება, დივილის სახლებს, ჯდება მინდორზე და გააჩაღებს მზიარულებას. ისვენებს ხალხი, პოეტი მარტო ფიქრობს და იწვის ლექსის მშვენიერით და ვამბობ: ქვეყნად პოეტის გარდა ყველას ჰქონია დღე დასვენების! პოეტი ლექსის სტრიქონებს ებრძვის უხილავს, ფარულს, ჯერ დაუსტამბავს, მერე წავა და შრომადღეს ეტყვის დასვენების და გართობის ამბავს. 1938

* * *

მე მიყვარს, როცა ყანაში გახვალ და მოაგებებს სიმინდი ლახვარს. მე მიყვარს, როცა ყანაში გახვალ და დილის ნამით გაილუმპები... თუ ეს ერთხელაც არ განვიცდია, სიტყვის უთქმელად დაილუმპები. ან როცა იწვევს სიმინდის მოროდს და ფეხზე სველი მიწა გეყრება... თუ ეს იგრძენი, ცხოვრების ბოლოს ცვრიანი სიტყვა არ გავგყრება. მე ქალის თმების სურნელის მსგავსად

ვეტრფი მოხული მიწის ოხმივარს, ამიჩქარდება სისხლი ველური და ვაჟკაციური ლექსი მომშივა. მე ქალის თმების სურნელის მსგავსად მათობს სიმინდის უღვამის სუნი... ლექსის სათქმელად რომ ვემზადები, ვარ ოჯალემით გულდასისხლული. მე მხოლოდ მისი სახელი მიყვარს, ვისაც სიცოცხლე ამგვარად მიჰყავს, და მხოლოდ მისი ცეცხლი მეღება, ვისაც ასე სწამს შემოქმედება. 1938

ფშავური პალადა

ვაჟა-ფშაველას

გადმოჰყვა ღამით ღრუბლების ბურანს უზარმაზარი მხარ-ბუჭის რხევით, დაეცა ზღაპრულ დევების ბუნავს შავნადიანი ცალთვალა დევი. შეაზანზარა კლდეოთა კედელი, დაატრიალა გრივალა ქართა, როგორც ხევსური რკინისმკვნიტელი დადგა დევების ბუნავის კართან. და რა იხილა მან დევის ქალი, შედრკა, ათრთოლდა, ხმალზე შეჭვიცა: - მიყვარხარ, როგორც ჩემი ჩარგალი და საქართველოს მხურვალე მიწა! შესცინა დევის წუნი ქალმა ბროლივით თეთრი კბილების ეშხით, დასწვა ვაჟკაცი ტრფილის ალმა, ქალი კი გაჰქრა ბუნავის ბნელში. და როს ფრანგულის გაისმა ჩქამი, წამს აღრიალდა დევითა ლაშქარი: ვინ გვესტუმრაო ამ წკვარამ ღამით, ვინ შემოღეწა ბუნავის კარი? - ეს მე ვარ, ვაჟა, ცალთვალა გმირი, - შესძახა, შესძრა, თან შეერკინა, და როცა მორჩა, გაღუნა კბილით მამაპაპური ფრანგულის რკინა. - შეგქმნილვარ ხელად, ვაგჭრილვარ ველად, დამირბევია ღამე წკვარამი, მო, დევის ქალო, მო, ჩემო ყველაო, მო, გამიქარე გულის ვარამი. მიეჭრა ხელი ვავსებულ მივარეს, შემოახვია მინდიას მხრები... ჩახედა ქალის ამღვრეულ თვალებს, აიტაცა და გადასჭრა ხევი. გამოეღვენენ დევი მღვერები, კვლავ დატრიალდა შუბი და ფარი, დაღეწა ხმლები და სატევრები, კვლავ აიტაცა ტაიჭზე ქალი. გადინადირა ბნელი ტევრები და სიხარულის ზათქით და ზარიით ღამეს უტევდნენ ღამისმთევლები, როცა შეაღო ჩარგალის კარი მამაპაპური სიმღერის ძალით: „- მაყრებად მეყვანან არწივნი, ქალის მშობილი ქარია, მოვდივარ, მომყავს ყველაი და ამაღ გამიხარია, მომყავს დედალი ხოხობი დევის პირბადრი ქალია,, აი ჩარგალიც, სანთლები ჩანან... შრიალებს ტყე და ფარფატებს ქარი, შემოეგება ვაჟას ბაჩანა ჩონგურით ბებერ მუხასთან მდგარი. და როს გამოჩნდა ბრძენი მისანი... წუთით გაიხსნა ბუნების კარი და ახმაურდა არავის წყალი, როგორც ფშაველას ლექსების პწკარი. უეცრად მოსწყდა ბედაურს მეოსნის ტანი და ქალი მუხასთან დასვა, გადაეხვია დაღალა კოცნით და წყაროს წყალი ჰეშვებით ასვა. თვითონაც მოჰკლა უმაღ წყურვილი და დადგა ბებერ მუხასთან, ზევით, შავ ჩაბალახით პირშებურვილი შავნადიანი ცალთვალა დევი. რა ფამი იყო, რა გაზაფხული, რა სიყვარულით განუკურნელი, იწვოდა გული, ღვიოდა ხნული, და იდგა ნახნავ მიწის სურნელი. უხურდა ვაჟკაცს ალალი გული, ისევ მოუნდა შეშმა და რკენა, შეატრიალა ცაში ფრანგული, მაგრამ მოესმა ყვავილთა ენა: - დასცხრი, მეოსანო, ნუ ლელავ შენა! შედრკა, აკოცა ყვავილებს გამლილს, ჩაავო ხმალი აღერებული და გაეხვია ნახვავ მიწაში საყვარლის ტრფობით გახელებული.

საქართველოში

საქართველოში იბადებოდნენ და შემდეგ მუდამ სწუხდნენ ამაზე: „ეხ... წუთით მაინც დაბრუნდებოდეს ჩვენი ბავშვობა და სილამაზე!“, თავს არ მოიკლავს ქართველი, არა, ის შეიძლება ბრძოლაში მოკვდეს, ერთი იმედით სიცოცხლე მარად გაგრძელდეს ქვეყნად და განმეორდეს საქართველოში როცა კვდებოდნენ, უფრო და უფრო წუხდნენ ამაზე: „ეხ, წუთით მაინც დაბრუნდებოდეს ჩვენი ბავშვობა და სილამაზე!“, ჩვენ ვაუკაცობა ძველთაგან მოგვდევს, ყველამ გაიგოს, ყველამ იცოდეს! ჩვენ შეიძლება ბრძოლაში მოკვდეთ, მაგრამ არც მაშინ ვტოვებთ სიცოცხლეს! რადგან სიცოცხლე ასე ნაყარობს, სიკვდილის ყველა კარი დარაზეთ და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს, როცა ჩვენ გავჩნდით ამ ქვეყანაზე! 1939

რუსთაველის პროსპექტი

ის, შენობებში ჩამჯდარი თეთრად, დიდი რუსთაველის სახელს ატარებს, მოდიან, მაგრამ მასთან შეხვედრა ვერ გაუბედავთ ქუჩებს პატარებს. ყოველი ქუჩა კაცის თვალებით მოდის აქეთკენ და გზას უნდება, მოვა, შეხედავს მას მოკრძალებით და მერე ისევ უკან ბრუნდება. ზოგი წარსულის ამბებს მოჰყვება: როგორ იწვოდნენ ცეცხლში, ღადარში, ვახუშტის ქუჩა მტკვარს გამოჰყვება და მოშორებით ეტრატს გადაშლის. ბესიკის ქუჩა ამბობს შაირებს, მარტო სიმღერა არ დამშვენდება, - და ჭავჭავაძის ქუჩას ჩაირევს, თვალს გააყოფებს და გაჩერდება. ზოგიც ბუტბუტით, - როგორ დაგებდით, - (მარადი ყრმობა სურდათ მოხუცებს) და შურთ რუსთაველის პროსპექტის ბედი ჩახრუნხადის და შათელის ქუჩებს. შურთ, მაგრამ მაინც მოდიან დინჯად, შნოსა და იერს ჰმატებენ ქალაქს, და როგორც ერთხელ დასასულ მიზანს, ირგვლივ უვლიან უწმინდეს ალაგს. 1939

არ ვიცი, ასე რამ შემაყვარა

ყველა ხევსური და ყველა სვანი, ქართველი ქალი თვალებმაყვალა, ჩემი თბილისი და ფიროსმანი, არ ვიცი ასე რამ შემაყვარა! მოკვდა თუ არა, ყველამ აცხონა, ცოცხალი არვინ არ მიიკარა, მე ფიროსმანის ქუჩაზე ვცხოვრობ და ყოველ დილით ვხვდები ნიკალას. ძილგატეხილი და არეული ჭიქა არაფით გაიხსნის მადას, მერე შეკრთება, ვით მთვარეული და ორთაჭალის ლამაზებს ხატავს. ქართული ზეცა, ქართული ზვარი, მტკვარი მღვრიე და მტკვარი ანკარა... ჩემი თბილისი და ფიროსმანი, არ ვიცი, ასე რამ შემაყვარა! 1939

კალმახები

სასოფლო-სამეურნეო გამოყენაზე საქართველოს პავილიონის შესავალთან მარმარილოს აუზში დგაფუნობს კალმახი. გაისმა უცებ „ლილე“ ამაყი, მთების ბუნების ჰიშინი სვანური და ადგაფუნდა წყალში კალმახი, მკვირცხლი და მარად მოუსვენარი. ერთი მეორეს შეეხო ფრთებით და კალმახები შეყარა ალყად, თუ გაახსენდათ სვანეთის მთები და შფოთიანი ენგურის ტალღა?! გაგიგონიათ კალმახი შედგეს? ვერ მოისვენებს, თუ არ გაეცურა... და დაეჯახა აუზის კედლებს ფარა ფერადი მამაკაცურად.

ვინ იტყვის აბა, რა ხმას მოჰგავდა მათი ფარების ცემა გმირული, - ენგური იყო, იგი ბორგავდა, მუდამ შლეგი და თავგანწირული. ძალა ჰქონია ვაჟკაცურ „ლილეს“, წუთით თევზებამც აიღვეს ენა, მოიგონებდნენ ენგურის ჩრდილებს, მოიგონებდნენ მშობლიურ კერას. და მხნელ უტევდნენ პატარა სივრცეს ჩქარი ტალღების ლაღი მღვერები, წვილ-წვილ ვარსკვლავებს ისროდნენ ცისკენ და ლაპლაპებდნენ ვით სატყვერები. გაიოცებდა ხალხი მშრომელი მათს გახელებას და ამღერებას, და მოსკოველი სტანანოველი იდგა, უმზერდა საკვირველებას. იდგა აუზთან მაღალი კაცი, მზისგან დამწვარი დიდი ხელებით, უკვირდა, როგორ ელაგდნენ წყალში ნაირ-ნაირი ცისარტყელები. და ბოლოს, როცა შრომის არსენამ თვალთ გაწვრიტა გზა სამერმისო, შთაბეჭდილების წიგნში ჩაწერა, - საქართველოში თევზიც მღვრისო. 1939

ვაჟა-ფშაველას ნაამბობი

ვინ დამიბედა გზები პოეტის, ვინ გამამზადა საბედისწეროდ! ნუთუ ამ ქვეყნად მისთვის მოვედი, რომ უნდა მხოლოდ ლექსები ვწერო? ნუთუ სხვა რამე, სიმღერის გარდა, ვერ უშველიდა ტკივილებს ჩემსას? ან რატომ არის, რომ ყოველ ქალთან გამოიჯნურება მწვევია ლექსად? უმეგობრობა არ მიგლოვია და არც მოლექსე მყავს წინაპარი. მე ზღაპარი თუ გამიგონია, ბაბუაჩემის თქმული ზღაპარი, და მხოლოდ ჯიში მიმაგრებს სტრიქონს, ჯიში გმირული, ჯიში ქართული, ბაბუაჩემი ვაჟკაცი იყო, სატყვერით და ცხენით განთქმული. მან დიდ მუხნარში მოჰკლა ტახები და მათი ხორციტ მზრდიდა ნიადაგ, მიტომ არ მიყვარს მე არტახები და მიტომ ვარგვარ აღამიანად. მან ერთხელ განგებ დამკოდა მხარში და უცოდველი სისხლი მადინა, სველ ბალახებში დამტოვა ბავშვი და მწვერვალები გადინადირა. მას შემდეგ ბევრის მკლავე ავცელებე, შევბაც ვიგემე და გაჭირვებაც, და ვიდრე ლექსად არ გადავწერე, მანამდე მკლავედა მე ეს ჭრილობა. ბაბუაჩემმა ბუნების კარი გამიღო ოხვრით და სიმძიმით და შთამაგონა, რომ ლექსი არის კაცის და ქვეყნის გულისტკივილი. მან შემაყვარა საშობლო ჩემი, რომლისთვის ბევრმა სისხლი დაღვარა, მან შემაყვარა ბუნების ცრემლი და საღამურიც მან შემაყვარა. საშობლოს ტრფობით გული დავსერე, მათობდა, როგორც ღვინო ყვარული და ვიდრე ლექსად არ გადავწერე, მანამდე მკლავედა ეგ სიყვარული. ლექსმა კი შეკრა ჭრილობა ცივი და გაანათა ჩემი კაცობა, და ჩემი გულის ყოველგვარ ტკივილს მხოლოდ და მხოლოდ ლექსმა აჯობა. ვერც დედის ხელმა, ვერც სატრფოს ეშხმა ვერ გამიყუნა ჭაბუკს იარა, და ჩემი გულის გმირული კენესა მარტოდენ ლექსმა გაიზიარა. მეც მიტომ ვბედავ არწივულ ყივილს, როცა გულს გაჰკრავს ცივი ნიავი, რომ ლექსი შევლის ყოველგვარ ტკივილს რომ ლექსი თვითონ ტკივილი არი. და რადგან მერგო ვიყო პოეტი - ჩემი ცხოვრების საბედისწეროდ, რადგან ამ ქვეყნად მისთვის მოვედი, რომ უნდა მხოლოდ ლექსები ვწერო, რადგან სხვა რამე, სიმღერის გარდა, ახლაც ვერ შევლის ტკივილებს ჩემსას, - მჯერა, ამ დიად ბუნების კართან მე თვით სიკვდილსაც გარდავქმნი ლექსად!

მართლის ბზახე

ჰეი, ძმობილო, შეხედე, რამდენი ყაყაო გაშლილა, რაც უფლის ციხეს გამოვცდით, უფრო და უფრო გახშირდა; მინდვრებს, გორაკებს, ფერდობებს ეფინება და ეღება, გზაში ყაყაოს შეხვედრა სიკეთედ დაგვებეღება: სულ ახალგაზრდა ვიქნებით, გული არ დაგვიბერდება! ჰეი, ძმობილო, შეხედე, რამდენი ყაყაო გაშლილა, რაც უფლისციხეს გამოვცდით, უფრო და უფრო გახშირდა; მოდი, ჩვენ ესეც ვიკმაროთ და სხვა დიდება არ გვინდა, ყაყაომ თუ მოგვანათოს ლამაზი ქალის შუქითა. 1940

სალაღობო

ხომ ლამაზია ეს ჩემი ცოლი, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა, - ატმის ხესავით აფეთქებული და მოქნული გავაზივითა, ხომ ლამაზია ეს საქართველო, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა, - ფართოდ გაშლილი და მოხატული თამარ დედოფლის დარბაზივითა. „კაცის გული ასეთია, ვით მორევი შავი ზღვისა: რაგინდ კარგი ცოლი ჰყავდეს, მაინც მოუნდება სხვისას!“, დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს, გაისარჯოს და ბრძოლაში დაიხარჯოს! გაუმარჯოს საქართველოს მზეს და ზეცას საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს! დაუკარით! ჯერ ხომ სისხლი გვიდგას ძარღვში, ჯერ ხომ საროს ფოთლები არ გასცვენია, ჯერ ხომ მცხეთის სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში საქართველოს ცხელი გული ასვენია! დაუკარით! და იმღერეთ ისე მაგრად, რომ ფილტვები გვეტკინოს და დაგვებეროს! დაუკარით, რომ ჭაბუკნი ვიყოთ მარად, რომ ცხოვრებამ ვერასდროს ვერ დაგვაბეროს! დაუკარით! და იმღერეთ მადიანი, ფიცხელ ომში რომ მღეროდა მანაბელი. დაუკარით ძველებური დარდინი, დაუკარით არწივების ასაფრენი! ცხრა ლახვარი რომ დამარტყან ცხრაჯერ გულში, მტრის ჯინაზე ცხრაჯერ მწარედ გავიცინებ. დავიღლები საქართველოს სიყვარულში, სასთუმალზე ერთხელაც არ დავიძინებ! დუკარით! მოასწარით, თორემ ჰერი... და სიბერეც ძუ მგელივით მოგვიხტება. დაუკარით ძველებური მოსალხენი: - შავგვრემანებს შავი ჩოხა მოგვიხდება! დაუკარით ძველებური ლოთანი, საათნოვა რომ მღეროდა შათანთან, დაუკარით! განა ყველა ლოთი არი?! განა ყველა სიყვარულით დაიშანთა?! დაუკარით ძველებური ლოთიანი, თორემ დარდი ღრუბელივით გასივდება, გაფრინდება სიყმაწვილე შფოთიანი, წრფელი გული, ცხელი გული გაცივდება! „ვაჟკაცსა გული რკინისა, აბჯარი უნდა ხისანი, თვალნი ქორებულ მხედარნი, ზედ მუხლნი შავარდნისანი...“ ხომ ლამაზია ეს ჩემი ცოლი, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა, - ატმის ხესავით აფეთქებული და მოქნული გავაზივითა, ხომ ლამაზია ეს საქართველო, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა, - ფართოდ გაშლილი და მოხატული თამარ დედოფლის დარბაზივითა. 1940

თქვენ გეუბნებით, კმეპო მგონებო

რა ქართველი ხარ და რა ჭაბუკი, თუ მამულს თავი არ ანაცვალე, - ეს აწვალდება ცოტნე დადიანს, მეც ქართველი ვარ და ეს მაწვალებს. რომ ვდგევარ ახლა თბილისის კართან, შენ გეკითხები, ცაო ნათელი, ამ უხეირო ლექსების გარდა რას გაუეკეთებ მე საქართველოს? რომ ვდგევარ ახლა თბილისის კართან, თქვენ გეუბნებით, ძმებო მგონებო, ამ უხეირო ლექსების გარდა დავგერჩა საფიქრი და საოცნებო. რა ქართველი ხარ და რა ჭაბუკი, თუ მამულს თავი არ ანაცვალე, - ეს აწვალდება ცოტნე დადიანს, მეც ქართველი ვარ და ეს მაწვალებს. 1940

წვიმაში

დღეს მიკვირს, ისე როგორ გადავრჩი, რომ ოდნავადც კი არ დავსველდი ისეთ ქუხილში, ისეთ ავღარში მე - ამ დროების მეათასედი. ქარ-წვიმა იყო თუ სროლა ისრის, სამაგალითოდ შენაქუნების!

მე მოვიარე საავტორო ნიშნში დედაქალაქის ყველა ქუჩები. და მერე, როცა ჩვეული რიგით გავხსენ რუსთველის ქუჩის ურდული, დაიგრუნუნა თბილისის ირგვლივ და წამოვიდა წვიმა შურდულით. გავხედე: თრთოლდნენ ქარ-წვიმის ხმაში ქუჩები ბევრჯერ გადანათელი, მარტო გამზირზე არ წვიმდა მაშინ და მარტო გამზირს ადგა ნათელი. მაგრამ უეცრად იქუხა ისევ მეტ გახელებით და გამძაფრებით და გამზირიდან ღრუბლიან ცისკენ გაჩნდნენ ქარის და წვიმის ძაფები. ბევრი ვეომე ძლიერ ზენაქარს, ჩემს მშობელ ქუჩას თავს ვეველებოდი, ბოლოს საფარი რომ არ მენახა, შესაბრალისად დავსველებოდი. ავდართან გმირულ ბრძოლებით დაღლილს არსად რომ თავი არ დამეხარა: გადამეფარა ქაშვეთის თალი, გადამეფარა და დამეხარა. წვიმა კი რბოდა როგორც აფთარი, ცას გაუშავა ნაზი ლაწვები, და მე ვხედავდი, წელში გამტყდარი როგორ წვებოდნენ ქარში ნაძვები. ორბელიანის საფლავთან მდგარმა ქალაქს გავდახე ლექსი ქართული, და რაწამს ყალყზე ამდგარმა ქარმა მონინახულა ჩემი სართული – იმ წამს წარსული დიდების ძალით შეუჩერებლად აფერინდი ცამდე, მერე ავენთე, ვით ნაკვერჩხალი, და ნარიყალას კედელთან დავდექ. 1940

ფიროსმანის მიბრუნება

ეს რა ეშმაკმა ააბორგა ამდამ ქარი, ამიწიოკა, დამიბრია მან შთავიგება! თბილისის ქუჩებს დავუდევნე, ვიხმე ამქარი დავიწყებული ფიროსმანის მოსაგონებლად. აქ, ამ ქუჩებში, დადიოდა, როგორც სიზმარი (საქართველოს ცას აქეტრფოდა მისი ოცნება), ჩამოხეული, ტანმაღალი, მარად ხიზანი, მარტოდენ გული და ბავალო პატიოსნება. მივალ, მხვდებიან საზანდრები, ქუჩის მგოსნები, ბნელთან მებრძოლი უსინათლო მეთარეები, „ტინდასტყვილი“, ნიკალაის ძველი ღოსტები, და ცოცხლებიან ფიროსმანის მწარე დედეები. ვეტყვი, „როგორმე მოიგონეთ, ძია-კაცებო, ლოთი მხატვარი, მარტოსული და მეგობარი. მითხარით რამე ფიროსმანის ბედის გარშემო, და მერე შევსვით მისი ხსოვნის შესანდობარის,, - „თვითრვეული,, იყო, აუმღვრია სისხლი თბილისმა, სულ მარტო იყო, მარტო სვამდა, მარტო გათავდა, ფუნჯის მოსმის დროს ჰქონდა რაღაც ჯადო-თილისმა, არაყს დალევდა და ქვეყანას დაგიხატავდა! - შემოგხედავდა დარცხენილი, ვერ გაიგებდი, რა ჭკვისა იყო, რა პაზრების და რა გუნების, უყვარდა მტკვარი, მტკვარზე ტივი, ტივზე ტიკები, გოჭი, მწვანელი და ფრთიანი ორაგულები! - როცა ზაფხული დადებოდა თბილის-ქალაქში. ჯავრობდა: ხედავ, ყველაფერი როგორ ხმებო. გაეხვეოდა ირემივით მწვანე ბალახში: სოფელში ვეღარ მივდივარ და შეამებო... - არც კონტა იყო საცოდავი და არც ართვალი, ამაცი იყო, ჩვენ მორჩილად ვიდექით მასთან, ეს... ახლა განდა ნიკალაი დიდი მხატვარი, უფასოდ გაქრა, უფასოდ, და ახლა დაფასდა! - ნეტავი ამ დროს მოსწრებოდა მის ნაცნობებთან! (ვაი, რა უღვთოდ დაიღუპა საწყალმა თავი!) თბილის-ქალაქის ყველა მხატვარს ის აჯობებდა, არ დარჩებოდა არაფერი დაუხატავი! ყვებიან ასე ფიროსმანის დროის ქადაგნი, ყველა მათგანში დაუვიწყარ ნიკალას ვხედავ... დგას ფიროსმანის მოხატული თბილის-ქალაქი, - ეს პოეზიის უწმინდესი ადგილის დედა! მე ვუსმენ ყველას, წარმოვიდგენ ცხოვრებას მისას, ცოცხლებსა ჩემ წინ მერთალი სახე ფერების მგოსნის, ჩათრეულივით დავეშობი თბილისის მიწას და დიდი ნიკო ფიროსმანის ნატერფალს ვკოცნი! 1940

ფიროსმანის ღუშანი

მე მიყვარს შენი გრილი ღუქანი, შენი სიფათი და მარიფათი,

თვალები ცეცხლით განაშუქარი და წელზე ვერცხლის ქამარი ფართე... შუა ბაზარში ღუქანი გქონდა, ბევრი რამ გქონდა ღვთის მოცემული: ჭრელი კალმახი – არაგვის მკვიდრი, ბოლოკი წითლად აღმოდებული, ქორფა მწვანელი და შუშა კიტრი, პატარაძალმა რომ დაკრიფა დილით, ყარაჩოდელის ცრემლით რომ ტირის... შუა ბაზარში ღუქანი გქონდა, ბევრი რამ გქონდა ღვთის ბოძებული: დილაადრიან გადასაკრავი, ატამი წითლად აღმოდებული, ხუჭუჭთმიანი პატარა კრავი და კახურ ღვინით საგსე ტიკტორა, გასიებული, ვით ქვეყნის ჭორი... შუა ბაზარში ღუქანი გქონდა, ელეთ-მელეთის ქარი რომ ქროდა, მაგრამ ილაღე, იბედოვლათე, „გადაგებრუნდა ჭკვა და გონება,, განაიავ მთელი დოვლათი, ქარს გაატანე მთელი ქონება... ვერ გამოდექი და ვერ ივაჭრე, საქვეყნოდ სჭამე კაცმა სირცხვილი, გაკოტრდი, როგორც ნოე ჩხიკვაძე, დადექი, როგორც ნოეს წისქვილი. არ მომანათო მაგ სალადარე თვალები, ცეცხლით განაშუქარი, არ შემეკითხო, რად შევადარე ნოეს ხუხულას შენი ღუქანი! ამწვანებულა ძველი ხეხილი, გაცოცხლებულან ძველი ბიჭები, - ხელგაშლილი და გულგაღვლილი დგახარ და მუშტარს ეპატიუები... ეს, რამდენი რამ დაგიხატია, გამდიდრებულხარ ფერის დოვლათით, ახლა ყველასთვის ცხადზე ცხადია: არც ვაჭარი ხარ, არც ბედოვლათი! მოდივარ, შენთან, ჩემო ძმაკაცო, სხვა მეგობარი ქვეყნად ნუ გინდა, მოდივარ შენთან, ჩემო ძმაკაცო, და ხარბად მომაქვს შენი ღუქნიდან შუშა კიტრი და ქორფა მწვანელი, პატარაძლის ხელით გამოყვანილი... 1940

ქართველ ცხენოსანს

ამხედრებულ ვაჟკაცი, წვერ-ულვაში რომ გიხდება, როცა გულხარბი მტარავალი ხმალდახმალად მოვიგისტება, ასჩეხე, სანამდისინაც მარჯვენა გადაგიწვდება, გახსოვდეს, რომ ხარ ვაჟკაცი, ნურასდროს დაგავიწყდება! გახსოვდეს, ლამპიონებით განათებული ასპინძა, - მამულისათვის ქართველი მტერს როგორ გაუმასპინძლდა. გალადებული თეთრონით გადაერიე ლაშქარში, რომ ღუშანი თვზრე დაქსას შენი ფრანგულის კამკამით. მოსკოვს და თბილის-ქალაქსა წინ აღემართე ფარადა, დასჭექე, დააგუგუნე მამაპაპური „ვარადა“. შენ, უშიშარი ვაჟკაცი, წვერ-ულვაში რომ გიხდება როცა გულხარბი მტარავალი ხმალდახმალად მოვიგისტება, ასჩეხე, სანამდისინაც მარჯვენა გადაგიწვდება, საბჭოთა არმიისა ხარ, ნურასდროს დაგავიწყდება! 1941

ორი საახალწლო

1. სანამ არ ჩაქრებიან იმერეთის ოდები, ყოველ ახალწელიწადს მარად მომაგონდები. შორი გზიდან მოსული, მამა-პაპის ჯილაგი – უცხოდ განათებული პატარა ჩიჩილაკი. უცხოდ განათებული, სხვაზე არ გასაცვალი: მწვანე სუროს ფოთოლი... კურკანტელას მარცვალი... უზარმაზარ ოღაში მუხის ცეცხლი გუგუნებს, ბავშვი გაოცებული მხოლოდ შენ შემოგყურებ. დგახარ დამშვენებული ქამარ-ხანჯალ-ყაწვიმით, როგორც თეთრონისიანი იმერელი ყმაწვილი. ფორიანი კანფეტის ზედ გასხია მასრებად, ალბათ, ცაში თუ მოხდა შენი გალამაზება! უზარმაზარ ოღაში მუხის ცეცხლი ჩახჩახებს, ძველი „მრავალჟამიერ“ აღებს ყველა გასაღებს. მე ხან პაპის წვერს ვუშვებ, ხან შენ გიმშვებ, ჩიჩილაკს, და ვიღვრები ბინულის ნაკადივით სიცილად. სულაც არ გამიგია, რა მახარებს, რას ველი... ასე თვალგაურყვნილი, სიხარულით თვალსველი, მხოლოდ შენ შემოგცქერი, შენი შუქის მჯერა მე, შორი გზიდან მოსული, ვარსკვლავითი მცენარე! სანამ არ ჩაქრებიან იმერეთის ოდები, ყოველ ახალწელიწადს მარად მომაგონდები!

2.

როინის პირად შფოთავს ქალაქი, ათას ჭირში და ღვინში ნაქები, ყოველ ახალწელს საგულდაგულოდ განათებული ჩიჩილაკებით. მის განთიადებს ნუ დაივიწყებ და არასოდეს არ დაბერდები: ის თეთრი ჩოხა ისევ გაცვია, ისევ პრიალებს წულა-მესტები, ისევ მესხეთის ქუჩით მიდინარ და მოგძახიან იგივე სწორები, შეგხვდება ვინმე ოჯახისშვილი, კონტა ყმაწვილი მოეწონები, ხელში აფიფანს, შებლზე გაკოცეს, უხალთუნს მოგცემს აგრ დაგლოცავს: „მრავალ ახალწელს დაესწარ შეილო, და ესახელე იმერლის ოჯახს!“ როინის პირად კი ქუხს ქალაქი, ათას ჭირში და ღვინში ნაგები, ყველგან ნახევრად ღია კარი და ციმციმებენ ჩიჩილაკები, მხოლოდ ბაგრატიონ ტაძრის ნანგრევი გარინდებულად მკვდრულ მკვდრობით, მათ შთავიგებებს შენ სიყვარული, ყრმად, გარდასულ იმა დროების!

სამართველო იყო მათი საოცნებო სახელი


ძველად თურმე, როცა მტრების უთვალავი ჯარები მიდიოდნენ რომ გაელოთ საქართველოს კარები, მამაკაცებს გვერდით ჰყავდათ, ვით ფოლადის ფარები, - და მტრებს მათთან ერთად სცემდნენ საქართველოს ქალები, - ისე მტკიცე იყვნენ, თურმე, ვით მეტეხის კედელი, გმირი თამარ ვამლონელი და მათი წყნეთელი. მათი ხმალი ცეცხლს აფრქვედა, მტერი თრთოდა ვერანი, საქართველოს ცის ფერს ჰგავდა ფერი მათი ვერანის. სადაც უნდა ყოფილიყვნენ მარად დაუზრახველნი – საქართველო იყო მათი საყვარელი სახელი. ბრძოლის ველზე მიდიოდნენ რაინდული ოცნებით, მიდიოდნენ და მიჰქონდათ ჩაღისფერი დროშები. ბევრჯერ სისხლით შეღებულან მათი ავეაროშები. სადაც უნდა ყოფილიყვნენ, თუნდ სამარის კარამდის, ოსმალეთის მიწა იყო, თუ მინდორი მარაბდის. საქართველო იყო მათი საყვარელი მარადის. სადაც უნდა აღემართათ სატეგარი და გორდა, ვაჟკაცურად მიიწვედნენ, ვაჟკაცურად გაჰქონდათ, სპარსეთში თუ დაღესტანში, კრწანისთან თუ შამქორთან, საქართველოს ერთი მუჭა ცხელი მიწა თან ჰქონდათ. სიკვდილის წინ რუსთაველის შაირების ძახლით, მიწას გულში ჩაიკრავდა ქართლელი თუ კახელი, - საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი. შეილებს ომში აგზავნიდნენ წარბშეკრული დედეები, აგზავნიდნენ, აბარებდნენ დედურ დაიმედებით: თუ ისარი მოგხვდეთ ზურგში, არ დაიჭრათ მკერდები, ხელმორედ ნუ გენახთ საქართველოს ქედები! ისე მტკიცე იყვნენ, თურმე, ვით მეტეხის კედელი, გმირი თინა წაკვიციელი და მათი წყნეთელი. მათი ხმალი ცეცხლს აფრქვედა, მტერი თრთოდა ვერანი, საქართველოს ცის ფერს ჰგავდა ფერი მათი ვერანის. მამულისთვის დაიღუპნენ ვაჟკაცობის მსახველნი, საქართველო იყო მათი უწმინდესი სახელი.

ბურამიშვილის ჩივილი

ვახტანგ მეექვსემ ერთხელ ხევე მი სუმბული ნახა თეთრი და წმინდა. მოთხარა, ფრთხილად აიღო ხელში, რომ სავარდენი მიეცა ბინა. ფიქრობდა მეფე: „ყვავილი მწველი გრძელ ყლორტებს გაშლის, განივარდებს: ვითარც ამბორი, მისი სურნელი გადაეფრქვევა მდიდრულ სავარდეს!“ ფიქრობდა, მაგრამ ვაი, რომ ტყვილად: არ ესალბუნა ყვავილს ალერსი, თავი დახარა და მოიწყინა, როგორც ჭაბუკმა უცხო მხარეში. ბევრი ეფერა მეფე მგოსანი, თავს დამდეროდა, როგორც ბუღბუღი, მაგრამ საამო სურნელ-ფშოსანი მაინც დაჭკნა და გახმა სუმბული. მეც სუმბულივით დავიგოვლები და მეც გამაზმობს უცხო ზმანება, თუ საქართველოს ლურჯი გორები დროზე არ ნახა ჩემმა თვალებმა. დავჭკნები, როგორც დაჭკნა ვარდებში ხევის ყვავილი მზისკენ მზირალი, და ვახტანგივით სადაც ჩაკვლები ჩემთა მკვიდრთაგან დაუტირალი. მშობლურ ბალიდან გადავიყვანილი უცხო მიწაზე ვერ გავიხარებ, ვიდრე დავმჭკნარვარ შენი ყვავილი, მომხედე, ჩემო სამშობლო მხარე!

კრწანისის ყაყაჩოები

სამასი არაგველის ხსოვნას ჰეი, თქვენ არაგველებო, გაუმადლარო ომიოთა, თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა. შაჰრონიანი ვაჟკაცი, ჭრილობა ხომ არ შეგხსნია! ეს სისხლი არის, თუ მართლად ყაყაჩოების ცეცხლია? შაჰრონიანი ვაჟკაცი, ასე რამ გაგახალისათ, ჟრიალი ხომ არ მოგესმათ ოჟა ჯურხაის ფარისა? სიმდერა ხომ არ მოგესმათ პატარა კახის ხმალისა? იქნებ მე თვალი მატყუებს, ზეცა მამრმაგებს კრიალა, მაშინ თქვენ თვითონ აღსდექით და მარქვით ომახიანად, თუ არც ყაყაჩოს ცეცხლია და არც ახალი იარა, მა ეს ბებერი კრწანისი რა ძალამ ააბრდღვიალა? ჰეი, თქვენ არაგველებო, გაუმადლარო ომიოთა, თქვენ საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა!



„მამული“ იუზილა დისკზე და კასეტაზე



ქვეყნის ეკონომიურმა გაჭირვებამ ქართველები სამშობლოდან შორს, 9 ათასი კილომეტრისა თუ 9 სასაათო სარტყელის მოშორებით გადაისროლა.

ღვთისანაბარად მიტოვებულებს სამშობლოსთან უხილავ დაფეხად ერთადერთი ქართული გაზეთი „მამული“ მოეგლინათ. გაზეთისადმი სიყვარულის გამოცხადების ლამაზი დასტურია ეს საღამოც, რომელშიც ქართველი ემიგრანტები მონაწილეობენ, სამშობლოდან ოკეანისგაღმა, მსოფლიოს მეგობრების შიშის ნიუ იორკში.



DVD-ის ან ვიდეოკასეტის ღირებულებაა 15\$, საფოსტო მომსახურება ნებისმიერი რაოდენობის შეკვეთაზე 5\$, უნდა შეავსოთ ეს ანკეტა, ამოჭრათ, დაურთოთ ჩეკი ან მანი ორდერი „მანუჩარ კაჭახიძის“ სახელზე და გამოგზავნოთ:

MAMULI, P.O. Box 13121. Jersey City, NJ 07303

(თქვენი სახელი და გვარი)

(სახლის ნომერი და ქუჩა, Apt N)

(ქალაქი, შტატი, Zip-კოდი)

ნიორნი უკიანო

ნიორნი სახალხო



დაქორწინებას ვულოცავთ ჩვენს ყოვლგას, მიუნხენში გამომავალი ყურნალ „ქართულის“ რედაქტორ-გამომცემელს ნინო ხაბეაშვილსა და გიორგი უმიჯაშვილს, სიხარულს, ბედნიერებას და შვილთა სიმრავლეს ვუსურვებთ.

„მამულის“ რედაქცია

გილოცვები

გილოცვა

დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენი გაზეთის ერთგულ მეგობარს, მშვენიერ ქალბატონს **რუსუდან ჩოგოვაძეს**, სიხარულს და მონატრებულ ქუთაისში დაბრუნებას ვუსურვებთ. მრავალ დაბადების დღეს - მრავალჟამიერ!

„მამულის“ რედაქცია



პატარა სალომეს დაბადებას ვულოცავთ ჩვენი გაზეთის ერთგულ მეგობარს გელა ჯოხაძესა და ნანა კორახაშვილს! მალე ბიჭიც მოგველოცოს გელა ბატონო!

რედაქცია

ნათია კუხიანიძე

ზუკლვნი ჩემს საყვარელ მამიკოს დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით



მონატრებულ ქუთაისს

ღმერთმა გიკურთხოს და დაგილოცოს ალაგი, შენი გელათი, სათაფლია და ბაგრატი, რა მემართება, სხვა არაფერი არ მინდა, - მინდა ცხოვრება შენთან დავიწყო თავიდან. მცვივა ცრემლები, თავს ვეკითხები, რას შვრები? შენს ეზოებში დაბუდებულან შაშვები, შენი მზე თითქოს სულ სხვანაირად ანათებს, ვითვლი ქარიანს, ყველა ღამეებს განათებს. ყველა ქადილი შენს სიშორეზე - ამიხდა, ნაცნობი სახლები თითქმის ტაძრებად გამიხდა, ცხოვრება შენთან ნაზი სიზმარით გავიდა, - ვარ გამოჭრილი შენი სიცოცხლის ძარღვიდან. რა თილისმა გაქვს, რომ არაფერი არ მინდა, - მინდა ცხოვრება შენთან დავიწყო თავიდან, ღმერთმა გიკურთხოს და დაგილოცოს ალაგი, თურმე ყოფილხარ ჩემი ოცნების ქალაქი.

ესეც გოგო!

ქალიშვილის, პატარა თეკლეს დაბადებას ვულოცავ ჩემს ვანო გოდერძიშვილსა და შორენა ბარბაქაძეს. სტარტი ჭეშმარიტად კარგადაა აღებული, მაგრამ ჯერ შორსაა ფინიშმდე. ყველაფერი ისე რომ მოხდეს, როგორც ეს იმ ლამაზ ზღაპარ-მულტიფილშია, ერთხელ კიდევ უნდა დაგვამახებინო: ესეც ბიჭი! ზოდა, ერთ მხარეს მზე, მეორე მხარეს მთვარე, უკან კიდევ ვარსკვლავები გარანტირებული იქნება.

მანუჩარ კაჭახიძე



კონსერტები DVD-ზე

ეს ის კონსერტებია, რომელთა ჩანაწერებიც ყველა ქართულ ოჯახში უნდა იყოს! ამ ფირებზე ერთნაირად ჩანს ქართული სულიცა და ქართული ტკივილიც!

Gela SACHALELI
3405 Kings Hwy, Apt 3C
Brooklyn, NY 11234

თითოეული DVD-ის ღირებულებაა 20\$, საფოსტო მომსახურება ნებისმიერი რაოდენობის შეკვეთაზე 5\$, უნდა მონიშნოთ თქვენთვის სასურველი DVD-ის უჯრული, შევსოთ ეს ანკეტა, ამოჭრათ, დაუროთ ჩეკი ან მანი ორდერი და გამოგზავნით.

Form with fields for name, address, and zip code.

განცხადებები

იყიდება ჩეხური პროექტის 4-ოთახიანი ბინა თემკის დასახლების მე-4მ/რ, მე-8 სართული, გურამიშვილის მეტროსთან ახლოს.

იყიდება 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი კაკლებში (ბაგებსა და წყნოს შორის), ზურაბ წერეთლის სახელოსნოსთან ახლოს.

იყიდება ოროთახიანი ბინა ახალაშენებულ კორპუსში საბურთალოს რესპუბლიკურ საავადმყოფოსთან.

ვემბე დროებით (live-in) სამსახურს მოხუცის მომვლელად ნიუ იორკში, ნიუ ჯერსში ან მის შემოგარენში.

Advertisement for 'მანია ნინოშვილი' (Mania Ninoshvili) featuring a woman's face and text about hair care and beauty services.

Advertisement for 'VEIN & LASER CENTER' featuring images of a person's legs and text about vein treatment and laser services.

Advertisement for 'მედიკალი' (Medika) featuring a stack of books and text about medical books and services.

უკვე პანიხსნა

თეთრი შვედი



ახალი ქართული სელფისი ბიზნესი

- ქართული სული
- ქართული ატმოსფერო
- ქართული გემო
- ქართულ რესტორანში

უბლოეს ხანში იგეგმება ღონისძიებებისა და ბანკეტების პირდაპირი საეთერო ჩვენება საქართველოში (ინტერნეტისა და რესტორანში დამონტაჟებული კამერების საშუალებით)
დაიწყო შეკვეთების მიღება დაბადების დღეების, გორგობისა და სააბაწლო ბანკეტებზე.

410 BRIGHTON BEACH AVE,
BROOKLYN, NY 11235. Tel 718-648-5484, 917-815-4415

რეაქტორ-გამომცემელი
მანუჩარ კაჭანიძე

საქართველოში „მამულს“ წარმოადგენს საგამომცემლო სახლი „ასავალ-დასავალი“ ლაშა ნადარეიშვილის პატრონაჟით

გაზეთის ამ ნომრის შემთხვევაში შესაძლებელი გახდა პირველი ელექტრონული გამოცემლობისა და მისი სელფმედიაციის, შემდგომში მამულიშვილის, გატონ კანა ღვთისმშობლის დასაგროვებით.

მამული
დასავალი

MAMULI
P.O. Box 13121,
Jersey City, NJ 07303
www.mamuli.com